ხელოვნება

4

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ნანა იოსელიანი ◆ სოფიო ქებურია

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ხელოვნება 4
მასწავლებლის წიგნი
თბილისი, 2018

ავტორები: ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია

რედაქტორი ნინო გოგალაძე
დიზაინერები: ია მახათაძე, გიორგი მაღრაძე
ილუსტრატორი: გიორგი მაღრაძე
ტექნიკური დიზაინერი გიორგი ლომსაძე

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-056-1

ART 4
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2018
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

შესავალი 5
ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახვითი და
გამოყენებითი ხელოვნების წლიური პროგრამა 17
სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან 22
გაკვეთილების სცენარები 25

I თემა: ხაზი, ფერი, ფორმა 27
ფერთა თეორია 27
გოეთეს სამკუთხედი 29
მუქი და ღია 33
პასტელური ფერები პლასტილინით 36
მწვანე 40
ფერი და განწყობა 43
ჰაეროვანი პერსპექტივა 45
გრავიურა 48
კით ჰარინგი 51
კუბიზმი 53
მატყუარა ხაზები 55

II თემა: ჟანრები 59
ანარეკლი 59
კაკაბაძის იმერეთი 62
ანაბეჭდი 64
ლიტერატურული პორტრეტი 66
ყაჯარული პორტრეტი 69
ამედეო მოდილიანი 71
პიტერ ბრეიგელი. საბავშვო თამაშები 73
მამალი 78
ანიმალისტური ჟანრი 79
ზღაპრული ცხოველები 83

III თემა: მსჯელობა 86
ერთი შედევრის ისტორია 86
ვან გოგის ასლი 88
შობა 91
ჯგუფური პორტრეტი 96
საპარადო პორტრეტი 99
ოჯახური მყუდროება 101
დიზაინი 103

IV თემა: ქანდაკება 104
კვიპროსული კერპები 104
იეროგლიფები 106
გაიცანით კუ! 110

V თემა: არქიტექტურა 112
პირამიდები 112
ბერძნული ორდერი 115
ციხესიმაგრე 117
უსწორმასწორო შენობები 119
ჯგუფური პროექტი „ქალაქობანა“ 121
ლენდ არტი 123

VI თემა: ტექნიკები 125
აფრიკული ნიღბები 125
ჯადოსნური ხალიჩა 127
თექა 129
ანაბეჭდი კარტოფილით 132
საკურა 134
მრავალწერტილი... 136
გრატაჟი 137
პალეონტოლოგობანა 139
რესტავრაცია 141
აბსტრაქცია ჟან არპის სტილში 143

VII შემაჯამებელი გაკვეთილები 145
კამათელი 145
სიტყვობანა 147

დანართი 149

აქტიური ბმულები ისტ-ის დავალებებისთვის 160

„ერთი წელი დამჭირდა, რომ რაფაელივით ხატვა მესწავლა და მთელი ცხოვრება, რომ ბავშვივით მეხატა“.

პაბლო პიკასო

შესავალი

მე-3 კლასში მოსწავლეებმა ხელოვნების გაკვეთილებზე გაიღრმავეს ისეთი აუცილებელი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა მასალებისა და იარაღების ხმარება, გაეცნენ ხელოვნების მეტ დარგსა და ჟანრს, სახვითი ხელოვნების მეტ ელემენტსა და პრინციპს, განიმტკიცეს თანამშრომლობის უნარი, მიეჩვივნენ ერთმანეთის დახმარებასა და სამუშაო გარემოს მოწესრიგებას. მათ ისწავლეს ინსტრუქციის გაგება და შესრულება. რაც მთავარია, უკვე შეუძლიათ ტექსტის წაკითხვა და გაგება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მე-4 კლასში ჩვენი მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების შემდგომი გამოვლენა და განმტკიცება, ხელოვნებისადმი და ხელოვნების მეშვეობით კაცობრიობის მიღწევების სხვა სფეროებისადმი ინტერესის გაღვივება. მე-4 კლასში ცნობისმოყვარეობა უნდა გადაიზარდოს ცოდნისმოყვარეობაში, შემეცნებისადმი მუდმივ ლტოლვაში, ექსპერიმენტირებისადმი ინტერესში, საზრიანობა – კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარში, თვითგამოხატვის სურვილი კი – შემოქმედებითობაში.

- მოსწავლეს უნდა ჩამოვუყალიბოთ სამყაროს ერთიანობის შესახებ წარმოდგენა;
- გავაცნოთ საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობა;
- ჩამოვუყალიბოთ პატივისცემის გრძნობა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის მიმართ;
- ჩამოვუყალიბოთ ესთეტიკური გემოვნება;
- ხელი შვუწყოთ შემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკური საშუალებების დაუფლებაში;
- ჩამოვუყალიბოთ შრომითი უნარ-ჩვევები;
- ხელი შევუწყოთ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ფორმირებას.

მოსწავლეებს უნდა გავულვივოთ და განვუვითაროთ:

- შემოქმედების სურვილი და უნარი;
- წარმოსახვის, ფანტაზიის უნარი;
- მშვენიერების აღქმის უნარი;
- ხელოვნების ნაწარმოების/გარემოს ემოციური განცდის უნარი;
- ხელოვნებისადმი ინტერესი და სიყვარული;
- საკუთარი შთაბეჭდილებების, დამოკიდებულებების, იდეების, ემოციების სახვითი საშუალებებით გადმოცემის უნარი;
- დაკვირვების, აღქმის, ანალიზის, ინტერპრეტაციის უნარი;
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- ნამუშევარში სხვადასხვა ტექნიკის გამოყენების უნარი.

- თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.
- სამუშაოს თანმიმდევრობის დაგეგმვისა და ჩანაფიქრიდან სასრულ ეტაპამდე მიყვანის უნარი.
- თვითანალიზი.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა

მე-4 კლასის სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება:

მასწავლებლის წიგნი;
მოსწავლის წიგნი;
მასწავლებლისთვის დამხმარე საილუსტრაციო მასალა დანართისა და ელექტრონული ვერსიის სახით.

მასწავლებლის წიგნი:

1. სარჩევი
2. შესავალი
3. გაკვეთილების სცენარები
4. ცნობარი
5. დანართი

მოსწავლის წიგნი:

სარჩევი
თემატური ტექსტები ილუსტრაციებითა და აქტივობების ინსტრუქციებით
ლექსიკონი

მასწავლებლის წიგნის სარჩევი:

სარჩევში მითითებულია:
გაკვეთილის რიგითი ნომერი (გვერდი)
თემის დასახელება
თემასთან დაკავშირებული აქტივობების რაოდენობა

შესავალი:

შესავალი შეიცავს:
ავტორების ხედვას დაწყებით კლასებში ხელოვნების სწავლების შესახებ;
ზოგად ინფორმაციას სახელმძღვანელოს სტრუქტურის შესახებ;
პრაქტიკულ რჩევებს;
მოსწავლის შეფასების პრინციპებს.

ცნობარი:

ცნობარი შეიცავს:

დამატებით საცნობარო ინფორმაციას

დანართი:

შეიცავს აქტივობებისთვის საჭირო თარგებს, შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემებსა და სხვა დამხმარე მასალას.

საილუსტრაციო მასალის ელექტრონული ვერსია

გაკვეთილების სცენარები:

ყოველი გაკვეთილის სცენარი შეიცავს:

- კონკრეტული გაკვეთილის მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებსა და შესაბამის ინდიკატორებს, რომელთა გაღვივება-განვითარებასაც უწყობს ხელს კონკრეტული გაკვეთილი.
- გაკვეთილზე ასათვისებელი ტერმინების ჩამონათვალს.
- ვიზუალური რესურსის ჩამონათვალს
- თემის შესაბამისი აქტივობისთვის საჭირო მასალისა და იარაღების ჩამონათვალს, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს წინასწარ გააფრთხილოს მოსწავლეები, რისი მოტანა დასჭირდებათ მომდევნო გაკვეთილისთვის. აქტივობებისთვის შერჩეულია ხელმისაწვდომი და მოსწავლეთათვის უსაფრთხო მასალისა და იარაღების აუცილებელი მინიმუმი. მასწავლებელს შეუძლია გაამდიდროს ეს ჩამონათვალი - გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი მასალა, რაც უფრო საინტერესოს გახდის შემოქმედებით პროცესს.
- გაკვეთილის მსვლელობის დაწვრილებით სცენარს
- აქტივობის დეტალურ აღწერას. ყოველი აქტივობა ამდიდრებს, ამყარებს გაკვეთილზე მიღებულ ინფორმაციას. ის აქტივობები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მითითებებს, მოსწავლის წიგნში მოცემულია ეტაპობრივი, ილუსტრირებული ინსტრუქციების სახით.
- გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემაჯამებელ, სააზროვნო კითხვებს, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეთა მიღწევების შეფასებაში.
- აქტიურ ინტერნეტბმულებს ვიზუალური მასალით, ვიდეო- და ფოტოინსტრუქციებით, ინტერაქტიული თამაშებით.

გაკვეთილები თემატურად დაჯგუფებულია თავებად.

გაკვეთილების თემები შერჩეულია ეროვნული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

შემაჯამებელი დავალებები ინტერაქტიული აქტივობების სახითაა წარმოდგენილი. მათი საშუალებით მასწავლებელს შეუძლია შეამოწმოს და შეაფასოს მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისებისა და შეძენილი უნარების ხარისხი.

შესავლის დასკვნით ნაწილში ჩამოწერილია შემაჯამებელი კითხვები, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შერჩევით, გაკვეთილის თემიდან გამომდინარე.

მასწავლებელი არ არის ვალდებული აქტივობები სახელმძღვანელოში მოცემული თანმიმდევ-

რობით ჩაატაროს. მათი თანმიმდევრობა, მონაცვლეობა თუ გამეორება უნდა შეირჩეს ისე, როგორც მასწავლებელი მიიჩნევს მიზანშეწონილად.

მოსწავლის წიგნი:

სარჩევი:

მოსწავლის წიგნში, გაკვეთილების თანმიმდევრობა მასწავლებლის წიგნის გაკვეთილების თანმიმდევრობას შეესაბამება მხოლოდ თემების სათაურებით.

პრაქტიკული რჩევები:

1. **სივრცის ორგანიზება** – აქტივობების ჯგუფური, წყვილებში და ინდივიდუალური დავალებების შესრულება ითხოვს საკლასო სივრცის სხვადასხვანაირ ორგანიზებას. სასურველია, ხელოვნების მასწავლებელს ჰქონდეს საკუთარი საკლასო ოთახი – სახელოსნო, სადაც მას საშუალება ექნება მაგიდები დაალაგოს ისე, როგორც მოითხოვს აქტივობის პირობა.

სწავლის, კვლევის და დამოუკიდებელი აზროვნებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად მასწავლებელმა მოსწავლეებს გარკვეული თემის თუ აქტივობის შემდეგ უნდა დაავალოს, კონკრეტულ თემაზე საკუთარი შეკითხვების წერილობით ჩამოყალიბება, რომლებზეც მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეები და მასწავლებელი ერთად უპასუხებენ. ეს თავისთავად წარმოშობს დისკუსიას, რომლის დროსაც მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ აზრს თუ იდეას, წარმოაჩენენ ცოდნას, გაიმეორებენ მასალას, ისწავლიან მსჯელობას, აზრის ჩამოყალიბებას, შეიძენენ თვითდაჯერებულობას მეტყველებისას. დისკუსიებზე მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს შეკითხვის დასმისა და კითხვაზე პასუხის ძიებისაკენ. მოსწავლეების მიერ დასმული შეკითხვების შებრუნებით მასწავლებელი სტიმულს მისცემს მათ დამოუკიდებელ აზროვნებას, ცნობისმოყვარეობას, კვლევას. დისკუსიები მიაჩვევს მოსწავლეებს მსჯელობას, ლოგიკურ აზროვნებას. მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს თამამად, საჯაროდ გამოთქვან საკუთარი აზრი, გამოხატონ გრძნობები; დისკუსიებზე ბავშვები მიეჩვევიან საზოგადოებაში მიღებული საუბრის ნორმების დაცვას (ხმის ტემბრის, ტონისა და სიმაღლის რეგულირებას, საუბრისას რიგის დაცვას, მოსაუბრის მოსმენას, სასაუბრო თემის მიმდევრობის დაცვას).

2. **მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გასაღვივებლად**, მასწავლებელს შეუძლია აწარმოოს საკუთარი ბლოგი (ელექტრონული პორტფოლიო), რომელზეც სისტემატურად ატვირთავს მოსწავლეების ნამუშევრების ფოტოებს. მოსწავლეებს და მშობლებს მუდმივად ექნებათ საშუალება ბლოგის მეშვეობით თვალყური ადევნონ პროგრესს. როდესაც მოსწავლემ წინასწარ იცის, რომ ნამუშევარს სხვებიც ნახავენ, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება მას, რათა სიამაყის საგნად აქციოს.

მასალა და იარაღები:

მასწავლებელს ხშირად შეიძლება შეექმნას ჩასატარებელი აქტივობისთვის აუცილებელი და მოსწავლეების ხელთ არსებული მასალის შეუსაბამობის პრობლემა (მაგ, მასწავლებელს დაგეგმილი აქვს, ასწავლოს მოსწავლეებს ფერების შეზავება, მოსწავლეთა ნაწილს კი მხოლოდ ფლომასტერები

აქვს მოტანილი). ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა უზრუნველყოს კლასში მასალის ერთგვაროვნება - მშობლებთან წინასწარი მოლაპარაკებით მოიმარაგოს საჭირო მასალა და შეინახოს იგი კლასში. შესაბამისად, მასწავლებელს ყოველთვის ხელთ ექნება დაგეგმილი აქტივობისთვის საჭირო რესურსები და მოსწავლებს არ მოუწევთ მათი თან ტარება.

აუცილებელი მასალის ჩამონათვალი:

- **A4 ფორმატის ფურცლების შეკვრა** – სახატავ რვეულებში საღებავებით ხატვა მოუხერხებელია, რადგან საღებავი სწრაფად არ შრება და მოსწავლე ვერ შეძლებს ახალი ნამუშევრის სუფთა გვერდზე დახატვას ისე, რომ არ გააფუჭოს უკვე შესრულებული ნამუშევარი.
- **სახატავი რვეულები,** შეძლებისდაგვარად სქელი ფურცლებით, რომლებიც წყლის საღებავებისგან არ დეფორმირდება.
- **ფერადი ფურცლები** – სასურველია, მოსწავლეებს დაურიგდეს იმ ზომის და რაოდენობის ფურცლები, რაც საჭიროა კონკრეტული აქტივობისთვის. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს ფურცლის ეკონომიურად (კიდიდან და არა შუიდან) ხმარების აუცილებლობა. ყოველი აქტივობის შემდეგ ფურცლების გამოსაყენებლად ვარგისი ზომის ნარჩენები ინახება მომდევნო აქტივობებისთვის.
- **მუყაო** – ტკბილეულის, პარფიუმერიის, წამლების და სხვა კოლოფები, ელექტროტექნიკის შესაფუთი ყუთები და სხვა.
- **აკვარელის საღებავები**.
- **გუაშის საღებავები** – სასურველია, ყოველი აქტივობისთვის განაწილეს პლასტმასის პალიტრებზე (1 კოლოფი ეყოფა 20 მოსწავლეს). თუ მოსწავლეები პირდაპირ ქილებიდან იხმარენ საღებავს, ქილებში ფერები სხვა ფერის საღებავით დაისვრება და სახმარად უვარგისი გახდება.
- **პალიტრები** – ყოველ მოსწავლეს, საღებავების შესაზავებლად უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური პალიტრა ან ერთჯერადი პლასტმასის თეფში.
- **ღრუბელი** – სხვადასხვა ფაქტურის მისაღებად.
- **ფუნჯები** – საღებავებით სახატავად სასურველია სქელი და წვრილი მრგვალი ფუნჯებით მუშაობა; წებოსთვის კი შედარებით უხეში ფუნჯის გამოყენება.
- **უბრალო ფანქარი**– რბილი – 2–4B.
- **ფლომასტერები** – (2 მოსწავლეზე 1 შეკვრა) სასურველია ჩალაგდეს ჭიქებში.
- **ფერადი ფანქრები**.
- **პასტელის ნაკრები**
- **სახაზავი** – სწორი და სამკუთხა.
- **მაკრატლები** – ბლაგვწვერიანი.
- **პლასტილინი და/ან თიხა** (ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს მარილიანი ცომით) + დაფა და პლასტილინის დანა.
- **წებო** – ქაღალდის საკანცელარიო მშრალი და თხევადი წებო (მარტივი აპლიკაციისთვის), თეთრი ემულსია **(პვა)** კოლაჟისა და კონსტრუირებისთვის (სასურველია განაწილდეს პატარა, თავსახურიან ქილებში). (ალტერნატივა – სახამებლის ფქვილისგან მოხარშული წებო).
- **წყლის ჭურჭელი ფუნჯების გასარეცხად** – ყოველ მოსწავლეს ინდივიდუალურად.

- **საქაღალდეები** – ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საკუთარი პორტფოლიო ნამუშევრების შესანახად (შეგიძლიათ გადაკეცოთ დიდი ფორმატი, დაუწებოთ გვერდითა კიდეები და გააკეთებინოთ მოსწავლეებს ერთგვარი „ჯიბე“, რომლის ზედაპირსაც მოხატავენ ისე, რომ გვერდიგვერდ დალაგებული „ჯიბეებიდან“ ადვილად ამოიცნონ და აიღონ საკუთარი).
- **წინსაფრები და სამკლაურები** – გარდა იმისა, რომ იცავს ტანსაცმელს საღებავის ლაქებისგან, წინსაფარი განაწყობს მოსწავლეებს მუშაობისთვის.
- **პოლიეთილენი** – მერხების დასაცავად საღებავის, პლასტილინის, წებოს ლაქებისგან.
- **საშლელი, სათლელი**.
- კონკრეტული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიკური მასალა: მაგ. ხის წვეტიანი ჩხირები (კბილის საწმენდი), ბამბიანი ჩხირები (ყურის საწმენდი), ასანთის ღერები, საწრუპი მილები, მარცვლეული, ქსოვილები, ძაფები, ღილები, მძივები, ფოთლები, გირჩები, კენჭები...) – მოსწავლეებს მოაქვთ სახლიდან, დანარჩენი მასალა კი სასურველია, ინახებოდეს კლასში.
- თუ კლასში არ არის ონკანი, მასწავლებელს მოუწევს **სუფთა წყლის** მომარაგება, რათა მოსწავლეებმა ხშირად გამოცვალონ ფუნჯის ნარეცხი წყალი, რომელიც მალე შავდება, აფუჭებს ნამუშევარს და მოსწავლეებმა გაკვეთილის დროს არ ირბინონ სკოლის დერეფანში წყლის გამოსაცვლელად; ასევე, მასწავლებელს დასჭირდება რაიმე მოზრდილი ჭურჭელი ჭუჭყიანი წყლის გადასაღვრელად.

სხვა მასალა:

აკრილის საღებავები – რადგან აკრილის საღებავი სწრაფად შრება და გუაშისა და აკვარელისგან განსხვავებით, მშრალი წყალში აღარ იხსნება, მისი გამოიყენება მოსახერხებელია სხვადასხვა ნაკეთობის შესაღებად (აკრილის საღებავი შეიძლება შეიცვალოს პვა წებოში გახსნილი გუაშით).

მასწავლებელს შეუძლია, საკუთარი სურვილისამებრ, ნებისმიერი აქტივობის მასალაში შეიტანოს ცვლილებები. აქტივობების უმეტესობის მასალის ჩამონათვალში იგულისხმება გარკვეული ალტერნატივები: პლასტილინი შეიძლება შეიცვალოს მარილიანი ცომით, ფერადი ქაღალდების ნაცვლად შეიძლება ფერადი ჟურნალებიდან ამოჭრილი გვერდების გამოყენება; მოსწავლეებმა მძივების ნაცვლად შეიძლება იხმარონ გაფერადებული წვრილი კენჭები, პატარა ღილები, ბრინჯი, წვრილად დაჭრილი ნაძვისხის წვიმა და სხვ. მასწავლებელმა უნდა წააქეზოს მოსწავლეები, რათა მათ თავად მოიძიონ, მოიფიქრონ, გამოცადონ და გამოიყენონ სხვადასხვა უჩვეულო მასალა.

სავარჯიშო რვეულები – რვეული ან უბის წიგნაკი (სასურველია უჯრებიანი ფურცლებით), რომელშიც მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობის დროს სამახსოვროდ ჩაიწერს ახალ ტერმინებს, სახელებს, საშინაო დავალებებს, მომდევნო გაკვეთილისთვის მოსატან მასალას... გააკეთებს სავარჯიშოებს, ჩახატავს პატარა ესკიზებს; ექსკურსიებზე მოსწავლეები ამ რვეულში ჩაინიშნავენ შთაბეჭდილებებს, გაჩენილ შეკითხვებს, ჩაწერენ საკუთარ მოსაზრებებს, გააკეთებენ ჩანახატებს; ჩაინიშნავენ რეფერატებს მოცემულ თემაზე, დაწერენ პასუხებს შემაჯამებელ კითხვებზე და სხვ.

სავარჯიშო რვეულების წარმოება დაეხმარება მოსწავლეებს, დაიმახსოვრონ და შეაფასონ ნანახი თუ შესწავლილი, შეძლონ აზრების და იდეების წერილობით გამოხატვა, მიაჩვევს მათ ორგანიზებ-

ულობას. როდესაც მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს რაიმე თემაზე სავარჯიშო რვეულებში საკუთარი მოსაზრების წერილობით გამოხატვას და შემდეგ ჩანაწერის კლასის წინაშე წაკითხვას, ამით მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვევს საჯაროდ, თამამად და გამართულად საკუთარი აზრის გამოთქმას.

დროის ორგანიზება:

იმისთვის, რომ გაკვეთილის დრო მთლიანად დაეთმოს აქტივობას, სასურველია, მოსწავლეებს სამუშაო მასალა გამზადებული დახვდეთ გაკვეთილის დაწყებისთვის.

დროის მოგების მიზნით, სასურველია გაკვეთილის დაწყებამდე, მასწავლებელმა დაფაზე ჩამოწეროს გაკვეთილის გეგმა – სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა და აქტივობის ინსტრუქციის ეტაპები. ასევე, შესასწავლი ტერმინები, სახელწოდებები და იმ ხელოვანების სახელები, რომლებზეც იქნება საუბარი გაკვეთილის მსვლელობის დროს.

იმისთვის, რომ მოსწავლემ კარგად დაიმახსოვროს ახალი ტერმინები, ამ ასაკში თითოეულ გაკვეთილზე მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3-4-ს. გარდა ამისა, აუცილებელია მომდევნო გაკვეთილებზე ამ ტერმინების ხშირი ხმარება, მაგრამ არა გამოკითხვის სახით, არამედ კონტექსტში.

თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ აქტივობის შესასრულებლად მოსწავლეებს შესაძლოა გაკვეთილის დრო არ ეყოთ, მას შეუძლია თეორიული ინფორმაცია მათ დავალების შესრულების პროცესში (ხატვის, ძერწვის დროს) მიაწოდოს.

p.s. მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ საკუთარ ნამუშევარზე წარწერის – სახელის, გვარისა და თარიღის გაკეთებას (უკანა მხრიდან). როდესაც მოსწავლეები აკეთებენ ასლს – იხატავენ, ძერწავენ სხვის ნაწარმოებებს, საკუთარი სახელის გვერდით აუცილებლად უნდა დაწერონ ორიგინალი ნამუშევრის ავტორის სახელიც.

შეფასება

მე-4 კლასში კვლავ მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

წლის ბოლოს საგნის მასწავლებელი კლასის დამრიგებელს გადასცემს მოსწავლის მოკლე წერილობით შეფასებას, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

მოსწავლეები ფასდებიან ერთნაირი წონის მქონე შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე

დავალებების გამოყენება (მაგ., პროექტში მონაწილეობა, კვლევის ჩატარება, ნამუშევრის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის ქვემოთ გთავაზობთ შეფასების კრიტერიუმებს (ასევე, იხ.: დანართი).

თითოეული მასწავლებელი კათედრას წარუდგენს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაციას: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

შემაჯამებელი დავალებები

დანართში გთავაზობთ შემაჯამებელ დავალებებსა და მათი შეფასების ფორმებს. მასწავლებელი არ არის ვალდებული გამოიყენოს ეს გაკვეთილები მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების შესამოწმებლად. დავალებებს ახლავს შესაბამისი შედეგებისა და ინდიკატორების ჩამონათვალი, შეფასებისა და თვითშეფასების ფორმები, სავარაუდო კომენტარებისა და რეკომენდაციების ნიმუშები, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია ჩაასწოროს ან შეცვალოს დასმული აქცენტები (იხ.: დანართი). შემოთავაზებული სავარაუდო კრიტერიუმებიდან მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს რამდენიმე ყველაზე აქტუალური, რადგან მეოთხეკლასელებს უჭირთ კონცენტრაცია ბევრ მოთხოვნაზე.

I შემაჯამებელი დავალება ტარდება თავის („ხაზი, ფერი, ფორმა“) დასასრულს, ცალკე გაკვეთილზე, **ტესტ**ის სახით. მასწავლებელმა ქსეროასლი უნდა გადაიღოს და დაურიგოს ის მოსწავლეებს.

II შემაჯამებელი დავალება (**დებატები**) ტარდება გაკვეთილზე: „დამიმტკიცე“ (თემა: „ბრეიგელის თამაშები“).

III შემაჯამებელი დავალება (**ნამუშევარი**) ტარდება გაკვეთილზე „ოჯახური მყუდროება“.

IV შემაჯამებელი დავალება ტარდება **პროექტის** „ქალაქობანა“ დასასრულს, თემის მესამე გაკვეთილზე.

უკანასკნელი შემაჯამებელი დავალება ტარდება გაკვეთილზე „კამათელი“ (**კვლევა, აღწერა, ანალიზი, შედარება, შეფასება**).

გაკვეთილის/თემის ბოლოს დასასმელი შემაჯამებელი შეკითხვები:

ხელოვნების შესახებ:

- რატომ კიდებენ ადამიანები კედლებზე სურათებს?
- თქვენ გიკიდიათ კედელზე სურათი? რას გრძნობთ, როდესაც მას უყურებთ?
- რატომ არსებობს ხელოვნების მუზეუმები, გალერეები, საგამოფენო დარბაზები?

- რატომ მოგზაურობენ ადამიანები უცხო ქვეყნებში ხელოვნების ძეგლების და მუზეუმების სანახავად?
- რისთვის არის საჭირო ხელოვნება?
- რაში გვეხმარება ხელოვნება? რაში ეხმარება ხელოვნება საზოგადოებას? ცალკეულ ადამიანს?
- როგორ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ გარემო (ოთახი, შენობა, უბანი, ქალაქი) ხელოვნების მეშვეობით?
- რას გვიამბობს ხელოვნება ცხოვრების შესახებ?
- ხელოვნება ფუფუნებაა თუ აუცილებლობა?
- რას ნიშნავს – ხელოვნება კომუნიკაციის უნივერსალური ენაა/საშუალებაა?
- როგორი იქნებოდა სამყარო ხელოვნების გარეშე?
- სახვითი ხელოვნების რა დარგები/ჟანრები არსებობს? რომელი მოგწონთ მეტად? რომელი მოგწონთ ნაკლებად? რატომ?
- ხელოვნების რომელ დარგებს ესაჭიროება მხატვრის პროფესია?
- რომელ არასახელოვნებო დარგებს სჭირდება მხატვრის პროფესია?
- რისთვის არის საჭირო გამოყენებითი ხელოვნება?
- გამოყენებითი ხელოვნების რა დარგები არსებობს?
- როგორ მოქმედებს რეკლამა?
- ხელოვანი ადამიანი შრომობს თუ ერთობა?
- ვინ წყვეტს, ეს ნაწარმოები შედევრია თუ არა?
- როგორ ხდებიან ხელოვანები?
- რითია ხელოვანის ცხოვრება მომხიბვლელი?
- არსებობს წარმატების რეცეპტი?
- რა პრობლემებს შეიძლება წააწყდეს ხელოვანი ცხოვრებაში საკუთარი პროფესიის გამო?
- რატომ არის ასე ცოტა ქალი-ხელოვანი?
- რატომ არის ხელოვნება ასე განსხვავებული სხვადასხვა ქვეყანაში?
- როგორ იცვლება სილამაზის იდეალი და სტანდარტი სხვადასხვა დროსა და ქვეყანაში?
- შეიძლება ხელოვნების ნაწარმოები იყოს უშნო?
- როგორ მოქმედებს გარემო ხელოვანზე?
- როგორ მოქმედებს საზოგადოება ხელოვანზე?
- როგორ მოქმედებს პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ან რელიგიური ვითარება ხელოვანზე?
- როგორ ცვლის ცოდნა ხელოვნებას?
- როგორ ცვლის ხელოვნება ცოდნას?
- რას ნიშნავს შემოქმედებითობა?
- როგორ დაგეხმარება ხელოვნება სხვა საგნების სწავლაში?
- როგორ უნდა გამოგადგეს სხვა საგნებში ნასწავლი საკუთარ შემოქმედებაში? გქონიათ ასეთი შემთხვევა?

საკუთარი ნამუშევრის შესახებ:

- საიდან მოგივიდა ეს აზრი (საიდან მოგივიდა შთაგონება)?
- რა გამოსახე შენს ნამუშევარში?
- რას გრძნობ, როცა ნამუშევარს ქმნი?
- ნამუშევრის შექმნამდე იფიქრე თუ არა წინასწარ, რა მასალა მოუხდება მეტად შენს ჩანაფიქრს (ფანქარი, პასტელი, ნახშირი, ცარცი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, თიხა...)
- რა მასალა იხმარე ნამუშევრის შექმნისას? რატომ?
- რა ფერები შეარჩიე დასახატად და რატომ?
- ქაღალდის როგორი ორიენტაცია (ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური) აირჩიე და რატომ?
- რა დრო მოანდომე მუშაობას?
- მოგწონს შენი ნამუშევარი?
- აქამდე გაგიკეთებია მსგავსი სამუშაო? რა გამოცდილება შეიძინე მაშინ?
- რა გამოცდილება დაგეხმარა ამ ნამუშევრის შექმნისას?
- რისი ცოდნა დაგჭირდა ამ ნამუშევარზე მუშაობისთვის?
- რა უნარები დაგჭირდა ამ ნამუშევარზე მუშაობისთვის?
- ნამუშევრის შექმნისას, გაითვალისწინე მეგობრების აზრი?
- ნამუშევრის შექმნისას გაითვალისწინე მასწავლებლის რჩევა?
- ამ სამუშაოსთან დაკავშირებით, რას აპირებდი? რა მოლოდინი გქონდა?
- გამოგივიდა ის, რასაც აპირებდი თუ რაიმე შეცვალე?
- რამდენად შეიცვალა შენი ნახატი ჩანაფიქრიდან საბოლოო, დასრულებულ ნამუშევრამდე? რა შეცვალე და რატომ?
- თავიდან რომ აკეთებდე, რას შეცვლიდი?
- რა ცოდნა შეიძინე მუშაობის დასრულებისას?
- რა უნარები შეიძინე და განივითარე ამ ნამუშევარზე მუშაობისას?
- რა იყო მუშაობისას ყველაზე რთული? ადვილი?
- რა გამოგივიდა კარგად, რა გაგიჭირდა?
- როგორ შეაფასებდი ამ ნამუშევარს?
- როგორ შეაფასებდი ამ ნამუშევარს, მასწავლებელი რომ იყო?
- გინდა, რომ შენი ნამუშევარი გამოიფინოს?
- ვის გინდა აჩვენო ნამუშევარი?
- ვისთან გირჩევნია შენს ნამუშევრებზე საუბარი – მეგობართან, მშობელთან თუ მასწავლებელთან?
- ნამუშევრის შექმნისას რომელი ეტაპი გიხარია/გსიამოვნებს ყველაზე მეტად – პროცესი თუ შედეგი? რატომ?

გაკვეთილის/თემის შესახებ:

- დაგაინტერესათ დღევანდელმა თემამ?
- რა დაგამახსოვრდათ დღევანდელი გაკვეთილიდან?
- რითი განსხვავდებოდა დღევანდელი გაკვეთილი სხვა გაკვეთილებისგან?
- გაქვთ თუ არა შენიშვნები გაკვეთილის მსვლელობის თაობაზე?
- ვინ ეთანხმება კლასის/მეგობრის მოსაზრებას? ვის აქვს განსხვავებული აზრი?
- ეთანხმები თუ არა მასწავლებლის მოსაზრებას?
- ემთხვევა თუ არა თქვენი აზრი სხვა მოსაზრებებს?
- შეგვიძლია სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს?
- ვინმე ხომ არ დაუმატებდა რამეს?
- როგორ შეიძლება გავიგოთ, სწორია თუ არა ჩვენი აზრი?
- როგორ შევამოწმოთ ჩვენი აზრი?
- რა დაგეხმარათ შემოწმებაში/ამ პრობლემის გადაჭრაში?
- რა დაგეხმარათ დამახსოვრებაში/სწავლაში?
- მიუბრუნდით მეწყვილეს და გაუზიარეთ, რა ისწავლეთ დღევანდელ გაკვეთილზე.
- კიდევ რა გაინტერესებთ ამის შესახებ? მიუბრუნდით თქვენს მეწყვილეს და გაუზიარეთ აზრი.
- კიდევ რა ინფორმაცია გვჭირდება?
- კიდევ რა უნარები გვჭირდება?
- მე შევამჩნიე, რომ... თქვენ რა შეამჩნიეთ?

ცნობარი:

ძირითადი ტერმინები და მათი განმარტება:

ხელოვნების დარგები და სახეობები: სახვითი ხელოვნება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, კინო, თეატრი, ლიტერატურა, მუსიკა, ქორეოგრაფია, არქიტექტურა.

სახვითი (პლასტიკური) ხელოვნების დარგები:

ფერწერა — დარგი, რომელშიც გამოსახულება საღებავის მეშვეობით იქმნება;

გრაფიკა — დარგი, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა ნახატს ენიჭება (მაგ., ფანქრით, ტუშით, ნახშირით და ა.შ.);

ქანდაკება — სხვადასხვა მასალისაგან გამოსახულების ძერწვისა და კვეთის ხელოვნება;

არქიტექტურა – დაგეგმარებისა და მშენებლობის ხელოვნება;

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგები: ყველა დარგი, რომელიც ქმნის დიზაინით გამორჩეულ სააყოფაცხორებო დანიშნულების ნაკეთობებს – ავეჯს, ქსოვილებს, ჭურჭელს, იარაღებს, ტანსაცმელს, სხვადასხვა სახის მოსართავებს და სხვ.

ჟანრები:

პორტრეტი — ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოსახულება;

პეიზაჟი — ბუნების ან ქალაქის ხედი;

ნატურმორტი — უსული საგნების ამსახველი ჟანრი;

ყოფითი ჟანრი — ყოველდღიური ყოფის ამსახველი ჟანრი;

ისტორიული ჟანრი — ისტორიული პირებისა და მოვლენების ამსახველი ჟანრი;

რელიგიური ჟანრი — რელიგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი;

მითოლოგიური ჟანრი — მითოლოგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი;

ანიმალისტური ჟანრი — ცხოველების ამსახველი ჟანრი;

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წლიური პროგრამა

IV კლასი – წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ჭექა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
2. ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;
3. იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს, კონტურს და შტრიხს;
4. ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
5. თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);
6. იყენებს კონტრასტულ ფერებს;
7. ქმნის კონტრასტულ ნამუშევრებს საპირისპირო წყვილების გამოყენებით (დიდი-პატარა, ბნელი-ნათელი და სხვ.)
8. აკვირდება გარემოში ფორმათა მრავალფეროვნებას და ასახავს ნამუშევარში;
9. შეარჩევს და განალაგებს სხვადასხვა ზომის გამოსახულებებს წინა და უკანა ხედის გადმოსაცემად;
10. ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ნამუშევრებს;
11. სხვადასხვა ხერხით (ფორმით, ზომით, ფერით) გამოყოფს ნამუშევარში მთავარს;
12. სხვადასხვა მხატვრული ხერხით ნამუშევარში გადმოსცემს დინამიკას (ქარი, ფეხბურთი, ფოთოლცვენა და სხვ.).

ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით ქმნის ნამუშევრებს სხვადასხვა ჟანრში (პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი);
2. ძერწავს და ქმნის მცირე პლასტიკის ნიმუშებს, მარტივ კომპოზიციებს, კონსტრუქციებს სხვადასხვა (ბუნებრივი, ხელოვნური) მასალის გამოყენებით;

3. ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);
4. მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;
5. ქმნის გარემოში არსებული განსხვავებული ფაქტურის იმიტაციას/ილუზიას მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით;
6. კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში ქმნის ნამუშევრებს (იყენებს სხვადასხვა ტიპისა და სისქის ხაზს, კონტურს, ფერს; გამოსახავს ორგანზომილებიან ფორმებს, ორნამენტს);
7. კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში ქმნის რიტმულ, სიმეტრიულ, ასიმეტრიულ ნამუშევრებს.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ერთობლივი მუშაობისას (ღონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;
2. ელექტრონულად უგზავნის საკუთარ ციფრულ ნამუშევარს როგორც თანაკლასელებს, ისე მასწავლებელს;
3. იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას და ეხმარება თანაკლასელებს;
4. იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას;
5. ირჩევს სამუშაო იარაღებს, მასალას, აწესრიგებს მათ განსაზღვრული დროის მონაკვეთში.

ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;
2. სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;
3. საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);
4. უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, ეკითხება და უპასუხებს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;
5. ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევებს თანაკლასელებს.

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ადარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;
2. ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი);
3. ასახელებს და ახასიათებს სახვითი ხელოვნების დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს (მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი და სხვ.);
4. აგროვებს ინფორმაციას ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს; მუშაობს ინტეგრირებულ პროექტებზე (ქართული, ბუნებისმეტყველება, მუსიკა და სხვ.);
5. საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;
6. ადარებს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ხელოვნების ნიმუშს ლიტერატურულ ან მუსიკალურ ნაწარმოებს და საუბრობს თავის შთაბეჭდილებებზე.

შინაარსი და რეკომენდაციები

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი: სხვადასხვა ტიპის და სისქის ხაზი, კონტური და შტრიხი.

აქტივობები ხაზით:

მოსწავლე იყენებს შტრიხს და სხვადასხვა ტიპის ხაზს გამოსახულებების შესაქმნელად; სხვადასხვა ტიპის ხაზების გამოყენებით ცდილობს გადმოსცეს მოძრაობა (მაგ., ხეების მოძრაობა ქარში და სხვ.).

ფერი: ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერები, ტონალობა - თეთრის ან შავი ფერის დამატებით მიღებული ტონი.

აქტივობები ფერით:

მოსწავლე ჩანაფიქრის, გუნება-განწყობილების (ემოციების) და დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებების გადმოსაცემად იყენებს ძირითად, შედგენილ, ცივ და თბილ ფერებს, კონტრასტულ ფერებს, მათი გამოყენებით აქცენტირებას აკეთებს განსაკუთრებით ემოციურ ან საყურადღებო სიუჟეტებზე.

იყენებს ტონალობას (თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის სინათლის ხარისხს: ნათელი-ბნელი-ვარდისფერი, ცისფერი, იასამნისფერი და სხვა).

აკვირდება გარემოში ობიექტებს, მათ შეფერილობას და ასახავს ნამუშევარში; გამოხატავს შესაბამისი ფერით დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთს, წელიწადის დროს, რაიმე მოვლენას და სხვ.

კონტრასტული ფერებით ხატავს ეგზოტიკურ ფრინველებს, ცხოველებს, მცენარეებს, დღესასწაულებს, არდადეგების ყველაზე დასამახსოვრებელ მომენტებს და სხვ.

ცივი და თბილი ფერების გამოყენებით ქმნის გარკვეულ განწყობილებას.

ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს.

ფორმა: 2 და 3D - ბრტყელი და მოცულობითი, სიმეტრიული და ასიმეტრიული.

აქტივობები ფორმით:

მოსწავლე იყენებს სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ფორმებს ნამუშევრის შესაქმნელად. თავად ქმნის ორ და სამგანზომილებიან - ბრტყელ და მოცულობით ფორმებს და აწყობს კონსტრუქციებს; თიხით, პლასტილინით, ცვილით, ცომის გამოყენებით ძერწავს მცირე პლასტიკის ნიმუშებს და ქმნის კომპოზიციას, კონსტრუქციას, სხვადასხვა საგანს.

პრინციპები: რიტმი, წინა და უკანა ხედი, ძირითადის გამოყოფა, სტატიკა, დინამიკა, კონტრასტი.

გამოყენებული პრინციპები:

მოსწავლე გადმოსცემს წინა და უკანა ხედს გამოსახულების ზომის, მკვეთრი და მკრთალი ფერების საშუალებით (წინა ხედი - მკვეთრი, უკანა ხედი - მკრთალი); ცდილობს გადმოსცეს/დახატოს/გამოძერწოს სტატიკური და დინამიკური გამოსახულებები (მაგ., ფოთოლცვენა, ქარი, ბავშვები თამაშობენ ბურთს და სხვ.); ქმნის რიტმულ გამოსახულებებს, სხვადასხვა ზომით, ფერით გამოყოფს მთავარს ნამუშევარში; აკვირდება გარემოში საპირისპირო წყვილებს: კონტრასტულ ფერებს (ბუნებაში, სამოსზე და სხვ.), ბნელ და ნათელ, დიდ და პატარა (ადამიანები, საგნები და სხვ.) გამოსახულებებს და ასახავს ნამუშევარში.

მასალა და იარაღი: ფანქარი (ფერადი, უბრალო), პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, პლასტილინი, თიხა, ტრადიციულ და არატრადიციული მასალა (პლასტმასის და მინის ბოთლები, ლითონის ნივთები, მუყაოს და პოლიეთილენის პარკები და სხვ.), ფუნჯი, მაკრატელი, წებო.

ტექნიკა და პროცედურა: ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, მონოტიპია, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვა.

გამოყენებული მასალა და ტექნიკა:

მოსწავლე მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკით, სხვადასხვა ხერხის, ტრადიციული და არატრადიციული იარაღის გამოყენებით ატარებს ექსპერიმენტებს. იყენებს ფანქრებს, საღებავებს, მარკერებს, ცარცს, ცვილს, ცომს, ჟურნალ-გაზეთებს, საკაწრავ საშულებას, მძივებს, ქვებს, ნიჟარებს, თოკს, მავთულს, სხვადასხვა ზომის ლითონისა და მუყაოს ყუთებს და სხვა მრავალფეროვან ხელოვნურ თუ ბუნებრივ მასალას გრაფიკული, ფერწერული, აპლიკაციის, კოლაჟის, ანაბეჭდების, მონოტიპიის, მცირე პლასტიკის ნიმუშების, მარტივი ნაკეთობების, კონსტრქუციების და სხვ. შესაქმნელად.

გადმოსცემს გარემოში/ბუნებაში არსებული სხვადასხვა ობიექტის ფაქტურის იმიტაციას/ილუზიას (დაჭმუჭნული ქაღალდით, დაკაწვრით, ჯაგრისით, სხვადასხვა ტიპის ხაზის, ლაქის გამოყენებით და სხვ.).

სავარაუდო თემები: „ზაფხულის ერთი დღე“, „ზამთრის არდადეგები“, „დილა“, „ჩემი ოჯახი“, „ოჯახური ტრადიცია“, „დაბადების დღე“, „პეპელა“, „ჩემი საყვარელი ცხოველი“, „ჩემი სკოლა“,

„ზღაპრების ქვეყანაში“, „ჯადოსნური ტყე“, „წინათ და ახლა“, ცხოვრებაში ნანახი ყოფითი სცენები ან გაგონილი ამბები (მაგ.,, რთველი, ოჯახური დღესასწაულები და სხვა), „ჩემი გარემო„ (ქალაქი, სოფელი, სატრანსპორტო საშუალებები (მატარებელი, მანქანა, თვითმფრინავი), ხიდები, შენობები, მოედნები და სხვ.), „მოგზაურობა დროში“, სერია: „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“, „მოგზაურობა გემით/ თვითმფრინავით/მატარებლით...“, „სადგური“, „აეროპორტი“, „ნავსადგური“, „ბიბლიოთეკა“, „მომავლის ტრანსპორტი“, „თეატრში“, „ქუჩაში“, „სპორტული შეჯიბრი“,''უცნაური საფრენი აპარატი'' და სხვ. (შეიძლება იყოს ადგილობრივი საწარმოს, ადგილობრივი არქიტექტურული ძეგლის, ადგილობრივი და უცხოური ტრადიციის ამსახველი თემებიც) ასევე თემები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით.

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

თემები და გაკვეთილები	სასწავლო დროის ხანგრძლივობა	სტანდარტის მიმართულებები და შედეგები: შემეცნებითი საქმიანობა					
		1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებზე და ბავშვობიდან დაკუმულებულ ფიქრებზე, ოცნებებზე-საფუძვლიანი (ემოციური) და/ან გაორმაგებულ დაკვირვებებზე შექმნილ ფიქრებზე თავისუფალ ასოციაციებზე ნაგულისხმევი ხელოვნური ბუნების ელემენტებისა და ეროვნულ-ეკონომიური გამოყენების.	2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა ფერადოვანი ბაბალეტი და ბეჭედი (ფერადი ქაღალდი, ფანაფარა, ფოლგა, ბამბა) ფერადოვანი ბაბალეტის ან ბეჭედის გაკეთებისას.	3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკალეს-სელენთან თანაბრმოგალობით (წყვილ-ლები, ჯუნდები) ფესალრუსელენტი საგულ-ბაიმ დაბეზგვა და გაბნეთოტენციალები.	4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალურად და ერთობლივი ნაგულვენერის ნარდენტის ფილოგენეზის ბაზისური და საუბარი საკუთარ, თანამედროვე ან ცნობილ ხელოვანთა ნაგულვენტებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.	5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ადამიანი და გაორკვენილი ხელოვნებითი ხელოვნების ადგილი ზოგიერთი ყოფნის ადგილბა-ვნები ერთმანეთისგან, თათი დაკავშირებული ტერმინებზე ცხოვრებისა და ადამიანურ ბაზაზე ბაზაზე ბაზაზე.
თემა I: ხაზი, ფერი, ფორმა							
ფერთა თეორია	1	X					
გოეთეს საფერთხედი	2	X	X				
ფუქი და ღია	1	X	X				
პასტელური ფერები	1	X	X				
მწვანე	1	X	X				
ფერი და განწყობა	1	X					
შტრიხი (პოეროვანი პერსპექტივა)	1	X					
დიფერერის მარტორქა	1	X	X		X		X
მელანქოლია	2						
კიტ პორინგი	1	X	X	X	X		X
კუბიზმი	1	X	X		X		
მატყუარა ხაზები	2	X	X				X

		1	2	3	4	5
თემა 2: ჟანრები						
ანარეკლი	3	X	X			
კაკაბაძის იმერეთი	1	X	X			X
ანაბეჭდი	1	X	X		X	Xь
ტარიელის პორტრეტი	2		X		X	X
ყაჯარული პორტრეტი	1		X		X	
მოდილიანი	1	X			X	X
ბრეიგელის თამაშები	1				X	X
დამიმტკიცე	1			X		X
მამალი	1	X	X			X
ანიმალისტური ჟანრი	1	X	X			X
მითიური ცხოველები	2				X	X
თემა 3: მსჯელობა						
ერთი შედევრის ისტორია	1				X	X
ვან გოგის ასლი	1	X			X	
შობა	3			X		X
ჯგუფური პორტრეტი	2		X	X		X
საპარადო პორტრეტი	1					
ოჯახური მყუდროება	1	X	X		X	X
დიზაინი	1					X
თემა4: ქანდაკება						
კვიპროსული კერპები	1	X	X			
ეგვიპტური იეროგლიფები	1					X
მოლაპარაკე პალიტრა	2					
გაიცანით კუ!	1	X	X			

		1	2	3	4	5
თემა 5: არქიტექტურა						
ეგვიპტე	2		X	X		X
ბერძნული ორდერი	1					
ციხეიმაგრე	2		X	X		X
უსწორმასწორო შენობები	1	X	X			X
ქალაქობანა	3	X	X	X	X	X
ლენდ არტი	1		X			
თემა 6: ტექნიკები						
აფრიკული ნიღბები	1	X	X			X
ჯადოსნური ხალიჩა	1	X	X			X
თექა	2		X			
ანაბეჭდი კარტოფილით	1		X			
საკურა	1	X	X			
მრავალწერტილი	1		X			
გრატაჟი	1		X			
პალეონტოლოგობანა	1		X			
რესტავრაცია	1			X		X
აბსტრაქცია ჟან არპის სტილში	1	X	X			
თემა7: შემაჯამებელი გაკვეთილები						
კამათელი	1			X	X	X
თამაში ტერმინებზე	1			X	X	X

გაკვეთილების სცენარები

I თემა: ხაზი, ფერი, ფორმა

ფერთა თეორია

მიზანი:

ფერთა თეორიის ელემენტარული დებულებების გაცნობა.

შედეგი:

ს.გ. IV.1 – 6, 7.

ასათვისებელი ტერმინები:

პრიზმა

გრადაცია

სისტემა

მასალა:

სახატავი ფურცლები

1 დიდი ზომის ფურცელი პლაკატისთვის

მაკრატელი

წებო

ფარგალი ან მრგვალი საგანი.

საღებავები

ფუნჯი

წყალი

პალიტრა

ვიზუალური მასალა:

ფერების სხვადასხვა ტიპის ბორბალი

გაკვეთილის მსვლელობა:

წარმოიდგინეთ, რა უღიმღამო იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, როგორც შავ-თეთრ კინოში, აქრომატულ, არაფერად სამყაროში რომ ვცხოვრობდეთ – ყაყაჩო მუქი ნაცრისფერი იქნებოდა, ცა ღია ნაცრისფერი; ნაცრისფერ ქუჩებში, ნაცრისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები ივლიდნენ. სხვადასხვა სიმუქის ნაცრისფერი საღებავებით ნაცრისფერ ნახატებს დავხატავდით...

– ჩამოვთვალოთ, როგორი სიტყვებით შეიძლება დავახასიათოთ ფერები? მე დავიწყებ, თქვენ კი გააგრძელეთ –კაშკაშა და მკრთალი...

თბილი და ცივი,

ნათელი და ბნელი,

ღია და მუქი,

მკვეთრი და ბაცი,

მხიარული და მოწყენილი,

კონტრასტული და გარდამავალი,

ჭრელი, ჭყეტელა, ხასხასა, მყვირალა, გაქექილი, სასიამოვნო, უსიამოვნო...

ქრომატული, ანუ ფერადი და აქრომატული, ანუ უფერო, ნაცრისფერი.

მანამ მოსწავლეები ასახელებენ ფერის თვისებებს, მასწავლებელი ჩამოწერს მათ დაფაზე ისე, რომ ერთ მხარეს მოხვდეს ყველა დადებითი მახასიათებელი: თბილი, ნათელი, მხიარული..., მეორე მხარეს კი უარყოფითი: ბნელი, ცივი და სხვა.

მასწავლებელი ამბობს: მიაქციეთ ყურადღება დაფაზე ჩამოწერილ სიტყვებს და იპოვეთ კანონ-ზომიერება, რომელიც ფერთა თვისებების ჩამოთვლის პროცესში გაგვიჩნდა.

თუ მოსწავლეები ვერაფერს აღმოაჩენენ, მასწავლებელი მიუთითებს მათ დაფაზე ჩამოწერილ სიტყვებზე და ეტყვის:

ფერის ყოველ მახასიათებელს აქვს მისი საპირისპირო მნიშვნელობის მახასიათებელი ბნელი/ ნათელი; ცივი/თბილი და ა.შ.

მათემატიკაში არსებობს ორი ნიშანი, რომლებიც დადებითს და უარყოფითს აღნიშნავენ. რა ეწოდება ამ ნიშნებს?

ესენია + და - .

ფერების ამ ჩამონათვალიდან რომლებს დაუსვამდით + ნიშანს და რომელს - ?

ყოველ ჩვენგანს აქვს თავისი დამოკიდებულება ფერების მიმართ – ზოგი ფერი მოსწონს, ზოგი არ უყვარს. ფერების გარკვეული შეხამება სიამოვნებს ან აღიზიანებს.

ფერებს იმდენად დიდი გავლენა აქვთ ადამიანის განწყობაზე, რომ ამ საკითხით არაერთი მეცნიერი დაინტერესდა, შეისწავლა ფერების ბუნება და თავისი სისტემა ჩამოაყალიბა.

არისტოტელე, ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი, 4 ძირითად ფერს ცნობდა – თეთრს, ყვითელს, შავს და წითელს.

ლეონარდო და ვინჩი, იტალიელი მხატვარი და გამომგონებელი, თვლიდა, რომ არსებობს ექვსი ძირითადი ფერი – წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, თეთრი და შავი.

ისააკ ნიუტონმა, ინგლისელმა მეცნიერმა, ფერების ისტორიაში ახალი, მეცნიერული ხედვა შემოი-ტანა – მან შუშის პრიზმაში გაატარა სინათლის თეთრი სხივი, რომელიც ცისარტყელას 7 ფერად დაიშალა - წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი /ან მომწვანო-მოლურჯო/, ლურჯი და იისფერი. მან ისინი წრეზე განალაგა.

გოეთემ, გერმანელმა მწერალმა ექვსფერიანი სქემა მოიფიქრა: სამკუთხედის წვეროებზე განალაგა ძირითადი ფერები: ლურჯი, ყვითელი და წითელი. ხოლო მათი შეზავებით მიღებული მწვანე, იისფერი და ნარინჯისფერი ძირითად ფერებს შორის ჩასვა.

ნიუტონს, გოეთეს და ლეონარდოს სისტემებში, ძირითადი ფერები ერთნაირია – წითელი, ყვითელი და ლურჯი.

როგორც არ უნდა ეცადო, რა ფერებიც არ უნდა შეაზავო, ამ სამ ფერს ვერ მიიღებ; სამაგიეროდ, მხოლოდ ამ სამი ფერის საღებავით, შეიძლება ნებისმიერი სხვა ფერის დამზადება.

აქტივობა:

მოსწავლეები ამოირჩევენ და სახელმძღვანელოში მოცემული ნიმუშების მიხედვით დაამზადებენ

სხვადასხვა ტიპის ფერების ბორბლებს – სამი ძირითადი ფერის, გოეთეს, არისტოტელეს, ლეონარდოს ან ნიუტონის ბორბალს.

ფარგლით, ფერად ფურცლებზე შემოხაზავენ წრეებს. თვალით გაყოფენ მათ იმდენ ტოლ ნაწილად, რამდენი ფერის შემცველი ბორბლის გაკეთებასაც აპირებენ.

გაფერადებული წრეებით დაამზადებენ თვალსაჩინოების პლაკატს:

ამოარჩევენ საუკეთესოდ შესრულებულ ნიმუშებს, დააწებებენ მათ დიდი ზომის ფურცელზე და გაუკრთებენ განმარტებით წარწერებს.

პ.ს. მასწავლებელს შეუძლია, ნიუტონის ცდაზე საუბრისას მოსწავლეებს აჩვენოს ცდა – ჭიკარტით დაამაგროს ფანქრის საშლელზე და სწრაფად დაატრიალოს ნიუტონისეული შვიდფერა ან სამი ძირითადი ფერის ბორბალი. ბრუნვისას, ჭრელი ბორბალი გათეთრდება.

აქტივობის პლაკატის ნიმუშები:



II გაკვეთილი

გოეთეს სამკუთხედი

მიზანი:

გოეთეს ფერთა თეორიის გაცნობა;

ფერების შეზავების პრაქტიკა;

ინსტრუქციით მუშაობის უნარი;
ფორმულის გააზრების უნარი.

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 4, 5, 6, 7.

ასათვისებელი ტერმინები:

თეორია – იდეების სისტემა, დასკვნა

მასალა:

სახატავი ფურცელი
მაკრატელი
სახაზავი (არ არის აუცილებელი – ჯობია, მოსწავლეები მიეჩვიონ თვალით გაზომვას)
გუაშის ლურჯი, ყვითელი და წითელი საღებავები
ფუნჯი
პალიტრა
წყალი

ვიზუალური მასალა:



გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ფერების შვიდფერა ბორბალს და იკითხავს:

– რომელი ფერები აკლია ამ ბორბალს? (რუხი, ყავისფერი, შავი და თეთრი)

გოეთე, მე-18 საუკუნის პოეტი, მოაზროვნე და მკვლევარი, მხიარული, ცნობისმოყვარე ადამიანი იყო.

უყვარდა გართობა, ხუმრობა, ნადირობა და დროსტარება, ამავე დროს, ზრუნავდა მუზეუმებსა და არქიტექტურულ ძეგლებზე, დგამდა წარმოდგენებს, განაგებდა გზების მშენებლობას, სახელმწიფო ფინანსებს და სხვა სერიოზულ საქმეებს. ყოველივე ამის გარდა, სწავლობდა გეოლოგიას, ბოტანიკას, ანატომიას, მინერალოგიას და სხვა მეცნიერებებს. ატარებდა კვლევებს და წერდა სერიოზულ სამეცნიერო ნაშრომებს.

დაკვირვებებისა და ცდების შედეგად, გოეთემ შეიმუშავა ფერთა თვისებების თეორია. გოეთეს თეორიაში, სხვა თეორიებისგან განსხვავებით, ფერები ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ

ერთმანეთთან ურთიერთობენ, ერთმანეთს ერწყმიან, გადაედინებიან ერთიდან მეორეში. თუკი უმეტესი მკვლევარი ფერებს წრეზე ალაგებდა, გოეთემ ისინი სამკუთხედში ჩასვა და აი, რა მიიღო:

სამკუთხედის კუთხეებში დასვა ძირითადი ფერები – წითელი, ლურჯი და ყვითელი, ხოლო გვერდებზე მათი შეზავებით მიღებული მეორადი ფერები – იისფერი, ნარინჯისფერი და მწვანე.

დარჩენილი ცარიელი უჯრები კი ერთმანეთის მეზობელი ფერების ნაზავმა დაიკავა.

თუკი სხვა ფერის ბორბლებში დაუმსახურებლად დაჩაგრეს და ადგილი არ მიუჩინეს ყავისფერსა და ნაცრისფერს, გოეთეს სამკუთხედში ისინი მშვენივრად მოკალათდნენ სამკუთხედის შუაგულში.

აქტივობა 1:

ყველა მოსწავლე ცალ-ცალკე ხატავს გოეთეს სამკუთხედს სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციის და ფორმულის დახმარებით.

სახატავ ქაღალდზე უნდა დაიხატოს და გამოიჭრას ტოლგვერდა სამკუთხედი, რომელიც პარალელური ხაზებით სამ ტოლ ნაწილადაა გაყოფილი, შედეგად, ძირითად სამკუთხედში 9 პატარა სამკუთხედია ჩახაზული.

სახელმძღვანელოში მოცემულია ნიმუში, როგორ უნდა მოიკეცოს და მოიჭრას კვადრატული ფურცლიდან ტოლგვერდა სამკუთხედი. და როგორ დაიყოს იგი ტოლ ნაწილებად.

როდესაც ყველაფერი დაიხაზება და გამოიჭრება, მოსწავლეები გააფერადებენ ყოველ უჯრას ნიმუშის და ფორმულის მიხედვით.

მოსწავლეები განაწილდბიან 5-კაციან ჯგუფებად. გაფერადებულ და გამშრალ სამკუთხედებს დააწებებენ ერთ ფორმატზე – ყოველი 5 სამკუთხედით შეიკვრება ერთი ხუთკუთხედი.

სასურველია, ჯგუფებმა მოილაპარაკონ და სხვადასხვა სისტემით დააწებონ სამკუთხედები – მაგ. ერთი ჯგუფი დააწებებს ლურჯი წვეროებით ცენტრისკენ, მეორე კი – ყვითლებით. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა ვიზუალური ეფექტი მიიღება და მოსწავლეებს შეეძლებათ მსჯელობა მიღებულ შედეგებზე.

აქტივობა 2:

მოსწავლეები გაიხსენებენ განვლილ გაკვეთილს და იმსჯელებენ, თუ
რა ფორმაზე და რა პრინციპით დაალაგა გოეთემ ფერები,
კიდევ ვის ჰქონდა შექმნილი ფერების თავისებური თეორია,
რა განსხვავებაა გოეთეს ფერთა თეორიასა და სხვა თეორიებს შორის.

აქტივობა 3:

მასალა:

მასწავლებლის მიერ ამობეჭდილი, დიდი სამკუთხედის გაფერადების ფორმულის ნიმუში

4 ფურცლის კვადრატი

საღებავები

პალიტრა

ფუნჯი

წყალი

მოსწავლეები დახატავენ გოეთეს სამკუთხედის მაგვარ დიდ სამკუთხედს და გააფერადებენ მას მასწავლებლის მიერ ამობეჭდილი ნიმუშის მიხედვით.

მოსწავლეები გაიმეორებენ პირველი აქტივობის პროცედურებს შედარებით მოზრდილ სამკუთხედებზე. ამჯერად გაყოფენ მათ 5 ტოლ ნაწილად და შესაბამისად მიიღებენ 25 უჯრას. უჯრებს შეღებავენ ისე, როგორც ფორმულაშია ნაჩვენები.

მოსწავლეები შეადარებენ ერთმანეთს დამთავრებულ ნამუშევრებს და იმსჯელებენ, მიიღეს თუ არა ერთნაირი შედეგი, თუ ვინმეს განსხვავებული ნამუშევარი ექნება, გამოარკვევენ, რატომ არის იგი განსხვავებული, მოძებნიან შეცდომას.

მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს, თუ რა ფერები მიიღეს დამატებით ცხრა უჯრიან სამკუთხედთან შედარებით, და რა მოხდება, თუ სამკუთხედში უჯრების რაოდენობას კიდევ უფრო გავზრდით. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რა ფერი შეიძლება წარმოიშვას საბოლოოდ უზარმაზარი სამკუთხედის ცენტრში.

მუქი და ღია

მიზანი:

ვაჩვენოთ მოსწავლეებს ფერის და ფონის ურთიერთქმედება.

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 4, 5, 6, 7.
ს.გ. IV.2. – 4, 6.

მასალა:

მოსწავლის კომპიუტერი

ვიზუალური მასალა:

გაკვეთილის მსვლელობა:

რა არის მუქი და რა არის ღია?

რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, ეს ეს მუქია, ან ეს ღიაა?

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა ფერის ბარათებს შემდეგი თანმიმდევრობით – თეთრი – შავი, ყვითელი – ლურჯი, წითელი – ცისფერი, ნარინჯისფერი – ყავისფერი, ცისფერი – მწვანე, ნაცრისფერი – შავი.

მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რომელი ფერის ბარათია მუქი და რომელი ღია.

შემდეგ, მასწავლებელი აჩვენებს ბარათებს, რომლებზეც ერთნაირი ფერები მეორდება, ოღონდ ტონალობაშია განსხვავება – ღია და მუქი ყვითელი, ღია და მუქი ნაცრისფერი, ღია და მუქი ლურჯი და სხვა. და ეკითხება, მუქია ეს ფერი თუ ღია.

აღმოჩნდება, რომყვითელი ფერი, რომელიც წესით ღია ფერია, შეიძლება იყოს მუქიც, ხოლო ლურჯი, რომელიც მუქი ფერია, შეიძლება იყოს ღიაც.

მასწავლებელი აჩვენემს სახელმძღვანელოში მოყვანილ ნიმუშს



და სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ, თუ რა ფერისაა ფონი და რა ფერის ოთხკუთხედები ხატია ფონზე.

შემდეგ იკითხავს:

დიდ კვადრატებში ჩახატული ორი პატარა ნაცრისფერი კვადრატიდან რომელია უფრო მუქი და რომელია შედარებით ღია?

მოსწავლეები უპასუხებენ, რომ შავ ფონზე დახატული ნაცრისფერი კვადრატი უფრო ღიაა.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მეორე ილუსტრაციას, შავ-თეთრი კვადრატებით:



დააკვირდით შავ და თეთრ ფონზე დახატულ პატარა კვადრატებს – რომელია უფრო დიდი?

- თეთრი კვადრატი უფრო დიდი ჩანს.

მასწავლებელი იტყვის:

- ეხლა კი, ჩავატაროთ ცდა – დავხატოთ ერთი ზომის, მაგრამ სხვადასხვა ფერის დიდი კვადრატები, ჩავხატოთ ამ კვადრატებში ერთნაირი, ერთი ფერის პატარა კვადრატები და დავაკვირდეთ, რა მოუვა ფერებს.

თქვენი ყველაზე საინტერესო ნამუშევრები გამომიგზავნეთ ელექტრონული გზავნილის სახით, რათა მე შევაგროვო და ამოვბეჭდო ისინი.

აქტივობა:

მოსწავლეები კომპიუტერის სახატავ პროგრამაში დახატავენ:

1. დიდი ზომის მართკუთხედს და გააფერადებენ მას ნებისმიერი საშუალო სიმუქის ფერით.

შემდეგ დახატავენ ერთმანეთში ჩამჯდარ დიდ და პატარა კვადრატს, გვერდით პატარა კვადრატის ზომის კვადრატს და მათ გასწვრივ ისევ ერთმანეთში ჩამჯდარ დიდ და პატარა კვადრატს. მასწავლებლი მიუთითებს მოსწავლეებს, რომ

თუ კვადრატის დახატვა უჭირთ და იგი პარალელეპიპედს უფრო ჰგავს, დახატვის დროს, კლავიატურაზე უნდა დააჭირონ shift ღილაკს, და გამოვა იდეალური ოთხკუთხედი, რომლის ყველა გვერდი ტოლი იქნება.

ერთნაირი ზომის კვადრატების დასხატად, ისრით უნდა გამოიყოს ერთი კვადრატი

მოიძებნოს ფუნქცია copyშემდეგ მოიძებნოს ფუნქცია paste და ახლადგაჩენილი კვადრატი, რომელიც ზუსტად გაიმეორებს პირველის თვისებებს, გადააჩოჩონ სასურველ ადგილას.

სამივე პატარა კვადრატს გააფერადებენ ერთი ფერის ნაცრისფერით, პირველ დიდ კვადრატს

გააფერადებენ შავად, მეორე დიდ კვადრატს კი დატოვებენ თეთრად.



2. დახატავენ ორ ერთნაირ კვადრატს თეთრს და შავს, ამ კვადრატებზე დახატავენ ერთნაირი ზომის პატარა კვადრატებს. და გააფერადებენ მათ ფონის საპირისპირო ფერით.

როდესაც ყველაფერი მზად იქნება, შეადარებენ ერთმანეთს ჯერ ნაცრისფერ კვადრატებს – სამივე ნაცრისფერი კვადრატი სხვადასხვა სიმუქის იქნება. შავ ფონზე, ნაცრისფერი კვადრატი უფრო ღია გამოჩნდება, ვიდრე ასეთივე კვადრატი თეთრ ფონზე. ასევე, განსხვავებული სიმუქის იქნება შუა პატარა კვადრატიც.

გარდა ამისა, შეადარებენ, თუ რა მოუვიდათ შავ-თეთრ კვადრატებზე დახატულ ოთხკუთხედებს – მართალია, ორივე ოთხკუთხედი ზუსტად ერთი ზომისაა, პატარა თეთრი ოთხკუთხედი უფრო დიდი ჩანს, ვიდრე პატარა შავი ოთხკუთხედი.

მოსწავლეები იმსჯელებენ სახელმძღვანელოში მოყვანილ სხვა ილუსტრაციებზე და გამოიტანენ დასკვნას, რომ:

ერთი და იგივე ფერი მუქ ფონზე ღია გამოჩნდება, ღია ფონზე კი მუქი.



შეიძლება ასეთი ვარიანტიც გაკეთდეს – სხვადასხვა სიმუქის ერთი ფერით.

პასტელური ფერები პლასტილინით

მიზანი:

წვრილი მოტორიკის განვითარება;

პასტელური ფერების დამზადების უნარი.

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 4, 5.

ს.გ. IV.2. – 4

ასათვისებელი ტერმინები:

პასტელის ფერები

მასალა:

ნახევარი სახატავი ფურცლის ზომის მაგარ ქაღალდზე ამობეჭდილი ფერების ბორბლის ცარიელი ბადე

ფარგალი

უბრალო ფანქარი

თეთრი, შავი, ყვითელი, წითელი და ლურჯი ფერის პლასტილინი

პლასტილინის დაფა

პლასტილინის დანა

ვიზუალური რესურსი:

ფერების ბორბალი (ბადე) ფერების გარეშე (ამოსაბეჭდი)



პოლ სეზანი

ალბრეხტ დიურერი

ჟოან მირო

პიტერ ბრეიგელი (უფროსი) | ანრი მატისი | კლოდ მონე | ედგარ დეგა

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები და აღწერონ, თუ რა არის გამოსახული სურათებზე და დაახასიათონ ყოველი სურათის ფერთა გამა.

მაგ. - პოლ სეზანის პეიზაჟი ასახავს სოფლის ხედს და შესრულებულია მუქ, მოყავისფრო-მომწვანო ფერებში.

ჟოან მიროს სურათი მკვეთრი, ხალისიანი ფერებითაა შესრულებული და მხიარულ განწყობას ქმნის.

ალბრეხტ დიურერის პეიზაჟი კი ნაზი, ჰაეროვანი ფერებითაა შესრულებული.



მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს პასტელური ფერების ნიმუშს და იკითხავს, თუ როგორ დაახასიათებდნენ ისინი ამ ფერებს (ნაზი, ჰაეროვანი, მკრთალი...) და რა ხერხით შეიძლება ასეთი ფერების მიღება.

მასწავლებელი ეტყვის მოსწავლეებს, რომ ფერების ასეთ ნაზ, ჰაეროვან ტონალობებს პასტელური ფერები ეწოდება. პასტელური ფერები აკვარელის წყლით გაზავებული, გამჭვირვალე ფერებისგან განსხვავდება იმით, რომ:

1. ეს ფერები არ არის გამჭვირვალე,

2. პასტელური ფერები საღებავში დიდი რაოდენობით თეთრი ფერის დამატებით მიიღება. მაგ. ლურჯ საღებავში თეთრის დამატებით ცისფერს ვღებულობთ. თუ ამ ცისფერში კიდევ დავამატებთ თეთრ საღებავს, მივიღებთ ძალიან ღია, პასტელურ ცისფერს.

მოსწავლეები განიხილავენ დანარჩენ სურათებს, რის შემდეგაც მასწავლებელი სთხოვს მათ, პლასტილინის ნაკრებიდან ამოარჩიონ სამი ძირითადი ფერის პლასტილინის ნაჭერი და იტყვის:

- ჩვენ გავაკეთებთ ფერების ბორბალს პლასტილინით. ჩვენთვის ჩვეული ფერების ბორბლისგან განსხვავებით, ამ ბორბალში დავამატებთ პასტელური და მუქი ფერების წრეებს, რისთვისაც, სამი ძირითადი ფერის პლასტილინის გარდა, დაგვჭირება თეთრი და შავი პლასტილინიც. თეთრი პლასტილინით პასტელურ ფერებს დავამზადებთ, შავით კი მუქ ფერებს.

მასწავლებელი გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ მუქი ფერების დასამზადებლად ძალიან ცოტა შავი პლასტილინი იხმარონ, რათა ფერები ძალიან არ გამუქდეს.

აქტივობა 1:

მოსწავლეები პალიტრაზე გუაშის საღებავებს შეაზავებენ დიდი რაოდენობით თეთრ საღებავთან. მიღებული პასტელური ფერებით დახატავენ სურათს თავისუფალ თემაზე. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ, რა შინაარსის ნახატს მოუხდება მსგავსი ფერები.

აქტივობა 2:

მოსწავლეებს დაურიგდებათ ფერების ბორბლის ცარიელი ბადეები.

მოსწავლეები დაჭრიან პლასტილინს თანაბარი ზომის ზოლებად. ზოლებს დააგრძელებენ და

დაამრგვალებენ 1 ყვითელ, 1 ლურჯ და 1 წითელ ნაჭერს და დაალაგებენ მათ ფერების ბორბლის ცენტრალურ, სამგანყოფილებიან წრეზე. მომდევნო რიგებში, წითელის, ყვითელის და ლურჯის გასწვრივ უჯრებზე დაიდება ისევ ამ სამი ძირითადი ფერის პლასტილინის ბურთები.





ძირითადი ფერის ბურთებს შორის, დალაგდება მეზობელი ფერების შეზავებით მიღებული ფერის ბურთები: მოსწავლეები ხელებით გადაზელენ ლურჯ და ყვითელ, ყვითელ და წითელ, წითელ და ლურჯ, თანაბარი ზომის პლასტილინის ნაჭრებს დაამრგვალებენ მათ და დაალაგებენ ცენტრიდან მეორე წრეზე – წითელ და ყვითელ ბურთებს შორის ნარინჯისფერს, ლურჯ და ყვითელ ბურთებს შორის მწვანეს, ლურჯ და წითელ ბურთებს შორის იისფერ ბურთს. მომდევნო წრეებზე, მათ გასწვრივ მდებარე ცარიელ უჯრებში, დაალაგებენ ამავე ფერის ბურთებს.



მესამე წრეზე დალაგდება: წითლის და ნარინჯისფერის შორის ამ ორი ფერის შეზავებით მიღებული ბურთი; ნარინჯისფერს და ყვითელს შორის ნარინჯისფეის და ყვითლის ნაზავი და ა.შ.



მეოთხე წრეზე ყოველ ორ მეზობელ ფერს დაემატება იმავე რაოდენობის თეთრი პლასტილინი, რათა ნაზი, პასტელის ფერები მივიღოთ.

მეხუთე წრეზე კი ამავე პრინციპით ფერებს თეთრის ნაცვლად შეერევა შავი ფერის პლასტილინი.

მწვანე

მიზანი:

ცივი და თბილი მწვანე ფერის განსხვავება.

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 4.
ს.გ. IV.2. – 4.

ვიზუალური მასალა:

ფერების ბორბალი ან სპექტრი
მწვანე ფერი ბუნებაში:
კომბოსტო, კიტრი, ბროკოლი, ვაშლი, ფოთლები, ბალახი,
ტბა, მთა, ფარშევანგი, თუთიყუში, ნიანგი, ხვლიკი, გველი, მუხლუხო, ხოჭო
მწვანე ფერი ყოფაში:
მანქანა, ფანქარი, ფლომასტერი, სათამაშო....

პიტ მონდრიანის სურათები




კლოდ მონეს ბაღის ამსახველი სურათები

გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილის დასაწყისში, მოსწავლეები დაათვალიერებენ და შეადარებენ ერთმანეთს პიტ მონ-დრიანის და კლოდ მონეს მნამუშევრებს. მასწავლებელი მიაქცევს მოსწავლების ყურადღებას ამ ორი მხატვრის ნამუშევრების ფერთა გამაზე და სთხოვს მათ იპოვონ და დაასახელონ, ფერი, რომელიც სრულიად უარყოფილია ერთი მხატვრის ნამუშევრებში და მეორესთან კი პირიქით, ჭარბობს (მწვანე).

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ჩამოთვალონ თბილი და ცივი ფერები და იკითხავს:

რომელი ფერი დაასახელეთ ორივე ჯგუფში, ცივი ფერების ჩამოთვლისას და თბილი ფერების ჩამოთვლისასაც?

მწვანე.

გამოდის, რომ მწვანე ფერი თბილ ფერებსაც ეკუთვნის და ცივ ფერებსაც – რატომ?

მასწავლებელი აჩვენებს ფერების ბორბალს:

ამ ბორბლის ერთ მხარეს განლაგებულია ცივი ფერები, მეორე მხარეს კი თბილი ფერები. რომელი ფერია შუაში?

მწვანე.

გამოდის, რომ მწვანე ფერი თბილებსაც ეკუთვნის და ცივებსაც.

გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ მწვანე მცენარეები, მწვანე ფრინველები, ცხოველები, ნივთები და შევეცადოთ გარკვევა, რომელი მათგანია თბილი მწვანე ფერის და რომელი ცივი.

მოსწავლეები გაიხსენებენ და ჩამოთვლიან მწვანე ფერის საგნებს. იკამათებენ, ცივი ფერისაა ესა თუ ის დასახელებული საგანი თუ თბილი.

მცირე კამათის მერე მასწავლებელი იტყვის – ჩვენმა კამათმა ცხადყო, რომ ცივი და თბილი მწვანის საკითხში ყველას თავისი მოსაზრება აქვს. მოდით, მეცნიერულად გამოვიკვლიოთ ეს საკითხი და ნათელი მოვფინოთ კამათის საგანს.

წარმოიდგინეთ, როგორ გადადის ერთი მხრიდან ყვითელი ფერი მწვანეში, მეორე მხრიდან კი, როგორ გადადის ლურჯი ფერი მწვანეში.

ჩავატაროთ ცდა:

აქტივობა:

პალიტრაზე ერთი ფოსოს გამოტოვებით დაასხით ყვითელი და მწვანე ფერები; და ასევე, ერთი ფოსოს გამოტოვებით, მწვანე და ლურჯი ფერები.

ვიწრო და გრძელი ფურცელი სამჯერ გადაკეცეთ შუაზე, შემდეგ გაშალეთ და ერთხელ გადაკეცეთ სიგრძეზე.

ფურცელი ორ რიგად და რვა უჯრადაა დაყოფილი.

პირველი, ზედა რიგი ყვითელ ფერს დავუთმოთ და პირველი უჯრა სუფთა მწვანე საღებავით შრებეთ.

მეორე, ქვედა რიგი კი ლურჯ ფერს დავუთმოთ და პირველი უჯრა სუფთა მწვანე საღებავით შეღებეთ..

1. პალიტრის ყვითელ და მწვანე საღებავს შორის, ცარიელ ფოსოში, ჩაასხით ცოტა მწვანე საღებავი.

გარეცხეთ ფუნჯი, დაამატეთ მას ცოტა ყვითელი ფერი და მიღებული ტონით შეღებეთ ზედა რიგში, მწვანეს გვერდით მდებარე უჯრა.

გარეცხილი ფუნჯით კიდევ დაამატეთ მწვანე საღებავს ყვითელი და შეღებეთ მომდევნო უჯრა. გაიმეირეთ ეს ოპერაცია, მანამ ყვითელ უჯრამდე არ მოხვალთ.

მომდევნო, ლურჯი ფერის რიგიც ასეთივე წესით გააფერადეთ. პალიტრის ცარიელ ფოსოში ჩაასხით მწვანე საღებავი, ნელ-ნელა უმატეთ მას ლურჯი ფერი და გააფერადეთ უჯრები მწვანე უჯრიდან ლურჯისკენ.

შევაფასოთ ნამუშევრები – რა შედეგი მივიღეთ?

დააფარეთ ხელები ნამუშევარს ისე, რომ მხოლოდ ერთი რომელიმე უჯრა ჩანდეს. ამ ხერხით დააკ-ვირდით ყველა უჯრას და გამოთქვით აზრი - თუ სუფთა ყვითელს და სუფთა ლურჯს გამოვრიცხავთ, რა ფერი შეიძლება ვუწოდოთ ჩვენს მიერ გაფერადებულ ყოველ უჯრას? (მწვანე)

როგორ დაახასიათებდით, რა სიტყვებით აღწერდით ცალკეულ უჯრებს? (*მასწავლებელს შეუძლია მიუთითოს სხვადასხვა უჯრაზე)*

მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს და მასწავლებლის დახმარებით გააკეთებენ დასკვნას:

- ყველა უჯრა მწვანეა, ზოგი მუქი, ზოგი ღია, ზოგი მოლურჯო, ზოგი მოყვითალო.

ჩვენ მივიღეთ ორი ფერის მწვანე – მოლურჯო მწვანე და მოყვითალო მწვანე.

ვიმსჯელოთ ლოგიკურად –

ფერების რომელ ჯგუფს ეკუთვნის ყვითელი ფერი? – თბილებს

ფერების რომელ ჯგუფს ეკუთვნის ლურჯი ფერი? – ცივებს

გამოდის, რომ ჩვენ ერთ მწვანეში დავამატეთ თბილი ფერი, მეორეში კი ცივი ფერი.

დააკვირდით მოლურჯო და მოყვითალო მწვანე ფერის რიგებს და გამოიცანით, რომელი მათგანია ცივი და რომელი თბილი?

გამოვიტანოთ დასკვნა და დავიმახსოვროთ:

მწვანე, რომელიც ყვითლისკენ მიილტვის, თბილი მწვანეა.

მწვანე, რომელიც ლურჯისკენ მიილტვის, ცივი მწვანეა.

(თუმცა, შეიძლება მოყვითალო მწვანე ცივად აღიქვას, მოლურჯო კი თბილად. ყველაფერი ხედვაზე და შეგრძნებაზეა დამოკიდებული და კიდევ იმაზე, თუ რა ფერებითაა გარშემორტყმული მოყვიტალო ან მოლურჯო მწვანე).

საშინაო დავალება:

საღებავებით დახატე სურათი, რომელშიც რაც შეიძლება ბევრი სხვადასხვა მწვანე ფერი იქნება გამოყენებული.

ფერი და განწყობა

მიზანი:

გააზრება, თუ როგორ აღიქმება და რა განწყობას გამოხატავენ ფერები;
ფერების შეზავების პრაქტიკა.

შედეგი:

ს.გ. IV.1. - 4, 5.
ს.გ. IV.4. – 1, 4, 5

მასალა:

სახატავი ფურცლები
გუაშის 12 ფერიანი ნაკრები
პალიტრა
ფუნჯი
წყალი
მაკრატელი
უბრალო ფანქარი

გაკვეთილის მსვლელობა:

დღეს ჩვენ გამოვიკვლევთ, როგორ აღვიქვამთ ფერებს – რა გრძნობას იწვევს ესა თუ ის ფერი, რას მოგვაგონებს, როგორ გუნებაზე გვაყენებს, როგორ ასახავს ჩვენს ხასიათს და განწყობას.

დაასხით პალიტრაზე ყველა ფერის საღებავი, მოიმარჯვეთ ფუნჯები და დავიწყოთ ექსპერიმენტი.

გახსოვდეთ, სხვადასხვა ფერის ხმარების წინ, საღებავები რომ არ გაჭუჭყიანდეს, ყოველთვის კარგად გარეცხეთ ფუნჯი, რადგან ჭუჭყიანი საღებავი ჩვენი ექსპერიმენტის შედეგს გააფუჭებს.

მე დავასახელებ სხვადასხვა სიტყვას, თქვენ კი, წარმოიდგინეთ, თუ რა ფერს გაგონებთ ეს სიტყვა, იპოვეთ ამ ფერის საღებავი და სახატავ ფურცელზე დასვით ნებისმიერი ზომის ფერადი ლაქა. არ მიბაძოთ ერთმანეთს. იფიქრეთ მხოლოდ საკუთარ შეგრძნებებზე. მაგ. სიტყვა ვაშლის გაგონებაზე, ზოგს წითელი, ზოგს ყვითელი ან მწვანე ვაშლი გაახსენდება, ვიღაცას კი, ვისაც ვაშლი ეჯავრება, ის შეიძლება ყავისფრად წარმოუდგეს თვალწინ.

ექსპერიმენტი შეწყდება მაშინ, როცა ყველა მოსწავლის ფურცელი მთლიანად დაიფარება ლაქებით.

თუ ფერი, რომელსაც თქვენ წარმოიდგენთ პალიტრაზე არ არის, თქვენ თვითონ მოამზადეთ იგი სხვადასხვა ფერების შეზავებით. მაგალითად ნაცრისფერის მისაღებად შავი და თეთრი საღებავი შეაზავეთ, ვარდისფერი წითლით და თეთრით კეთდება, ღია ფერის იისფერსაც თეთრი საღებავი ჭირდება, რომელიმე ფერის გასამუქებლად, მას ერთო ბეწო შავი საღებავი შეურიეთ. ყვითელს შავი ვერ გაამუქებს, გაამწვანებს, ამიტომ, ყავისფერი ან ნარინჯისფერი შეურიეთ.

აქტივობა:

მასწავლებელი გარკვეული ინტერვალით, ისე, რომ მოსწავლეებმა მოასწრონ ფერადი ლაქის შეზავება და ფურცელზე დასმა, ჩამოთვლის დაახლოებით ასეთ სიტყვებს:

ბავშვობა, სიხარული, დაღლილობა, გასეირნება, დაბადების დღე, შიში, შიმშილი, სკოლა, მხიარულება, სიღარიბე, სიმდიდრე, მეცადინეობა, თამაში, მოწყენილობა, გართობა, ბედნიერება, სივივე, სითბო, ავადმყოფობა, ჯანმრთელიბა, წამალი, ტკბილი, მჟავე, სინათლე, სიბნელე, დილა, საღამო, მოლოდინი, ჩხუბი, სიყვარული, სიძულვილი და სხვა.

გაკვეთილის მსვლელობა:

როდესაც ფურცლები შეივსება ლაქებით, მოსწავლეები შეადარებენ, თუ ვისი ფურცელია უფრო ჭრელი, ვისი ერთფეროვანი, ვისთან რომელი ფერი ჭარბობს, ვისი ფურცლები ჰგავს ერთმანეთს, რომელი ფურცელი გამოვიდა ყველაზე ლამაზი.

ეს დისკუსია საჭიროა იმისთვის, რომ გავიდეს დრო და მოსწავლეებს დაავიწყდეთ მასწავლებლის მიერ დასახელებული სიტყვების თანმიმდევრობა /დაახლოებით 3-4 წუთი/.

შემდეგ მასწავლებელი იტყვის:

– მე ისევ დავასახელებ ჩემი სიიდან ზოგიერთ სიტყვას, და ვნახოთ, იპოვით თუ ვერა ამ სიტყვის შესაბამის ლაქას თქვენს ფურცელზე.

მასწავლებელი დაასახელებს რამდენიმე სიტყვას, მოსწავლეები კი მოძებნიან და თითით აჩვენებენ შესაბამის ლაქას.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მაკრატლით ამოჭრან ის ლაქები, რომლის მნიშვნელიბაც ახსოვთ და უკან, ფანქრით დააწერონ შესაბამისი სიტყვა.

აქტივობა:

მოსწავლეები შეადარებენ ერთმანეთს გამოჭრილ ლაქებს, დააჯგუფებენ ერთნაირი ფერის და მნიშვნელობის ლაქებს. და გამოიტანენ დასკვნას, თუ რამდენი დამთხვევაა კლასში, რომელ სიტყვას აღიქვამს უმეტესობა ერთნაირი ფერით და რომელს განსხვავებულად. რომელი სიტყვებია ერთმანეთთან ახლოს ფერში, რამდენად და რითი განსხვავდება ერთმანეთისგან ფერში, დადებითი და უარყოფითი ემოციის გამომხატავი სიტყვები.

ამის საფუძველზე შესაძლოა ჩამოაყალიბონ, რომ მაგ, შავი, ნაცრისფერი და სხვა მუქი, ჟამი ფერები ცუდ ემოციებს იწვევენ მათში, ყვითელი და წითელი და სხვა ნათელი ფერები კი მხიარულებას, კარგ განწყობას გამოხატავენ.

ჰაეროვანი პერსპექტივა

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ჰაეროვანი პერსპექტივის არსი;
ვასწავლოთ დაშტრიხვა, უბრალო ფანქრით სხვადასხვა სიმუქის მიღება.

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 1, 2, 3, 7

ასათვისებელი ტერმინები:

შტრიხი
პერსპექტივა
ჰაეროვანი პერსპექტივა

მასალა:

პატარა ზომის სავარჯიშო ფურცლები
A4 სახატავი ფურცელი
კარგად გათლილი რბილი 2-4B შავი ფანქარი
სათლელი

ვიზუალური მასალა:

დაშტრიხული ნიმუშები

კლოდ მონეს და კამილ პისაროს პეიზაჟები
ლეონარდო და ვინჩის გრაფიკული პეიზაჟი

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები ათვალიერებენ კლოდ მონეს და კამილ პისაროს პეიზაჟებსა და მთების ფოტოსურათებს.

მასწავლებელი ეკითხება:

- რა საერთოს ხედავთ ფერწერულ პეიზაჟებსა და მთების ფოტოებს შორის?

მასწავლებელი მიახვევედრებს მოსწავლეებს, რომ ყველა მათგანზე რაღაც ნაწილი ბუნდოვანია, ნისლიანია.

- რატომ ვხედავთ იმას რაც ახლოსაა მკვეთრად, ხოლო იმას, რაც შორსაა მკრთალად, ბუნდოვნად?

იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ჰაერის გარემოცვაში. მართალია, ხშირად ჩვენ მას ვერ ვგრძნობთ და ვერც ვხედავთ, მაგრამ სინამდვილეში, ჰაერი არც ისე მსუბუქი და გამჭვირვალეა!

რაც მეტია დაშორება ჩვენსა და რაიმე საგანს შორის, მით მეტია ამ სივრცეში ჰაერის რაოდენობა. თუ ამას დავუმატებთ ჰაერის ისეთ დანამატებს, როგორც მტვერი, გამონაბოლქვი, ნესტი, ნისლი, მით უფრო მკვრივი და ხილული გახდება ჰაერი და დაშორებულ საგანს ჩვენს შორის არსებული ჰაერის მასის გავლით, მით უფრო ბუნდოვნად დავინახავთ.

პირველმა, ეს მოვლენა მხატვარმა ლეონარდო და ვინჩიმ აღწერა და მანვე მოიფიქრა ტერმინი – ჰაეროვანი პერსპექტივა.

ლეონარდო და ვინჩი

– დააკვირდით პეიზაჟებს და მითხარით, რა შთაბეჭდილებას გიქმნით სურათებზე ბუნდოვანება?

თუ მასწავლებელი სასურველ პასუხს ვერ მიიღებს, ის სთხოვს მოსწავლეებს დახუჭონ თვვალები და წარმოიდგინონ თავი დიდ მინდორში, რომელსაც გარშემო ხეები არტყია.

– რას ხედავთ ხეებზე, რომლებიც ახლოს დგანან? – ფოთლებს, რკოებს, ჩიტებს....

– შეგიძლიათ, დაინახოთ რკოები და ფოთლები იმ ხეებზე, რომლებიც მინდვრის ბოლოში დგანან? რატომ?

– იმიტომ, რომ ისინი შორს არიან.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოკლედ ჩამოაყალიბონ, რა არის ჰაეროვანი პერსპექტივა.

შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სურათების მაგალითზე, თუ როგორ ქმნის ბუნდოვანება სიშორის შთაბეჭდილებას.

მასწავლებელი ამცნობს მოსწავლეებს, რომ მას მერე, რაც ცოტათი გაივარჯიშებენ ხელს შტრიხების გავლებაში, ისინი დახატავენ მთების წყებას – ქედს, იმის მსგავსს, როგორიც ფოტოზეა გამოსახული და ისე დაშტრიხავენ ყოველ მთას, რომ მაყურეებელს მათი თანდათან დაშორების შთაბეჭდილება შეექმნას.

დაშტრიხვის სავარჯიშოს შესრულებისას, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსწავლეებს ხელი არ დაეძაბოთ – შტრიხების გავლებისას, ხელი უნდა მოძრაობდეს თავისუფლად.

მოსწავლეებს შეუძლიათ თავად მოსინჯონ დაშტრიხვის სხვადასხვა ხერხი - მოირგონ ფურცლის პოზიცია, ფანქარი დაიკავონ უფრო თავისუფლად, (არა ისე, როგორც წერის დროს უჭირავთ), ხელი დააყრდნონ ან პირიქით, მაშორონ მაგიდას...

მოსწავლეების ამოცანაა, ყოველი შტრიხი წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ხაზს.

სავარჯიშოს პირველ ნაწილში, მოსწავლეები უნდა ეცადონ, შტრიხების ყოველ ჯგუფში, ერთი სიმაღლის ხაზები გაავლონ.

სავარჯიშოს მეორე ნაწილში მოსწავლეები დახატავენ შტრიხებს ისე, რომ მათი სიგრძის თანდათან მატებით ან კლებით რაიმე გეომეტრიული ფორმა გამოუვიდეთ.

აქტივობა:

1. სავარჯიშო ფურცელზე, რიტმული მოძრაობით დაიშტრიხება:
   ა) მოკლე ვერტიკალური შტრიხები ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით
   ბ) დახრილი შტრიხების რამდენიმე წყება სხვადასხვა მიმართულებით
   გ) გრძელი შტრიხები სხვადასხვა მიმართულებით,
   დ) შტრიხები, რომლებიც თანდათან იზრდებიან და რაიმე გეომეტრიულ ფორმას ქმნიან

მოსწავლე რომელიც დაკმაყოფილდება საკუთარ შედეგს, შეუდგება მეორე დავალების შესრულებას.

2. მოსწავლეები სახატავ ფურცელზე, ძალიან მკრთალად, რამდენიმე რიგად, დახატავენ მთების უსწორმასწორო კონტურს.

მთების ყოველი ფენა დაიშტრიხება ერთი მიმართულების ხაზებით. მთების სხვადასხვა ფენა შეიძლება დაიფაროს განსხვავებული მიმართულების შტრიხებით.

მთების რიგები უნდა განსხვავდებოდეს შტრიხების ინტენსივობით – ახლოს და წინ მდებარე მთები დაიშტრიხება მუქად, შტრიხების რამდენიმე ფენით, შორი მთები კი მკრთალად.

გრავიურა

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ალბრეხტ დიურერის გრაფიკული ნამუშერები;
გავაცნოთ მოსწავლეებს გრავვიურის ტექნიკა.

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 3.
ს.გ. IV.2. – 4, 5.
ს.გ. IV.4. – 1, 2,
ს.გ. IV.5. – 1.

ასათვისებელი ტერმინები:

გრავიურა

ვიზუალური მასალა:

ალბრეხტ დიურერის „მელანქოლია“
და ამ გრავიურის დეტალი - მაგიური კვადრატი
„მარტორქა“
ტორე დე ბელენის კოშკი
და მასზე გამოსახული მარტორქის დეტალი

I გაკვეთილი: დიურერის მარტორქა

მოსწავლეები დაათვალიერებენ ალბრეხტ დიურერის გრავიურას „მარტორქა“.

მასწავლებელი იკითხავს, თუ სახვითი ხელოვნების რომელ დარგს ეკუთვნის „მარტორქა“ და რა ნიშნით მიაკუთვნეს იგი გრაფიკას.

მასწავლებელი გააცნობს მოსწავვლეებს ალბრეხტ დიურერის მიერ „მარტორქას“ შექმნის ისტორიას, რის შემდეგაც შესთავაზებს მათ, როგორც შეძლებენ, გადაიხატონ ნახატი.

აქტივობა 1:

მასალა:

1 აქტივობა:
სახატავი ფურცელი,
ფანქარი
სათლელი, საშლელი
მოსწავლეები ფურცელზე, ფანქრით გადაიხატავენ ალბრეხტ დიურერის მარტორქას.

II გაკვეთილი: მელანქოლია

მასწავლებელი იკითხავს, თუ რა სახის გრაფიკას იცნობენ მოსწავლეები და რა მასალებით სრულდება გრაფიკული ნამუშევრები (მოსწავლეები უკვვე იცნობენ ისეთ გრაფიკას, რომელიც ქაღალდზე ფანქრით, კალმით, ფლომასტერით იხატება, ასევე იცნობენ ანაბეჭდის გაკეთების, ანუ მონოტიპიის ტექნიკას)..

მასწავლებელი ეტყვის მოსწავლეებს, რომ არსებობს გრაფიკის კიდევ ერთი სახეობა, რომელსაც გრავიურა ქვია

გრავიურა არის გლუვ ზედაპირზე ამოკაწრული ნახატის დაბეჭდილი ასლი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ, თუ რა გზით შეიძლება მაგ. ფიცარზე ნახატის ამოკაწრვა და შემდეგ მისი დაბეჭდვა.

მოსწავლეების ვერსიების მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი მოუყვება მათ, რომ არსებობს გრავიურის რამდენიმე სახეობა, რომლებიც განსხვავვდება იმის მიხედვით, თუ როგორ ზედაპირზეა ამოკაწრული ნახატი: ნახატებს ჭრიან ხეზე, მეტალზე, ქვაზე, მუყაოზე, ცვილზე, ლინოლეუმზე. გრავიურებს სხვადასხვა სახელს უწოდებენ იმის მიხედვით, თუ რაზეა იგი ამოკაწრული. მაგ. ხეზე შესრულებულ გრავიურას ქსილოგრაფიას ეძახიან, ლინოლეუმზე შესრულებულს კი ლინოგრავიურას.

დღეს განვიხილავთ ალბრეხტ დიურერის ხეზე შესრულებულ გრავიურას „მელანქოლია“, რაც „სევდას“ ნიშნავს.

დააკვირდით და აღწერეთ, რა ხატია ამ ნახატზე? მოსწავლეებს შეუძლიათ დაიყონ ჯგუფებად და მოაწყონ შეჯიბრი, თუ ვინ უფრო მეტ დეტალს აღმოაჩენს სურაზე.

შეიბრის შემდეგ, მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს თუ რა და როგორი თანმიმდევრობით ექნებათ გასაკეთებელი გრავიურის დასაბეჭდად.

აქტივობა 2:

მასალა:

სახატავი ფურცელი
ნახშირი ან ძალიან რბილი შავი ფანქარი
მუყაოს ნაჭერი
ღია ფერის პლასტილინი

პლასტილინის დანა, ხის წვეტიანი ჩხირი, საწრუპი მილი, კალმის თავსახური და სხვა ამგვვარი საგნები

მოსწავლეები მუყაოზე ან პლასტილინის დაფაზე გაგლისავენ ღია ფერის პლასტილინს. გლუვი საგნით და თითებით გადაასწორებენ ზედაპირს.

პატარა ფურცელზე დახატავენ მარტივ ნახატს.

ნახატის უკანა მხარეს მთლიანად გააშავებენ ძალიან რბილი ფანქრით (6-8 B)

დადებენ ნახატს ფურცლის გაშავებული გვერდით პლასტილინზე.

შემოავლებენ ნახატის ყველა დეტალს კარგად გათლილ ფანქარს ისე, რომ ფურცელი არ გაინძრეს

და პლასტილინის ფენაზე ნახატის ასლი აისახოს.

მასწავლებელი გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ ამობურცული ადგილები შავად დაიბეჭდება, ჩაღრმავებული კი თეთრი დარჩება. მოსწავლეებმა ნახატი უნდა ამოჭრან ამ ფაქტის გათვალისწინებით – თუ ნახატს კონტურის გაყოლებაზე ამოჩხაპნიან, ფონი შავი გამოვა, კონტურის ხაზი კი თეთრი.

მოსწავლეები, ხის წვეტიანი ჩხირით, პლასტმასის მილით და სხვა ამგვარი საგნებით ამოკაწრავენ, ამოჭრიან პლასტილინზე ნახატის კონტურსა და სხვა დეტალებს.უსწორმასწოროადგილებს გაასწორე-ბენ თითით.

აქტივობა 3:

მასალა:

ფართო რბილი ფუნჯი ან ღრუბელი

შავი საღებავი

საპონი

ცომის გასაბრტყელებელი ან პლასტმასის მილი

მოსწავლეები ფართო ბრტყელი ფუნჯით ან ღრუბლით დაფარავენ პლასტილინზე ამოჭრილ გამოსახულებას გუაშის საღებავით. (საღებავი არ უნდა იყოს წყალწყალა და იმისთვის, რომ ცხიმიან პლასტილინს კარგად დაედოს, სასურველია, საღებავს შეერიოს ცოტა საპონი).

შეამოწმებენ ზედაპირს – თუ ჩაღრმავებულ ადგილებში ბევრი საღებავი ჩაისხმება, ამოწმენდენ მას ჩხირით ან ბამბიანი ჯოხით.

მანამ საღებავი სველია, ფრთხილად დააფარებენ სახატავ ფურცელს და ზევიდან გადააგორებენ ცომის დასაბრტყელებელს ან პლასტმასის მილის ნაჭერს, რათა საღებავი უკეთ დაედოს ქაღალდს.

ფრთხილად მოხსნიან ფურცელს და გადადებენ გასაშრობად.

გამზადებულ გრავიურას დააკვირდებიან შეასწორებენ პლასტილინზე ხარვეზებს, ისევ წაუსვამენ პლასტილინს საღებავს და დაამზადებენ მეორე ასლს.

დამთავრებულ ნამუშევრებს მოსწავლეები დაალაგებენ ერთმანეთის გასწვრივ და იმსჯელებენ, თუ რამდენად გამოუვიდათ ჩანაფიქრი, სად დაუშვეს შეცდომა, ვისი ნამუშევვარია უფრო მკვეთრი, ვის გაედღაბნა ანაბეჭდი და რატომ.

კით ჰარინგი

მიზანი:

კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარება;
დინამიკის ცნების გააზრება;
ფიგურის მოძრაობაში ასახვის უნარ-ჩვევების განვითარება;
კით ჰარინგის შემოქმედების გაცნობა.

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 2, 6, 7, 12.
ს.გ. IV.2. - 2
ს.გ.IV.3. – 1, 3, 5.
ს.გ.IV.4. – 1, 2.
ს.გ. IV.5. – 1.

ასათვისებელი ტერმინები:

სილუეტი, დინამიკა

მასალა:

ფორმატი, ფორმატის ფერისგან განსხვავებული ფერის ქაღალდები, უბრალო ფანქარი, შავი მარკერი, წებო, მაკრატელი.

ვიზუალური მასალა:

კით ჰარინგის ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს სახელმძღვანელოდან. მასწავლებელი ეხმარება მათ იმის გააზრებაში, თუ მოძრაობისას რა ადგილებში იხრება კიდურები.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- ფორმატის ფერისგან განსხვავებულ, კონტრასტული ფერის ქაღალდებზე უბრალო ფანქრით დახატეთ მოძრავი ფიგურების სილუეტები.
- გამოჭერით და დაალაგეთ ფორმატზე ისე, რომ ფიგურები თანაბრად გადანაწილდეს. ნუ ეცდებით, ისინი ფეხებით ქვემოთ და თავით მაღლა დააწყოთ. პირიქით, არეულად – გვერდულად და თავდაყირა დალაგებული სილუეტები მხიარული აურზაურის შეგრძნებას, მეტ დინამიკას მიანიჭებენ ნამუშევარს.

მასწავლებელი აკონტროლებს აქტივობის პროცესს, რომ მოსწავლეებმა თანაბრად გაანაწილონ გამოსახულებები ფორმატზე.

- როდესაც ყველა ფიგურა თავის ადგილს იპოვის, წაუსვით წებო ფიგურებს და დააწებეთ მისთვის შერჩეულ ადგილზე.
- შავი ფერის მარკერით შემოავლეთ მსხვილი კონტური და ალაგ-ალაგ მიუხატეთ ასეთივე სისქის მოკლე ხაზები.

თუ ამის საშუალება არის, მუშაობის პროცესში მეტი ხალისისთვის, ჩართეთ მხიარული მუსიკა (ვთქვათ, უოლტ დისნეის მულტფილმის „მაუგლის“ ის ეპიზოდი, როდესაც დათვი ბალუ მღერის და ცეკვავს „Bare Necessities“ ან რაიმე სხვა საცეკვაო მელოდია. ჰარინგსაც ხომ უყვარდა დისნეის მულტფილმები.

მუსიკალური თანხლებისთვის რეკომენდებული ვიდეოჩანაწერები უოლტ დისნეის მულტფილმებიდან:

https://www.youtube.com/watch?v=9ogQ0uge06o

https://www.youtube.com/watch?v=9JDzlhW3XTM

აქტივობა:

1. ფერადი ქაღალდებისგან მოსწავლეები ჭრიან ფიგურებს სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციის თანახმად და აწებებენ მოზრდილ ფორმატზე.
2. კით ჰარინგის შემოქმედების საფუძველზე შექმნილი, ინტერაქტიული საბავშვო აქტივობები (გასაფერადებლები, თამაშები, ფაზლები, პროექტები, ბავშვების ნამუშევრების ატვირთვა): http://www.haringkids.com/

   კით ჰარინგის ნამუშევრების ონლაინ გაფერადება:
   http://www.supercoloring.com/coloring-pages/arts-culture/famous-paintings/keith-haring

კუბიზმი

მიზანი:

კუბიზმის არსის გააზრება (მარტივად);
სურათზე საგნების კომპოზიციური განაწილების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 3, 7.
ს.გ. IV.2. – 1, 4.
ს.გ. IV.4. – 2, 3

ასათვისებელი ტერმინები:

კონტური
ჰორიზონტალური
ვერტიკალური
კუბიზმი
კომპოზიცია

მასალა:

პატარა ზომის სახატავი ფურცლები
შავი სქელი ფლომასტერი
უბრალო ფანქარი

ვიზუალური მასალა:

პაბლო პიკასო
პიტერ კლაესი

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს პიტერ კლაესის და პაბლო პიკასოს ნატურმორტებს და იკითხავს:

– რა ჟანრის ნაწარმოებებს მიეკუთვნება ეს ორი ნამუშევარი?
– რა ნივთებია გამოსახული სურათებზე? (თუ მოსწავლეებს პიკასოს ნატურმორტში გაუჭირდებათ საგნების ამოცნობა, მასწავლებელი შეკითხვებით დაეხმარება მათ დასახელებაში (სკამი, გიტარა და ლარნაკი)).

მას მერე, რაც დადგინდება, რომ ორივე სურათი ნატურმორტია, და ორივეზე მუსიკალური ინსტრუმენტია გამოსახული, მასწავლებელი იკითხავს, თუ რა განსხვავვებაა ამ ორ სურათს შორის და მიიყვანს მსჯელობას იქამდე, რომ ერთ ნატურმორტზე გამოსახული საგნები ნამდვილს ჰგავს და ადვილი საცნობია, მეორე სურათზე კი საგნები ძნელად ამოსაცნობია, ბრტყელია და თითქოს დატეხილი.

მასწავლებელი ამბობს:

– შეადარეთ, რამდენად რბილი, მომრგვალებული, ბუნებრივი ფორმებია პიტერ კლაესის ნატურმორტში და როგორი კუთხოვანი, დატეხილი ფორმებია პაბლო პიკასოს სურათზე. ამ სურათზე, (პიკასოს სურათზე მიუთითებს) მომრგვალებული ადგილებიც კი არ ტოვებს სიმრგვალის შთაბეჭდილებას. პიკასოს ნატურმორტი, თითქოს გეომეტრიული ფიგურებისგან არის აწყობილი.

ჩამოთვალეთ, რომელი გეომეტრიული სხეულების სახელები იცით.

როდესაც მოსწავლეების ჩამონათვალი მივა კუბამდე, მასწავლებელი იტყვის;

– კუბი გეომეტრიული ფიგურაა, რომლის გვერდებიც კვადრატებისგან შედგება. კვადრატი კი ოთხკუთხა ფიგურაა. მხატვრებს, რომლებიც თავიანთ ნახატებში, გამოსახულებებს პიკასოს მსგავსად, გეომეტრიულ ფორმებად შლიან, კუბისტები დაარქვეს. ასეთ მხატვრობას კი კუბიზმი.

ჩვენ დავხატავთ შავ-თეთრ ნატურმორტს და მივამსგავსებთ მას კუბისტურ ნამუშევარს. ნატურმორტის ხატვისას, ყურადღება მიაქციეთ საგნების კომპოზიციურ განაწილებას – შეეცადეთ, ფურცელზე საგნები გაანაწილოთ ისე, რომ დაიცვათ თვალისთვის სასიამოვნო წონასწორობა. ნახატი დაახლოებით ასეთი გამოვა:



აქტივობა:

სახატავი ფურცელზე, უბრალო ფანქრით, სახაზავის გარეშე, ხელით დაიხაზება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები ისე, რომ ფურცელი მიახლოვებით თანაბარი ზომის ოთხკუთხედებად დაიყოს (ფურცელზე უჯრების რაოდენობა დაახლოებით 5X6 –ზე)

დახაზულ ფურცელზე მოსწავლეები დახატავენ სხვადასხვა მარტივი საგნის კონტურებს (ჭიქა, ჩაიდანი, ხილი, ლარნაკი და სხვა).

ოთხკთხედებს და მათზე დახატულ საგნებს გააფერადებენ შავი ფლომასტერით ჭადრაკის დაფისებურად თეთრის და შავის მონაცვლეობით.

თეთრ უჯრაში მოყოლილი საგნის ნაწილი გაფერადდება შავად, ხოლო შავი უჯრის გადამკვეთი საგნის ნაწილი დარჩება თეთრად.

საშინაო დავალება:

მოსწავლეები უჯრებად დაყოფილ ფურცელზე დახატავენ მარტივ ნატურმორტს და გააფერადებენ მას რამდენიმე ფერის ფლომასტერით ან ფერადი ფანქრებით.

მატყუარა ხაზები

მიზანი:

მოცულობის ილუზიის შექმნა.

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 2.
ს.გ. IV.2. – 4, 5.
ს.გ. IV.5. – 1.

ასათვისებელი ტერმინები:

ოპტიკური ილუზია
მოცულობა
შტრიხი

მასალა:

1/2 სახატავი ფურცელი
უბრალო ფანქარი
შავი სქელი ფლომასტერი
სახაზავი
მრგვალი საგანი ან ფარგალი
საშლელი

ვიზუალური მასალა:





გაკვეთილის მსვლელობა:

ფრანგი მხატვარი ვიქტორ ვაზარელი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოშობილი მიმდინარეობის, ოპ-არტის ფუძემდებელია.

რას ნიშნავს ოპ არტი? ოპ არტი შემოკლებული სახელია (ინგლისური optical art) და ოპტიკურ ხელოვნებას ნიშნავს.

ეს მიმდინარეობა აერთიანებს ხელოვნების ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ოპტიკურ ილუზიას ქმნიან. ასეთ ნამუშევრებში, ხაზების და გეომეტრიული ფორმების დეფორმაცია იწვევს ამოზნექილობის ან ჩაღრმავების, ზოგჯერ სურათზე დახატული ობიექტის მოძრაობის შეგრძნებას. ასეთ ეფექტებს ოპტიკურ ილუზიას ვეძახით.

- რა არის ოპტიკური ილუზია? - ოპტიკური ილუზია არის მხედველობითი ეფექტი, რომელსაც შეცდომაში შეყავს ადამიანი, რიც გამოც ვხედავთ იმას, რაც არ არსებობს.

დაათვალიერეთ ვიქტორ ვაზარელის სურათები. რას ხედავთ ამ სურათებზე? როგორ ფიქრობთ, რა ხერხით მიაღწია მხატვარმა ასეთ ეფექტს?

დღეს ჩვენც ვისწავლით მარტივ ხერხს, თუ როგორ დავხატოთ ჩვეულებრივი ხაზებით სურათი, ოპ არტის სტილში, რომელიც მაყურებლის თვალს მოატყუებს და ამობურცული საგნის ილუზიას შექმნის.

ეს სავარჯიშო დაგეხმარებათ ოპტიკური ილუზიის შექმნის პრინციპის გაგებაში, რაც საშუალებას მოგცემთ, მომავალში, ბევრი საინტერესო ნამუშევრები შექმნათ.

აქტივობა:

მოსწავლეები, სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციის მიხედვით დახატავენ წრეს, რომელსაც მოცულობის ილუზია ექნება. ამისთვის

1. ფარგლის ან მრგვალი საგნის საშუალებით სახატავი ფურცლის შუაში, ფანქრით დახატავენ 7 – 8 სმ. დიამეტრის წრეს.
2. ფურცლის ორ მოპირდაპირე გვერდზე სახაზავით გადაზომავენ და მონიშნავენ 1 სმ.-ის დაშორებს წერტილებს.
3. თვალით, უბრალო ფანქრის მეშვეობით გაავლებენ პარალელურ ხაზებს დაშეაერთებენ მონიშნულ წერტილება ისე, რომ ფურცლის შუაში დახატული წრე დარჩეს სუფთა, ხაზების გარეშე.
4. შავი ფლომასტერით შემოავლებენ წრეს კონტურს.

5. ფანქრით, ერთი მიმართულებით გგაღუნული ხაზებით შეაერთებენ ფურცელზე დახატულ, წრესთან გაწყვეტილ ხაზებს.
6. ყველა ხაზს გაამუქებენ შავი ფლომასტერით.

მანამ მოსწავვლეები მეშვიდე პუნქტზე გადავლენ, მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს შორიდან შეხედონ საკუთან ბნამუშევარს რათა დაინახონ, ქმნის თუ არა მათი ნახატი მოცულობის ილუზიას.

7. მოცულობის ეფექტის გასაძლიერებლად, უბრალო ფანქრით ოდნავ დაშტრიხავენ კონტურის გარშემო წრის გარეთა და შიდა მხარეს

II გაკვეთილი

მიზანი:

დამოუკიდებლად მოცულობის ილუზიის შექმნა

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 2, 3, 10.
ს.გ. IV.2. – 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

ოპტიკური ილუზია
მოცულობა
კომპოზიცია

მასალა:

სახატავი ფურცელი
უბრალო ფანქარი
შავი სქელი ფლომასტერი
სახაზავი
რამდენიმე, სხვადასხვა ზომის მრგვალი საგანი ან ფარგალი
საშლელი

ვიზუალური მასალა:











გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი დასვამს შეკითხვებს:

– რა არის ოპ არტი?

– რა შთაბეჭდილებას ახდენს ოპ არტი მაყურებელზე?

– რა არის ოპტიკური ილუზია?

– რა ხერხებით მიიღწევა ოპტიკური ილუზიის ეფექტი გრაფიკულ ნამუშევრებში?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ჩაიხედონ სახელმძღვანელოში, დააკვირდნენ და შეადარონ ერთმანეთს ვიქტორ ვაზარელის ნახატი და ინსტრუქცია, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რა ხერხით შეიძლება ასეთი ნამუშევრის დახატვა. მოსწავლეები გაიხსენებენ და ჩამოთვლიან, თუ რა პროცედურები შეასრულეს წინა გაკვეთილზე მსგავსი ნახატის დახატვისას და შეადარებენ, რა განსხვავებაა იმ პროცედურებსა და სახელმძღვანელოში მოცემულ ახალ დავალებას შორის (წინა გაკვეთილზე ნახატი მხოლოდ ჰორიზონტალური ხაზებით შესრულდა, სახელმძღვანელოში მოცემულ ნიმუშში კი ჰორიზონტალურ ხაზებს ვერტიკალური ხაზებიც კვეთენ და მათი გაადკვეთის შედეგად მიღებული უჯრები გაფერადებულია ჭადრაკის დაფასავით).

მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს ახალი დავალების პირობას:

სახატავ ფურცელზე უნდა დაიხატოს 3-4 სხვადასხვა ზომის წრე. ყურადღება უნდა მიექცეს ფურცელზე წრეების კომპოზიციურ განაწილებას. მოსწავლეებმა უნდა იხელმძღვანელონ სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციით და დახატონ ნახატი ნიმუშის მსგავსი ეფექტით.

ანარეკლი

მიზანი:

ანარეკლის ეფექტის გადმოცემის უნარი.

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 1, 2, 5.
ს.გ. IV.2. – 1, 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

მარინისტული

მასალა:

I აქტივობა:

სახატავი ფურცელი
რბილი (4-6 B) ფანქარი
საღებავები ან ფერადი პასტელი
ფუნჯი
წყალი

II აქტივობა:

სახატავი ფურცელი
გუაშის საღებავები
სასურველია ბრტყელი 2-4 ზომის ფუნჯები
წყალი

III აქტივობა:

ფერადი ფურცლების ნაკუწები, ფერადი ჟურნალის ფურცლები
მაკრატელი
წებო
სახატავი ფურცელი
ფანქარი

ვიზუალური მასალა:

პოლ სინიაკის მარინისტული ნამუშევრები
ბიზანტიური მოზაიკის ნიმუშები

გაკვეთილის მსვლელობა:

სურათებს, რომლებზეც ზღვის ხედებია გამოსახული, მარინისტული პეიზაჟები ეწოდება.

– დაათვალიერეთ პოლ სინიაკის **მარინისტული** პეიზაჟები და მითხარით, რა არის გამოსახული სურათებზე,

სინიაკის ფერწერული ნამუშევრები შესრულებულია მოკლე მონასმებით. სუფთა ფერები ერთ-მანეთის გვერდით მოზაიკის კენჭებივითაა დალაგებული.

– რა განსხვავებაა ჩრდილსა და ანარეკლს შორის?

ჩრდილი ჩნდება იმ ადგილას, სადაც სინათლე არ ხვდება. ანარეკლი კი არის პრიალა ზედაპირზე, რაიმე გამოსახულების ასახვა.

– რა ხერხით გამოსახავს მხატვარი წყლის მოძრავ ზედაპირს?

პოლ სინიაკი, საგნების წყლის ზედაპირზე მოთამაშე ანარეკლით გამოსახავს წყლის მოძრაობას.

პოლ სინიაკის კიდევ ერთი გატაცება იყო ანტიკური მოზაიკა.

მოსწავლეები დაათვალიერებენ ბიზანტიური მოზაიკის ნიმუშებს.

– რა საერთოს ხედავთ ანტიკურ მოზაიკასა და პოლ სინიაკის ნამუშევრებს შორის? რა გავლენა იქონია ბიზანტიური მოზაიკით გატაცებამ მხატვრის ხელწერაზე?

აქტივობა 1:

ანარეკლი

მოსწავლეები დახატავენ პეიზაჟს რომელიც წყლის ზედაპირზე ირეკლება.

მოსწავლები სახატავი ფურცლის შუაში გაავლებენ უსწორმასწორო ჰორიზონტალურ ხაზს. ხაზის ზედა ნაწილში, რბილი შავი ფანქრით დაიხატება პეიზაჟი.

სახატავ ფურცელს გადაკეცავენ ჰორიზონტალური ხაზის გაყოლებაზე ისე, რომ ნახატი მოექცეს შიგნით.

ნახატის ზევიდან, ფურცელს ძლიერად გადაუსვამენ ფანქარს, შედეგად, დახატული პეიზაჟი გადავა ჰორიზონტის ხაზის ქვედა, ცარიელ ნაწილზე.

გაშლიან ფურცელს და გააფერადებენ ნახატის ზედა მხარეს თბილი, ნათელი ფერებით, ხოლო ჰორიზონტის ხაზის ქვედა ნაწილს, წყლის ზედაპირზე ანარეკლის ეფექტის მისაღებად, ცივი, ჩამქრალი ფერებით.

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ჩაბნელებული ფერების მისაღებად, მათ შეუძლიათ სცადონ საღებავში შავი ფერის დამატება, ხოლო მკრთალი ფერების მისაღებად კი, საღებავში თეთრი ფერი დაამარონ,

მასწავლებელი გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ არასასურველი შედეგის თავიდან ასაცილებ-ლად, ახლად შეზავებული ფერები ჯერ მოსინჯონ სათადარიგო ფურცელზე და მერე გამოიყენონ ისინი ნამუშევარში.

გამოსახულება პეიზაჟის ზედა ნახევარზე უნდა იყოს შედარებით მკაფიო, ქვედა ნაწილში კი, სადაც

ანარეკლი იხატება, საგნების გაამოსახულება შეიძლება დაირღვეს.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს შემოარტიალონ დამთავრებული ნახატები და შეხედონ, იძლევა თუ არა ნახატი უკუღმა მდგომარეობაში ანარეკლის შთაბეჭდილებას.

აქტივობა 2:

პოლ სინიაკის სურათის ასლი

მოსწავლეები პოლ სინიაკის ილუსტრაციებიდან ამოირჩევენ რომელიმე ერთს და საღებავებით დახატავენ მის ასლს.

მასწავლებელი მოსწავლებს სთხოვს ყურადღებით დაათვალიერონ, თუ როგორი მონასმებითაა შესრულებული სინიაკის პეიზაჟები და როგორ ათამაშებს მხატვარი ერთმანეთის გვერდით ცივ და თბილ ფერებს.

მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს ნამუშევრის დაწყებამდე, სავარჯიშო ფურცელზე დახატონ რამდენიმე ლაქა, სადაც მოსინჯავენ ერთმანეთის გვერდზე, მოკლე მონასმებით 2-3 განსხვავებული ფერის კოპლების დასმას და დააკვირდნენ მიღებულ შედეგს.

აქტივობა 3:

მოზაიკა თავისუფალ თემაზე

მოსწავლეები სახატავ ფურცელზე, ფანქრით, მკრთალად დახატავენ კონტურულ ნახატს, რომელ-საც „გააფერადებენ“ წვრილად დაკუწული და დაწებებული ფერადი ქაღალდების ნაკუწებით.

კაკაბაძის იმერეთი

მიზანი:

მშვენიერების აღქმის უნარის განვითარება;
შთაბეჭდილებების ასახვის უნარის განვითარება;
ორნამენტის გამოყენების უნარის განვითარება;
წინა და უკანა ხედის ცნების გაცნობა და გამოყენების უნარის განვითარება;
ეროვნული კულტურის შესწავლა (დავით კაკაბაძის შემოქმედების გაცნობა).

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 3, 4, 5, 9.
ს.გ. IV.2. – 1, 5.
ს.გ. IV.5. – 2.

ასათვისებელი ტერმინები:

წინა, შუა და უკანა ხედი.

მასალა:

სახატავი რვეული, უბრალო ფანქარი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, ჭიქით წყალი.

ვიზუალური მასალა:

დავით კაკაბაძის იმერული პეიზაჟები

მოსწავლეების ნამუშევრები:

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, მასწავლებელი აჩვენებს მათ დავით კაკაბაძის ნამუშევრებს და სთავაზობს იმსჯელონ, რა ფერები და რამდენნაირი ორნამენტული ნახატი მეორდება – ზოლები, კოპლები, მართკუთხედები და სხვ. მასწავლებელი უხსნის, რომ სივრცისა და სიღრმის გადმოსაცემად მხატვრები ხშირად იყენებენ სიშორის მიხედვით ფერის გაღიავებას. რაც უფრო შორს ჩანს საგანი, მით უფრო ღია ფერისაა ის. რაც უფრო ახლოსაა, უფრო მუქია. მაგრამ ზოგი მხატვარი ისე ახერხებს უკიდეგანო სივრცის გადმოცემას, რომ ამ წესს არ მისდევს. ხელოვნება სწორედ ამითაა გამორჩეული, რომ აქ არ არსებობს „წესი“ და „უწესობა“, „შეიძლება“ და „არ შეიძლება“. ყველა მხატვარი საკუთარ

ხედვას გვთავაზობს და ამისთვის საკუთარ წესებს შეიმუშავებს. მოცემულ გაკვეთილზე მოსწავლეები დავით კაკაბაძის მიერ შემუშავებული ხერხით შექმნიან პეიზაჟს.

მასწავლებელი უხსნის, რა არის წინა, შუა და უკანა ხედი; რომ საგნების გამოსახულებები წინა ხედზე ზომით დიდია, შუა ხედზე საშუალო ზომის, ხოლო უკანა ხედზე – პატარა.

მასწავლებელი უხსნის, რომ ფურცელზე ფანქრით უნდა მონიშნონ მთების სილუეტები, ფანქრითვე დაყონ წინ მდებარე მთები მართკუთხედებად, შემდეგ გუაშით დაფერონ სხვადასხვა ფერით და ბოლოს, ზოგ მონაკვეთზე დახატონ სხვადასხვა ორნამენტი და ხეები.

შემაჯამებელი კითხვები:

- როგორ გადმოსცემენ მხატვრები წინა, შუა და ახლო ხედებს?
- როგორ ასახავს ხედებს დავით კაკაბაძე?
- რით განსხვავდება მისი ხერხი გავრცელებული ხერხისაგან?
- მოგწონთ დავით კაკაბაძის პეიზაჟები თუ არა? რატომ?
- რა ფერებს და ორნამენტებს იყენებდა კაკაბაძე პეიზაჟებში?
- რა ფერები და ორნამენტები გამოიყენეთ თქვენ?
- რა გამოგივიდათ კარგად და რას შეცვლიდით საკუთარ ნამუშევარში?
- თანაკლასელთაგან, კიდევ ვისი ნამუშევარი მოგწონთ? რა გამოუვიდა მას კარგად?
- რამეს ხომ არ ურჩევდით თქვენს მეგობარს? გამოთქვით აზრო თავაზიანად, რომ თქვენმა რჩევამ გული არ ატკინოს მას. ეს უნდა იყოს სწორედ რჩევა და არა შენიშვნა ან დაწუნება.

აქტივობა:

მოსწავლეები წარმოსახვით ხატავენ პეიზაჟს დავით კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟების მიხედვით.

ანაბეჭდი

მიზანი:

მშვენიერების განცდის უნარ-ჩვევის განვითარება;
არატრადიციული მასალების შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარება;
გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვის უნარ-ჩვევის განვითარება;
ანაბეჭდის ტექნიკის შემდგომი დაუფლება;
ნამუშევრის წარდგენის უნარი.

შედეგი:

ს.გ. IV.2. – 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

პეიზაჟი, ანაბეჭდი

მასალა:

სხვადასხვახეებისა და მცენარეების ფოთლები, თავთავები, გუაშის საღებავები, ფუნჯი, პალიტრა, ქაღალდი, ფანქარი, წინსაფარი, სამკლაურები.

ვიზუალური მასალა:

მოსწავლეების ნამუშევრები ფოთლების ანაბეჭდით.

გაკვეთილის მსვლელობა:

ეს გაკვეთილი შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს. გაკვეთილის დაწყებამდე, დასვენებაზე, მასწავლებელი ბავშვებს აძლევს 5 წუთს, რომ ეზოში შეაგროვონ დაცვენილი ფოთლები. მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ანა კალანდაძის ლექსს და სთხოვს, გაიხსენონ, რა არის პეიზაჟი, როგორია შემოდგომის პეიზაჟი, როგორ განწყობაზე აყენებს მათ შემოდგომის სიჭრელე. შემდეგ აცნობს მათ სახელმძღვანელოში მოყვანილ ინსტრუქციას. მოსწავლეები ქმნიანპეიზაჟებს (I აქტივობა) ან დეკორატიულ კომპოზიციებს (II აქტივობა) ფოთლების ანაბეჭდებით.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- შეაგროვეთ ეზოში სხვადასხვა ჯიშის მცენარეების პატარა ზომის ფოთლები.
- უბრალო ფანქრით მრუდი ხაზებით ქაღალდზე დახატეთ მთები და გუაშის საღებავებით დაფერეთ თქვენთვის სასურველი ფერებით (მწვანე, ოქრა...)
- დაფერეთ ცა ჰორიზონტის ხაზამდე ანუ მიწის ზოლამდე.
- თუ გსურთ, რომ დანისლული ელფერი მიიღოთ, პალიტრაზე დააყენეთ ღია ფერის ტონები სხვადასხვა ფერის გუაშის საღებავების თეთრი ფერის გუაშთან შერევით.
- აიღეთ ორი ქაღალდი (შეიძლება უკვე გამოყენებული და უსარგებლო). ერთზე დადეთ ფოთოლი წაღმა პირით ქვემოთ ისე, რომ უფრო „ძარღვიანი“ მხარე ზემოთ მოექცეს. წაუსვით ფუნ-

ჯით დაყენებული ფერის საღებავი. ნუ იხმართ წყალს – ფერი თანაბარ ფენად უნდა დაედოს ფოთოლს. შეგიძლიათ ერთი ფოთოლი რამდენიმე ფერის საღებავით დაფეროთ – ხომ გინახავთ, როგორ ერევა ერთ ხეში რამდენიმე ფერი – ზოგი ფოთოლი ჯერ კიდევ მწვანეა, ზოგი ყვითელი, ნარინჯისფერი, ან უკვე წითელი.

- დადეთ დაფერილი ფოთოლი საღებავიანი პირით ქვემოთ.
- დაადეთ მეორე, სუფთა ქაღალდი და გადაუსვით ზემოდან ხელი. ფოთოლი ნახატზე ფერად კვალს ანუ ანაბეჭდს დატოვებს.
- ააცალეთ ნახატს ფოთოლი და იგივე პროცედურა გაიმეორეთ, სანამ სურათი ანაბეჭდებით არ შეივსება. თუ ხეებს ერთმანეთს დააცილებთ, იშვიათი ტყე გამოვა. თუ ხშირი ტყის პეიზაჟის შექმნა გსურთ, მაშინ ფოთლები ისე უნდა დადოთ, რომ ზოგან ერთმანეთს ფარავდეს.
- შეგიძლიათ ერთი ფოთლით რამდენიმე ანაბეჭდი გააკეთოთ. პირველი ანაბეჭდი უფრო მუქი გამოვა. მეორე – მკრთალი. თუ იმავე ფორმის სხვა ფერის ანაბეჭდის გაკეთება გინდათ, გარეცხეთ ფოთოლი, შეაშრეთ და ახლა სხვა ფერი გადაუსვით.
- ანაბეჭდის წესით შეგიძლიათ მიწაზე დაცვენილი ფოთლებიც დახატოთ.
- თუ ყვავილოვანი კომბოსტოს სეზონია, შეგიძლიათ დაყოთ მისი ძირი ცალკეულ ტოტებად. შემდეგ, პლასტმასის დანით გაჭერით ტოტი შუაზე.
- ჩააწეთ ბროკოლის ტოტის განაჭერი გვერდი საღებავში ან დაფერეთ ფუნჯით და შემდეგ დაადეთ პეიზაჟის სასურველ ადგილებზე.
- თუ სტაფილოს წვერს მოაჭრით და საღებავში ჩააწობთ, კოპლებივით მრგვალი ფოთლები გამოგივათ.

ამავე პროცედურით შეგიძლიათ სხვაგვარი ნახატიც შექმნათ, სადაც ტყე კი არ იქნება გამოსახული, არამედ საინტერესო, დეკორატიული კომპოზიცია.

აქტივობა:

მოსწავლეები ქმნიან პეიზაჟებს (I აქტივობა) ან დეკორატიულკომპოზიციებს (II აქტივობა) ფოთლებისანაბეჭდებით.

შემაჯამებელი კითხვები:

- ადრე გიმუშავიათ ანაბეჭდის ტექნიკით?
- რა არის ყველაზე რთული ამ ტექნიკაში?
- ნამუშევარში რა გამოგივიდათ კარგად? როგორ მიაღწიეთ ამ ეფექტს?
- რომელი ნამუშევარი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ?

ლიტერატურული პორტრეტი

მიზანი:

ლიტერატურული პერსონაჟის წარმოსახვის და მისი სახვითი სახის შექმნის უნარის გამომუშავება; ხელოვნების ნიმუშების შედარების, მათზე საუბრის უნარის გამომუშავება.

შედეგი:

ს.გ. IV.2. – 1.
ს.გ. IV.4. – 2, 4, 5.
ს.გ. IV.5. – 1, 2, 4, 6

მასალა:

სახატავი ფურცლები
უბრალო ფანქარი
საშლელი
ფერადი ფანქრები

ვიზუალური რესურსი:

სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული ტარიელის პორტრეტები.

გაკვეთილის მსვლელობა:

არსებობს პორტრეტის ერთი სახეობა, რომელიც არ არის დაკავშირებული სახვით ხელოვნებასთან – ეს არის ლიტერატურული პორტრეტი. ლიტერატურული პორტრეტი ეწოდება ლიტერატურულ ნაწარმოებში, გამოგონილი პერსონაჟის აღწერას, ნაწარმოების გმირის სახეს, რომელსაც ჩვენ სიტყვიერი აღწერით წარმოვიდგენთ.

მასწავლებელი მაგალითად მოიყვანს ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე გავლილი მასალიდან რომელიმე პერსონაჟს და სთხოვს მოსწავლეებს სიტყვიერად დახატონ, დაახასიათონ ეს გმირი, – აღწერონ, როგორი წარმოუდგენიათ ეს პერსონაჟი, მისი გარეგნობა, ჩაცმულობა, ასაკი, ხასიათი და სხვა დეტალები.

დღეს ჩვენ განვიხილავთ და შევადარებთ ერთმანეთს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ მთავარი გმირის, ტარიელის ლიტერატურულ პორტრეტსა და ამავე გმირის სხვადასხვა მხატვრის მიერ შექმნილ გრაფიკულ პორტრეტებს.

მასწავლებელი წაიკითხავს ნაწყვეტს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ –

... ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა;
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა.

მასწავლებელი დაუსვამს მოსწავლეებს შეკითხვებს, თუ როგორ პოზაშია აღერილი, რა აცვია, როგორი ქუდი ახურავს, რა ფერის ცხენი ყავს, რა უკავია ხელში, და როგორ განწყობაზეა ტარიელი.

სიტყვიერი აღწერის მერე, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ციტატის შესაბამის, სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებულ ილუსტრსაციებს. მასწავლებელი გაამახვილებს ყურადღებას ნახატში ასახული დეტალების და ტექსტის შესაბამისობაზე და შესთავაზებს მოსწავლეებს შეადარონ, თუ რომელი ილუსტრაცია ასახავს გმირს უფრო ზუსტად.

მსჯელობის შემდეგ მოსწავლეები დახატავენ ტარიელის პორტრეტს.

გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი ამცნობს მოსწავლეებს, რომ მომდევნო გაკვეთილზე ისინი დახატავენ მათთვის საინტერესო ლიტერატურული გმირის პორტრეტს. ამიტომ, სასურველია, მოემზადონ და წინასწარ მოიფიქრონ, თუ რომელი ნაწარმოების გმირს დახატავენ, გადაავლონ თვალი მათ საყვარელ მოთხრობას ან ზღაპარს, რათა გაიხსენონ, თუ როგორ არის ნაწარმოებში აღწერილი ეს გმირი.

აქტივობა 1:

მოსწავლეები დახატავენ ტარიელის პორტრეტს.

აქტივობა 2:

მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეებს, თუ ვინ რომელი პერსონაჟის დახატვას გეგმავს და რატომ და სთხოვს მათ, სიტყვიერად აღწერონ შერჩეული გმირი, რის შემდეგაც, მოსწავლეები დახატავენ მათი საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოების გმირს. ფურცლის უკანა მხარეს დააწერენ თუ რომელი ნაწარმოების გმირია გამოსახული მათ ნახატზე.

მოსწავლეებს შეუძლიათ ნახატზე (გაითვალისწინონ ადგილი) ლამაზად დაწერონ ციტატაც.

II გაკვეთილი

მასალა:

სახატავი ფურცლები
უბრალო ფანქარი
საშლელი
ფერადი ფანქრები

II გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას და ამბობს:

ჩვენ დღეს დავხატავთ პორტრეტს. მოდით, გავაერთიანოთ სახვითი და ლიტერატურული პორტრეტი და დავხატოთ ლიტერატურული გმირის პორტრეტი. ამოირჩიეთ რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების – მოთხრობის ან ზღაპრის თქვენთვის საინტერესო პერსონაჟი, გაიხსენეთ, როგორ არის აღწერილი ეს გმირი ნაწარმოებში (როგორი ხასიათი აქვს, როგორ აცვია, სად ცხოვრობს, რა ასაკისაა და სხვა მისი დამახასიათებელი დეტალები) და დახატეთ მისი პორტრეტი. პორტრეტს, გარშემო, დაუხატეთ ორნამენტებით მორთული ჩარჩო.

ეცადეთ, ჩარჩოზე გამოსახული ორნამენტი თქვენს მიერ დახატულ პორტრეტს შეესაბამებოდეს. მაგალითად, ჰერაკლეს გამოსახულებას არ მოუხდება გულებიანი ჩარჩო, წითელქუდას კი ბერძნული ორნამენტი.

აქტივობა:

მოსწავლეები სახატავ ფურცლებზე დახატავენ საყვარელი ლიტერატურული გმირის პორტრეტს. დაუხატავენ პორტრეტს ჩარჩოს და გააფორმებენ ჩარჩოს ორნამენტით.

მოსწავლეები განიხილავენ ნამუშევრებს, შეეცდებიან ამოიცნონ, თუ ვინ არის გამოსახული ერთმანეთის ნამუშევრებში და იმსჯელებენ იმაზე, თუ რამდენად გამოუვიდათ ჩანაფიქრი, რამდენად საცნობია მათ მიერ დახატული ლიტერატურული პერსონაჟი, რა დეტალებით მიხვდნენ მის ვინაობას და სხვა.

ყაჯარული პორტრეტი

მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოების აღქმის, აღწერისა და ინტერპრეტაციის უნარის განვითარება;

ხელოვნების ნაწარმოებისგან მიღებული შთაბეჭდილებების ნამუშევარში გადმოცემის უნარის განვითარება;

მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობასთან (ყაჯარულ პორტრეტებთან) გაცნობა და პატივისცემის გრძნობის განვითარება განსხვავებული კულტურის მიმართ.

შედეგი:

ს.გ. IV.2. – 1.

ს.გ.IV.4. – 1, 2, 3.

ასათვისებელი ტერმინები:

დინასტია, დეკორატიული

მასალა:

სახატავი ფურცელი, უბრალო ფანქარი, ფერადი ფანქრები.

ვიზუალური მასალა:

31,07 წთ-იანი შემეცნებითი ვიდეო – სალომე დადუნაშვილის საავტორო გადაცემა „დღე მუზეუმში“, ყაჯარული ფერწერის კოლექცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში:

https://www.youtube.com/watch?v=_3tdg1tCNF8&t=16s

ილუსტრაციები:

ყაჯარული პორტრეტები

აღა-მაჰმად ხანის პორტრეტი

ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულის პორტრეტი

მოსწავლეების ნამუშევრები:

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. მასწავლებელი ყურადღებას უმახვილებს პორტრეტების ხასიათზე, მათ დეკორატიულობაზე (ჩრდილებიც კი არ არის!), ორნამენტის მნიშვნელობაზე, ქსოვილების დიზაინზე. აღნიშნავს, რომ დღეს ჩადრებით მოსიარულე ირანელი ქალები ოდესღაც ასეთი თამამი და გაბედულნი ყოფილან.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები მტრის კულტურის დაფასების შესახებ. მასწავლებელი უხსნის, რომ ეს უნარი, ისევე, როგორც პატიებისა, დიდსულოვნების ნიშანია. მოსწავლეები აკვირდებიან ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ქალიშვილის პორტრეტს და ადარებენ მას ყაჯარულ პორტრეტებს, ასახელებენ მსგავსებებს (პოზა, ორნამენტით გაწყობილი სამოსი, თვალ-წარბი, საერთო იერი) და განსხვავებზე (შედარებით რეალისტური ფონი).

შემდეგ მოსწავლეები ჯერ უბრალო ფანქრით, წარმოსახვით ხატავენ პორტრეტებს ყაჯარული პორტრეტის სტილში, შემდეგ აფერადებენ ფერადი ფანქრებით.

აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ წარმოსახვით პორტრეტებს ყაჯარული პორტრეტების სტილში.

შემაჯამებელი კითხვები:

- რომელ დარგს მიეკუთვნება ეს ნამუშევრები?
- რომელ ჟანრს მიეკუთვნება ეს ნამუშევრები?
- რა ახასიათებს ყაჯარულ პორტრეტებს?
- რას ნიშნავს „დეკორატიული“?
- ყაჯარული პორტრეტების რომელი ნიშან-თვისებები გამოიყენეთ საკუთარ ნამუშევარში?
- რა მოგწონთ ყაჯარულ პორტრეტებში?
- რა არ მოგწონთ ყაჯარულ პორტრეტებში?
- რა მოგწონთ საკუთარ ნახატში?
- რა მოგწონთ სხვის ნახატში?
- რა არის დინასტია?
- რა მოხდებოდა, ქართველებს რომ მტრული ირანის ხელოვნების ნაწარმოებები გაენადგურებინა?

ამედეო მოდილიანი

მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოების აღქმის უნარის ჩამოყალიბება;

შემოქმედებითი თავისუფლების გაცნობიერება;

პროპორციისა და დისპროპორციის ცნებების გაცნობა;

მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის (ამედეო მოდილიანის შემოქმედების) გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 2.

ს.გ.IV.4. – 2, 3.

ს.გ.IV.5. – 2.

ასათვისებელი ტერმინები:

პროპორცია, დისპროპორცია

მასალა:

სახატავი ფურცელი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყალი.

ვიზუალური მასალა:

ამედეო მოდილიანის პორტრეტები. ამადეო მოდილიანი და მისი მეუღლე ჟანა



გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები გაეცნობიან სახელმძღვანელოს ტექსტს, მასწავლებელი აჩვენებს მათ ილუსტრაციებს რესურსებში და ეკითხება:

- მოგწონთ ამედეო მოდილიანის პორტრეტები თუ არა? რატომ?
- რა სიტყვებით დაახასიათებდით მოდილიანის პერსონაჟებს?

დავალება:

დახატეთ პორტრეტი მოდილიანისეული დისპროპორციით.

ლექსიკონი:

პროპორცია – ერთი მთლიანის ცალკეულ ნაწილებს შორის ზომებისთანაფარდობა

დისპროპორცია – ერთი მთლიანის ცალკეულ ნაწილებს შორის ზომებისნორმალური თანაფარდობის დარღვევა.

პიტერ ბრეიგელი. საბავშვო თამაშები

5-გაკვეთილიანი პროექტი

I გაკვეთილი

მიზანი:

ინტერპრეტაციის და კომუნიკაციის უნარების განვითარება;
წარსულსა და თანამედროვეობას შორის კავშირის დადგენის უნარის განვითარება;
ნასწავლის ცხოვრებასთან დაკავშირების უნარის განვითარება;
მსოფლიოს ხელოვნებასთან (პიტერ ბრეიგელის შემოქმედებასთან) გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.IV.4. – 2.
ს.გ.IV.5. – 2.

ასათვისებელი ტერმინები:

ყოფითი ჟანრი

მასალა:

რვეული, უბრალო ფანქარი

ვიზუალური მასალა:

პიტერ ბრეიგელ უფროსის „საბავშვო თამაშები“

I გაკვეთილის მსვლელობა:

სახელმძღვანელოში ტექსტის კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოიცნონ, რას თამაშობენ ბავშვები სურათზე. რამდენად მსგავსია ან განსხვავებული ეს თამაშები იმათგან, რითაც თავად ერთობიან; რომელ ჟანრს განეკუთვნება ეს სურათი (ყოფითს), რა ნიშნით აკუთვნებენ ამ ნაწარმოებს ყოფით ჟანრს.

შემდგომ მასწავლებელი აძლევს დავალებას ბავშვებს, რვეულში დახატონ, ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ვენის მიერ შემოღებული, შედარებებისთვის გრაფიკული მაორგანიზებელი, ე.წ. ვენის დიაგრამა – ერთმანეთის გადამკვეთი ორი წრე. მის პირველ დანაყოფში ჩაწერონ ის თამაშები, რასაც ბრეიგელის სურათზე ხედავენ, მაგრამ თავად არ თამაშობენ, გადაკვეთის დანაყოფში ის, რაც მათთვისაც ნაცნობია, ხოლო უკანასკნელ დანაყოფში ის, რასაც თავად თამაშობენ, მაგრამ სურათზე არ არის.

ვენის დიაგრამის შევსების შემდეგ მოსწავლეები აჯამებენ შედეგებს – რამდენი თამაში ყოფილა საერთო - დროში 5 საუკუნითა და დიდი ტერიტორიით დაშორებულ სივრცეებში. გამოთქვამენ აზრს იმ თამაშებზე, რასაც არ იცნობენ. მსჯელობენ, მოსწონთ თუ არა ეს თამაშები, შეუძლიათ თუ არა მიხვდნენ ამ უცნობი თამაშების წესებს. გამოთქვამენ საკუთარ დამოკიდებულებას, ითამაშებდნენ თუ არა მათ და რატომ.

შემდეგი გაკვეთილისთვის, სპორტის მასწავლებელთან და სკოლის სხვა თანატოლებთან ერთად მოსწავლეები გეგმავენ პროექტს – ღონისძიებას: „ბრეიგელის დღე“. აწესებენ „ბრეიგელის პრიზს“. იყოფიან ჯგუფებად, თამაშობენ სურათზე ასახულ ან მათ საყვარელ თამაშებს უსაფრთხოების წესების დაცვით. რომელიმე ბავშვს დაევალება ფოტოების გადაღება.

აქტივობა:

მოსწავლეები აკვირდებიან ნაწარმოებს, ამოიცნობენ მათთვის ნაცნობ თამაშებს, პოულობენ უცნობ თამაშებს, ვენის დიაგრამაში ჩაწერენ სურათში ასახულ და მათთვის საერთო და განსხვავებული თამაშების სახელწოდებებს. აჯამებენ შედარების შედეგებს და მსჯელობენ.

II გაკვეთილი:

საორგანიზაციო მზადება ღონისძიებისთვის „ბრეიგელის დღე“ (პროექტის III გაკვეთილი)

მიზანი:

თანამშრომლობის, ორგანიზების, კომუნიკაციის, ინიციატივისა და პასუხისმგებლობის უნარების განვითარება;

ხელოვნების ნაწარმოების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.3. – 1, 3, 5.

ს.გ.IV.5. – 5.

მასალა:

სპორტული ინვენტარი (ბურთი, ჰულაჰუპი, სახტუნაო და სხვ.) მოსწავლეების არჩევანის მიხედვით.

გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილი უნდა დაეთმოს სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ღონისძიების, „ბრეიგელის დღის“ დაგეგმვას. მასწავლებელი, სპორტის მასწავლებელთან ერთად, დაეხმარება ბავშვებს თანატოლ სკოლელებთან (პარალელურ კლასებთან) ერთობლივად, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში (თამაშების შერჩევაში, ჯგუფებად დაყოფაში, უსაფრთხოების წესების დადგენაში, დროისა და ადგილის განსაზღვრაში). ეს ღონისძიება ინტერდისციპლინარული პროექტია, რადგან მასში სპორტის საგანიცაა ჩართული.

ღონისძიების დღეს ეძლევათ საშინაო დავალება – დახატონ თამაშების ამსახველი რომელიმე მომენტი, რომელიც დაამახსოვრდათ, რომელმაც მოახდინა შთაბეჭდილება.

IV გაკვეთილი:

გამოფენა „ბრეიგელის დღე“ (პროექტის IV გაკვეთილი)

მიზანი:

თანამშრომლობით შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვისა და რეალიზაციის, ჯგუფური მუშაობისას სხვებთან ურთიერთობის, თანამშრომლობისა და პრობლემურ საკითხებზე შეთანხმების, დასახული ამოცანის გადაჭრისათვის აუცილებელი ინიციატივის და პასუხისმგებლობის გამოვლენის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.3. – 1, 2, 3, 4, 5.

მასალა:

ფერადი ქაღალდები მოსაწვევი ბარათების დასამზადებლად, ფორმატი აფიშისთვის, ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

ეწყობა ფოტოგამოფენა:

I ჯგუფი: მოსწავლეები ქმნიან აფიშას და კიდებენ სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე; ქმნიან დეკორატიულ მოსაწვევ ბარათებს (სკოლის თითო კლასზე ერთი საერთო მოსაწვევი) და არიგებენ;

II ჯგუფი: მოსწავლეთა თამაშის ამსახველ ფოტოებს, ბრეიგელის ნახატის ფრაგმენტების რეპროდუქციებს და ბავშვების ნახატებს ფერადი ქაღალდებით უკეთებენ დეკორატიულ ჩარჩოებს და კიდებენ ამისთვის წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე.

V გაკვეთილი: დამიმტკიცე!

მიზანი:

კონტექსტში ხელოვნების აღქმის, ინტერპრეტაციისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.4. – 2, 4, 5.
ს.გ.IV.5. – 4.

ასათვისებელი ტერმინები:

რეგლამენტი

ვიზუალური მასალა:

პიტერ ბრეიგელის „საბავშვო თამაშობანი“

გაკვეთილის მსვლელობა:

– აღორძინების ხანის იტალიელი ხელოვანები, ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო ბუონაროტი დიდი ხნის განმავლობაში კამათობდნენ – მხატვრობაა უპირატესი თუ ქანდაკება. გაგიკვირდებათ და ორივე ერთსა და იმავე არგუმენტს იშველიებდა. ვიდრე მას გაგიმხელდეთ, საკუთარი ვარაუდები გამოთქვით. თამამად, ნუ მოგერიდებათ! არ შეუშინდეთ საკუთარი აზრის გამოთქმას, რადგან შეცდომას არ უშვებს მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს. თუკი რამეს აკეთებთ, შესაძლოა, ბევრჯერ შეგეშალოთ, მაგრამ სწორედ საკუთარი შეცდომის გააზრება მიგახვედრებთ – ეს გზა მცდარია, სხვა უნდა გამოინახოს. ასე რომ, შეცდომა სასარგებლო რამ ყოფილა.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს.

მასწავლებელი ამბობს:

დააკვირდით სურათს – როგორ ფიქრობთ, ბრეიგელი ბავშვებს აღტაცებით ხატავს თუ გულისტკივილით? მოსწონს თუ არა მათი გართობა? ამოკრიბეთ თქვენი პოზიციის დამამტკიცებელი

არგუმენტები, კონკრეტული მაგალითები და მოდით, ვიკამათოთ.

კლასის დაყოფა შესაძლებელია სიის მიხედვით შუაზე გაყოფით, ორი ტიპის ბარათებით (ორგვარნახატიანი ან დანომრილი); არჩევანი-არადანის გათამაშებით და სხვ. სასურველია, კლასში უკვე დამეგობრებული მოსწავლეები სხვადასხვა ჯგუფში მოხვდნენ, რომ სხვებთანაც დამეგობრდნენ. გარდა ამისა, მოსწავლეები უნდა შეეჩვიონ სხვადასხვა ჯგუფებში მუშაობას, რომ არ შეიზღუდონ ერთი, ჩვეული გარემოთი. დაუშვებელია გოგონების და ბიჭების ან „ძლიერი“ და „სუსტი“ მოსწავლეების ცალ-ცალკე დაჯგუფება. ამ კატეგორიების მოსწავლეები ჯგუფებში შერეულად უნდა განაწილდნენ.

ინიშნება „დროის გუშაგი“, რომელიც აკონტროლებს დროის რეგლამენტის დაცვას.

სივრცის ორგანიზებისთვის აჯობებს, თუ მოწინააღმდეგეები ერთმანეთის საპირისპიროდ დასხდებიან.

დებატების ეტაპები:

- მასწავლებელი სთავაზობს ორ საპირისპირო პოზიციას. პოზიციები როლურ თამაშს გულისხმობს. ამიტომ, კლასის დაყოფისას არ აქვს მნიშვნელობა, სინამდვილეში რომელ პოზიციას ემხრობა მოსწავლე. მათ უნდა შეძლონ საპირისპირო აზრის დამტკიცებაც;
- მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები ადგენენ კამათის წესებს, დროის რეგლამენტს (ჯგუფებში განხილვისა და გამოსვლების);
- თითოეული ჯგუფი ინაწილებს როლებს, ნიშნავს სპიკერს, შეიმუშავებს და წერს არგუმენტებს, განსაზღვრავს ოპონენტთა სავარაუდო კითხვებს და მოიფიქრებს მათზე პასუხებს; მოულოდნელ კითხვაზე პასუხის გაცემის წინ სპიკერს შეუძლია მოეთათბიროს ჯგუფის წევრებს.
- წამყვანი (შესაძლოა მასწავლებელი ან რომელიმე მოსწავლე), მონაცვლეობით აძლევს სიტყვას თითოეულ ჯგუფს; წამყვანი კამათში ერევა მხოლოდ კონფლიქტური ვითარების გასანეიტრალებლად. წამყვანი ავსებს ჯგუფების მუშაობის შეფასების ფორმას (იხ.: დანართი):

- დებატების დასასრულს ერთობლივად ხდება კამათის შედეგების შეჯამება. შეჯამების შემდეგ წამყვანი სვამს კითხვას, სინამდვილეში რა აზრის არიან მოსწავლეები, ვინ შეიცვალა პოზიცია, რომელი არგუმენტი იყო ყველაზე დამაჯერებელი და სხვ.

დასასრულს, მასწავლებელი უამბობს მიქელანჯელოსა და ლეონარდო და ვინჩის დავის მთავარ არგუმენტს: მიქელანჯელო ამტკიცებდა, რომ ქანდაკება მეტ ოსტატობას მოითხოვს. თუკი მარმარილოს ზედმეტს მოათლი, შეცდომას ვეღარ გამოასწორებ. ლეონარდოს კი სწორედ ეს მიაჩნდა მხატვრობის უპირატესობად – ნახატზე გაუთავებლად შეგიძლია შეცდომების გასწორება, სანამ ნამუშევარს სრულყოფილებამდე არ მიიყვანო. თქვენ როგორ ფიქრობთ? შეგიძლიათ კიდევ სხვა არგუმენტების მოყვანა?

აქტივობა:

მოსწავლეები მართავენ დებატებს.

მამალი

მიზანი:

მასალების, ტექნიკებისა და მხატვრული ხერხების განმასხვავებელი თავისებურებების გაცნობიერება;

მხატვრული ხერხების შედარების უნარ-ჩვევის განვითარება;

ფერის გამომსახველობითი შესაძლებლობებით შთაბეჭდილებისა და განწყობის გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 2, 4, 5, 6, 8.

ს.გ.IV.2. – 1, 5.

ს.გ.IV.5. – 1.

მასალა:

სახატავი ფურცელი, გუაშის საღებავები, პალიტრა, ფუნჯი, წყალი.

ვიზუალური მასალა:

მამლის ფოტო

პიკასოს მამალი

პომპეის მამალი

ჟოან მიროს მამალი

მოსწავლის ნამუშევარი:

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ გაკვეთილის ტექსტს, მსჯელობენ, რამდენნაირი ფერია მამლის შეფერილობაში. მასწავლებელი მიანიშნებს, რომ გარდა მსხვილი წერტილებისა (პომპეის მოზაიკური მამალი), ზოლებისა (პიკასოს მამალი) და ლაქებისა (მიროს მამალი), ასევე შეიძლება მსუყე მონასმებით მუშაობაც, როგორც ეს მოსწავლის ნამუშევარშია. შემდეგ ბავშვები პალიტრაზე აყენებენ სასურველ ფერებს და იწყებენ ხატვას.

აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ მამალს.

ანიმალისტური ჟანრი

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ანიმალისტური ჟანრი.

შედეგი:

ს.გ. IV.1 – 11.
ს.გ. IV.2 – 1.
ს.გ. IV.5 – 1, 2, 4

ასათვისებელი ტერმინები:

ჟანრი
ანიმალისტური
ასლი

მასალა

მასწავლებლის მიერ შერჩეული პეიზაჟის, პორტრეტის, ნატურმორტის ამსახველი სურათები, და დიეგო ველასკესის „კარდინალ - ინფანტ დონ ფერნანდოს პორტრეტი“.

ველასკესი

სურათები ცხოველების გამოსახულებით:

ჯორჯ სტაბსი

ანრი რუსო

ალბრეხტ დიურერი

ნიკო ფიროსმანი



- სახატავი ფურცელი,
- უბრალო ფანქარი
- საღებავები, ფერადი ფანქრები, ცარცები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი ამბობს:

- მე თქვენ გაჩვენებთ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნამუშევრებს, თქვენ კი გამოიცანით, რომელი დარგის ნამუშევარს გაჩვენებთ. მასწავლებელი სათითაოდ აჩვენებს მოსწავლეებს ფერწერულ, გრაფიკულ, სკულპტურულ ნამუშევრებს, მოსწავლეები ასახელებენ - ეს გრაფიკაა, ეს ფერწერა, ეს ქანდაკება...

მასწავლებელი ამბობს:

- ეხლა, მე გაჩვენებთ სურათს, თქვენ კი ამიწერეთ იგი - ჯერ დაასახელეთ, თუ რომელ ჟანრს მიეკუთვნება ეს სურათი, შემდეგ მითხარით, რა მასალითაა დახატული, რა არის გამოსახული ამ სურათზე, რა ხატია წინ, რა ხატია უკან.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სურათებს - პეიზაჟებს, ნატურმორტებს, პორტრეტებს და უსვამს მათ დამატებით შეკითხვებს - როგორი ფერებითაა დახატული ეს სურათი, თბილი თუ ცივი? წელიწადის რა დროა გამოსახული? რა არის მთავარი ამ სურათზე? მასწავლებელი განსაკუთრებელ ყურადღებას მიაქცევს დიეგო ველასკესის სურათს, რომელზეც გამოსახულია ახალგაზრდა კაცი ძაღლით (კარდინალ- ინფანტი დონ ფერნანდო ნადირობისას) და იკითხავს, თუ რომელ ჟანრს მიეკუთვნება ეს სურათი და რა არის ამ სურათზზე მთავარი, ადამიანი თუ ძაღლი? რადგან ადამიანია მთავარი (ეს ადამიანი ესპანეთის მეფის ძმაა), ე.ი. ეს სურათი პორტრეტია.

ამის მერე, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ფიროსმანის „ჟირაფს“ და ეკითხება:

- რა ხატია ამ სურათზე? რომელ ჟანრს მიაკუთვნებდით ამ სურათს? ეს პეიზაჟი არ არის იმიტომ, რომ ბუნება არ არის მთავარი, არც პორტრეტია იმიტომ, რომ ჟირაფი ხატია და არა ადამიანი, არც ნატურმორტია, იმიტომ, რომ აქ არ ხატია საგნები. რა არის მთავარი ამ სურათზე? ამ სურათზე მთავარია ჟირაფი, ჟირაფი კი არის ცხოველი.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სხვა ანიმალისტურ ნახატებს:

- რა საერთოს ხედავთ ამ ნახატებზე და რა არის მათში მთავარი?

- ყველა ამ ნახატზე, მთავარია ცხოველი.

- რა საერთო სახელს დაარქმევდით ნახატებს, რომლებზეც ცხოველის გამოსახულებაა მთავარი?

ლათინურად სიტყვა „ანიმალ“ ნიშნავს ცოცხალ არსებას, ცხოველს. ნახატებს კი, რომლებზეც ცხოველებია გამოსახული, ანიმალისტური ჟანრის ნახატები ჰქვია.

მასწავლებელი ისევ აჩვენებს მოსწავლეებს ფიროსმანის ნახატებს და კითხულობს:

- რომელ ჟანრს მიეკუთვნება ეს ნახატები?

- ანიმალისტურს.

აქტივობა

დღეს ჩვენ გავაკეთებთ ანიმალისტური ჟანრის ნამუშევრის ასლებს - თქვენ ამოირჩევთ რომელიმე ანიმალისტური ჟანრის ნამუშევარს და გადაიხატავთ მას. გადახატულ ნამუშევარს ასლი ქვია.

მოსწავლეები, სურათების გროვიდან ან სახელმძღვანელოდან სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრებდან ამოარჩევენ ანიმალისტური ჟანრის თითო ნამუშევარს და გადაიხატავენ მას და გააფერადებენ ნახატს საღებავებით, ფერადი ფანქრებით, ცარცებით ან ფლომასტერებით.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გააფრთხილოს მოსწავლეები, რომ როდესაც დასრულებულ ნამუშევარს უკან დააწერენ საკუთარ სახელებს, ჯერ დაწერონ ავტორის სახელი (ვინაიდან ეს ასლია და არა საავტორო ნამუშევარი) და შემდეგ თავისი სახელი - მაგ. ნიკო ფიროსმანის „ ჟირაფი“ და შემდეგ მოსწავლის სახელი და გვარი.

საშინაო დავალება:

მოიძიონ ინტერნეტით სხვადასხვა მხატვრის ანიმალისტური ნამუშევრები (რემბრანდტის სპილო, დიურერის მარტორქა, კატა, ბუ...) და შექმნან კომპიუტერში ანიმალისტური სურათების პორტფოლიო.

მომდევნო გაკვეთილზე გაუზიარონ ერთმანეთს, თუ ვინ რა მოიძია, ვის რა მოეწონა და ა. შ.

ზღაპრული ცხოველები

მიზანი:

მოსწავლის ფანტაზიის განვითარება;
მითებით დაინტერესება.

შედეგი:

ს.გ. IV.4. – 1.
ს.გ. IV.5. – 1, 4, 6.

ასათვისებელი ტერმინები:

პეგასი
გრიფონი
სფინქსი
კენტავრი

მასალა:

სახატავი ფურცლები
ფერადი ფანქრები

ვიზუალური მასალა:

პეგასის, გრიფონის, სფინქსის და კენტავრის გამოსახულებები

გაკვეთილის მსვლელობა:

– რა არის მითი? – მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეებს, თუ რა არის მითი, რა განსხვავებაა მითსა და ზღაპარს შორის, რა მითები იციან, რომელი მითოლოგიური გმირი მოსწონთ. რა სმენიათ ჰერაკლეს, პრომეთეს, ზევსის, მუზების შესახებ.

– მითი არის თქმულება სამყაროს წარმოშობაზე, ღმერთებზე, გმირებზე, კეთილ სულებსა და ბოროტ დემონებზე, მათ ბრძოლებზე და უბრალო ადამიანებთან ურთიერთობებზე. მითების პერსონაჟები ხშირად არიან არსებები, როგორებიც დედამიწაზე არ არსებობენ – ადამიანთა ფანტაზიამ ამ არსებებში შეაერთა ცხოველის, ფრინველის და ადამიანის თვისებები და გარეგნობაც შესაბამისი მოუგონა.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მითიური ცხოველების გამოსახულებებს და შეეკითხება მათ:

– იცით თუ არა, რას წარმოადგენენ სურათებზე გამოსახული არსებები და რა ქვია მათ?

– რეალურად არსებულ რომელ მხეცს მიამსგავსებდით ამ მითოლოგიურ არსებებს?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ მითოლოგიური არსებების გარეგნობა და იმსჯელონ, თუ რა თვისებები, როგორი ხასიათი შეიძლება ჰქონოდა ამ არსებებს.

დღეს ჩვენ გავეცნობით ოთხ მითოლოგიურ არსებას. ესენია: კენტავრი, პეგასი, სფინქსი და გრიფონი.

პეგასი – ფრთოსანი ცხენი, მეცნიერების და ხელოვნების მფარველი მუზების საყვარელი ფრთოსანი ცხენი.

პეგასი ქარზე უსწრაფესად დაფრინავდა. დროის უმეტეს ნაწილს, მუზებთან ერთად, პარნასის მთაზე ატარებდა. მუზებს პეგასი იმის გამო უყვარდათ, რომ პეგასმა, ფლოქვის დარტყმით შეაჩერა ჰელიკონის მთა, რომელმაც მუზების სიმღერის ხმისგან ზრდა დაიწყო. იმ ადგილას, სადაც პეგასმა ფლოქვი დასცა, ამოხეთქა წყარომ, რომელიც პოეტებს აღმაფრენით კვებავდა. პეგასი დღესაც პოეტების მფარველად ითვლება.

პეგასი უმაღლეს ღვთაებას, ზევსს, ჰეფესტოსის მიერ დამზადებული ჭექა-ქუხილით და ელვებით ამარაგებდა. ამიტომ, პეგასის მეორე სიმბოლო, არის ჭექა-ქუხილის ღრუბელი.

კენტავრი – ველური ცხენკაცები, ადამიანის თავითა და ტანით ცხენის სხეულზე. კენტავრს ცხენის ოთხი ფეხი და ადამიანის ორი ხელი აქვს. კენტავრები მთებსა და ტყეებში ცხოვრობდნენ და საკმაოდ ავები და დაუნდობლები იყვნენ.

ერთ-ერთი კენტავრი, სახელად ქირონი, ქალღმერთმა ათენამ მოათვინიერა და უკვდავებით და სიბრძნით დააჯილდოვა. ბრძენი ქირონი ჰერაკლეს მეგობარი, იყო. ქირონი ჰერაკლეს მიერ შემთხვევით ნასროლი ისრით დაიჭრა, ვერ აიტანა ტკივილი, უარი თქვა უკვდავებაზე და უკვდავება პრომეთეს გადასცა.

გრიფონი (ფასკუნჯი) – მფრინავი ურჩხული ლომის ტანითა და არწივის თავით.

გრიფონი მიწის (ლომი) და ცის (არწივი) ერთიანობის, აგრეთვე სიკეთისა და სიბოროტის გამაერთიანებელი სიმბოლოა. ამ არსებაში გაერთიანებულია ფრინველების მეფე – არწივი და მხეცების მეფე – ლომი.

გრიფონები შორეულ ჩრდილოეთში ცხოვრობდნენ და ოქროს საბადოებს დარაჯობდნენ.

გობის უდაბნოს ქვიშებში ნაპოვნია გადაშენებული ცხოველის – პროტოცერატოპსის ჩონჩხები, რომელიც თავისუფლად შეიძლება გრიფონებს მიამსგავსო – ამ ჩონჩხებს ცხოველის თათები და ფრინველის ნისკარტები აქვთ. თანაც, იმ ადგილას, სადაც ჩონჩხებია ნაპოვნი, მართლაც ყოფილა ოქროს საბადოები.

სფინქსი – ძველ ეგვიპტეში, ლომისტანიანი და ადამიანისთავიანი არსება.

ძველ საბერძნეთში კი – ლომისტანიანი არსება ქალის თავით, არწივის ფრთებითა და ხარის კუდით.

გადმოცემით, სფინქსი ბოროტი ურჩხული, ქალაქ თებეს მისადგომებთან ბინადრობდა და ყოველ გამვლელს გამოცანას ეუბნებოდა, ვინც მის გამოცანას ვერ გამოიცნობდა, ახრჩობდა და ჭამდა. მხოლოდ ერთმა ადამიანმა – ოიდიპოსმა შეძლო მისი გამოცანის გამოცნობა. დამარცხებით სასოწარკვეთილი სფინქსი კლდიდან გადაეშვა და დაიღუპა.

სფინქსის გამოცანა კი ასეთი იყო: „ვინ დადის დილით ოთხ ფეხზე, დღისით ორ ფეხზე და საღამოს სამ ფეხზე“? პასუხია – ადამიანი, რომელივ პატარობაში ოთხით დახოხავს, ზრდასრული ორ ფეხზე დადის, მოხუცებულობაში კი, სიარულისას ჯოხს იშველიებს.

აქტივობა 1:

მოსწავლეები დახატავენ რაიმე ამბავს მითიური არსებების თემაზე.

აქტივობა 2:

მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, გარკვეულ ვადაში, მოიძიონ ინფორმაცია, შექმნან მითოლოგიური არებების კატალოგი და მოაწყონ კატალოგის პრეზენტაცია.

კატალოგი უნდა შეიცავდეს მოსწავლეების მიერ შესრულებულ მითოლოგიური არსებების და გმირების ჩანახატებს, მოძიებულ ფოტომასალას და მითოლოგიური არსებების მოკლე დახასიათებას.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს შეადგინონ ჯგუფები და შემდეგნაირად გაინაწილონ ფუნქციები:

1. ინტერნეტით ინფორმაციის მოძიება და მეგობართა ჯგუფში გაზიარება

2. გაზიარებული მასალიდან საჭირო ინფორმაციის ამოღება, დახარისხება, გადამუშავება

3. დამუშავებული მასალის გაფორმება

ვადით დათქმულ გაკვეთილზე, მოხდება შეგროვილი და მომზადებული მასალის განხილვა, შესწორებების შეტანა და პრეზენტაციის სცენარის მოფიქრება.

პრეზენტაციის მომზადებაში მონაწილეობას მიიღებს ყველა მოსწავლე.

კატალოგი შესაძლოა გაკეთდეს როგორც სტენდებზე წარმოდგენილი ცალკეული ფურცლების სახით, ასევე აკინძული ჟურნალის ან ელექტრონული დოკუმენტის სახით. მოსწავლეებს შეუძლიათ მოამზადონ მოკლე მოხსენებები კვლევის პროცესის და მოძიებული ინფორმაციის შესახებ.

III თემა: მსჯელობა

ერთი შედევრის ისტორია

ოგიუსტ როდენის კალეს მოქალაქეები

მიზანი:

დარგების, ჟანრების, მასალების, ტექნიკებისა და მხატვრული ხერხების განმასხვავებელ თავისებურებებზე არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარება;

ინფორმაციის მოძიების უნარის განვითარება;

მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობის (ოგიუსტ როდენის შემოქმედების) გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.IV.4. – 2, 4.

ს.გ.IV.5. – 4.

ასათვისებელი ტერმინები:

შედევრი, კვარცხლბეკი, სკულპტურა.

ვიზუალური მასალა:

კალეს მოქალაქეები, გრაფიკა: ჟიულ დავიდი, შარლ კოლინი (ჟიულ დავიდის მიხედვით), ჯ.დ. პენროუზი

კალეს მოქალაქეები, ხელნაწერების ილუსტრაციები

კალეს მოქალაქეები, ფერწერა.

ბენჯამინ ვესტი, ჟან-სიმონ ბერთელემი

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- როგორ ასახა როდენმა ამ გმირების ტანჯვა? (სახის გამომეტყველება, ჟესტი, პოზა).
- რა ემოციებს ხედავთ მათ სახეებზე? (მასწავლებელი აჩვენებს დეტალების ილუსტრაციებს ელექტრონული რესურსებიდან).
- როგორ ასახა მათი დამცირება? (ჩაცმულობა, ყელზე თოკი).
- რომელ ჟანრს მიეკუთვნება ეს ნაწარმოები?

მოსწავლეებმა ჯერ არ იციან ისტორიული ჟანრი, მაგრამ საჭიროა, დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ ეს ნამუშევარი არ მიეკუთვნება მათთვის ნაცნობ არც ერთ ჟანრს. მასწავლებელი ეუბნება, რომ ეს მათთვის ჯერ უცნობი ჟანრია და სთავაზობს თავად გამოიცნონ – რას დაარქმევდნენ ჟანრს, რომელიც ისტორიულ ფაქტს ასახავს? თუ მოსწავლეები ვერ მიხვდებიან, მასწავლებელი ამბობს, რომ ეს ისტორიული ჟანრია. თუ მიხვდებიან, მასწავლებელი შეაქებს და ეტყვის, რომ ჟანრების სახეობებს მეცნიერები – ხელოვნებათმცოდნეები ადგენენ, ოღონდ ისინი უკვე საქმის კარგი სპეციალისტები არიან. მეოთხეკლასელთაგან ასეთი ზუსტი განსაზღვრება ნამდვილად საქებარია.

შემდეგ იმართება დისკუსია:

– თქვენ რომელ მოსაზრებას ემხრობით – რომ ქანდაკება მაღალ პოსტამენტზე უნდა მდგარიყო თუ მიწაზე? რატომ?

შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ამავე თემაზე შექმნილ გრაფიკულ და ფერწერულ ნიმუშებს. მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, რომელი რომელ დარგს მიეკუთვნება. იმართება დისკუსია, რა განსხვავებებია მათ შორის, რამდენი თხრობითი დეტალია მხატვრობაში და რა ცოტა – ქანდაკებაში. მოსწავლეები ცდილობენ დაადგინონ ამის მიზეზები – ქანდაკებაში მთელ გარემოს და ამდენ პერსონაჟს ვერ ასახავ. მოქანდაკემ მოკლედ უნდა თქვას სათქმელი. მხატვარს, იქნება ეს გრაფიკოსი თუ ფერმწერი, ბევრი დეტალის გადმოცემა შეუძლია.

თუ დრო დარჩება, მასწავლებელს შეუძლია უამბოს მოსწავლეებს, რომ ოგიუსტ როდენის სახელოსნოში ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე (შესაძლებელია, დაიგეგმოს ექსკურსია იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში თბილისში, როდენის ქუჩაზე).

აქტივობა:

მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის კითხვებს და მართავენ დისკუსიას ქანდაკების მაღალ კვარცხლბეკზე ან მიწაზე დაყენების საკითხის გარშემო.

მოსწავლეები საუბრობენ ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ, სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებზე და დარგების თავისებურებებზე.

ასევე, ეს საკითხი შეგიძლიათ დებატების თემად გამოიყენოთ. დებატების წესები იხ. გაკვეთილში „ბრეიგელის თამაშები“. ამით მოსწავლეებს განუმტკიცდებათ დებატებში მონაწილეობის, არგუმენტირებული მსჯელობის, განსხვავებული აზრის პატივისცემის უნარ-ჩვევები.

საშინაო დავალება:

მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ინფორმაცია როდენის სხვა ნამუშევრების შესახებ.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა ქვია ჟანრს, რომელიც ისტორიულ ფაქტს გადმოგვცემს?
- რა განსხვავებაა ქანდაკებასა და მხატვრობას შორის?
- რა განსხვავებაა ფერწერასა და გრაფიკას შორის?
- მოცემული ილუსტრაციებიდან, რომელი უკეთ გადმოსცემს კალეს მოქალაქეთა გმირობას?
- მართალი იყო როდენი, ძეგლის მიწის დონეზე დადგმა რომ უნდოდა? თქვენი აზრით, ძეგლის მიწის დონეზე დადგმა უფრო მართებული იყო თუ მაღალ კვარცხლბეკზე?
- რა არის კვარცხლბეკი?
- მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი რა ქანდაკებები იცით? მიწაზე მდგარი?
- რას ნიშნავს შედევრი?
- გმირული თავგანწირვის შესახებ კიდევ რა ისტორიები იცით? (ცოტნე დადიანი...)
- რატომ სწირავენ ადამიანები თავს?

ვან გოგის ასლი

მიზანი:

დაკვირვების, შედარების, ინტერპრეტაციის უნარების გაღვივება;
ვასწავლოთ მონასმების და შტრიხების გამოყენება ნამუშევარში.

შედეგი:

ს.გ. IV.1. – 1, 2, 3, 4.
ს.გ. IV.4. – 2.

მასალა:

სახატავი ფურცელი
ზეთის პასტელი ან გუაშის საღებავები
პალიტრა
ფუნჯი
წყალი

ვიზუალური მასალა:

ვან გოგის ყვავები მინდორში
ამავე სურათის ორი გადიდებული დეტალი
ჟან ფრანსუა მილეს ნამუშევარები და ამ ნამუშევრების ვან გოგისეული ასლები

ფრანსუა მილე, „სიესტა“ (შესვენება) ვინსენტ ვან გოგი „ ყვავები მინდორში“

ფრანსუა მილე „პირველი ნაბიჯები“ ვინსენტ ვან გოგი, „პირველი ნაბიჯები“

https://www.youtube.com/watch?v=fIF_6RZCgAw მილე – ვან გოგი

ვინსენტ ვან გოგი „ქალი ფოცხით“ ფრანსუა მილე

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი მოჰყვება ვან გოგის ისტორიას:

ვინსენტ ვან გოგი დაიბადა ჰოლანდიის ერთ პატარა ქალაქში. მისი მამა ეკლესიაში მსახურობდა, ბიძა კი ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობდა. ვან გოგმა რამდენიმე წელი იმუშავა ბიძასთან, სადაც სურათების ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული. იქ მას ყოველდღიური შეხება ქონდა ხელოვნების ნაწარმოებებთან და საქმისთვის ხშირად უწევდა ლონდონის და პარიზის მუზეუმებში სიარული. ამის წყალობით, ვინსენტმა მხატვრობა კარგად შეისწავლა და შეიყვარა. ნელ-ნელა თავადაც დაიწყო ხატვა, მაგრამ სანამ მხატვარი თავის მოწოდებას მიხვდებოდა, მამასავით ეკლესიის მსახურობა გადაწყვიტა, და და მაღაროელთა დასახლებაში მოძღვრად დაიწყო მუშაობა. მუშების მძიმე შრომის შემხედვარემ, ქადაგება შეწყვიტა, ბიბლია გვერდით გადადო და მათი თანადგომა სცადა. ამას კი ეკლესიასთან კონფლიქტი მოჰყვა. ვან გოგმა მიანება ამ საქმეს თავი და მხატვრობას მიჰყო ხელი. მან ხატვა 27 წლისამ დაიწყო. ბრიუსელის ნატიფ ხელოვნებათა სამეფო აკადემიაში დაიწყო სწავლა, მაგრამ სასწავლებელი არ მოეწონა, თავი დაანება და დამოუკიდებლად განაგრძო მხატვრობის შესწავლა. ვან გოგს ძალიან უყვარდა მუზეუმებსა და გალერეებში სიარული, სადაც საკმაოდ დიდ დროს ატარებდა. როგორც ხედავთ, მუზეუმებში ხელოვნების ნიმუშებით ტკბობას და ბეჯით შრომას ტყუილად არ ჩაუვლია.

ხელის გასაწაფად ვან გოგი აკეთებდა ჩანახატებს, ხატვის სახელმძღვანელოდან იხატავდა ნახატებს, აკეთებდა დიდი მხატვრების სურათების ასლებს; ვან გოგს ბევრი სხვა მხატვრის ნამუშევრის ასლი აქვს გაკეთებული, ოღონდ ეს ასლები თავისებურად გაიაზრა და ნამუშევრებში თავისი დამოკიდებულება გამოხატა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მოკლე ვიდეოსიუჟეტს, შემდეგ მოსწავლეები სახელმძღვანელოში დაათვალიერებენ ჟან ფრანსუა მილეს ნამუშევრებს და ამ ნამუშევრების მიხედვით ვან გოგის გაკეთებულ ასლებს.

მოსწავლეები იმსჯელებენ იმაზე, თუ რა არს გამოსახული, რა მსგავსება და რა განსხვავებაა ამ ნამუშევრებს შორის, რაში გამოიხატება ვან გოგის ხედვა და ხელწერა, რომელი მხატვრის ნამუშევარი მოსწონთ უფრო და რატომ. მასწავლებელს შეუძლია ინტრიგა შეიტანოს მსჯელობის დროს და მოსწავლეებს არ გაუმხილოს რომელი ნახატია ვან გოგის და რომელი მილესი, მანამ ისინი თავიანთ აზრს არ გამოთქვამენ.

მსჯელობის შემდეგ მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, გააკეთონ ვან გოგის სურათის ასლი, რისთვისაც აჩვენებს მათ ვან გოგის სურათს „ყვავები ხორბლის ყანაში“.

ეს ტილო ვან გოგის უკანასკნელი ნამუშევარია. ამ ნამუშევრის დახატვიდან ორ კვირაში მხატვარი გარდაიცვალა. დააკვირდით და აღწერეთ, რა არის გამოსახული სურათზე; როგორ არის დაწერილი ხორბლის ყანა, ყვითელი საღებავის რამდენნაირი ტონალობაა გამოყენებული; დააკვირდით ცას – ლურჯის რამდენი ტონალობა იხმარა მხატვარმა; დააკვირდით მონასმებს, მათ მიმართულებას, თანმიმდევრობას. როგორ არის სურათზე განაწილებული მუქი და ნათელი ფერები, იგრძნობა თუ არა რიტმი; რა გრძნობას აღძრავს სურათი.

მასწავლებელი შენიშნავს, თუ მოსწავლეები ფერადი პასტელებით გააკეთებენ ასლს, მათ ფუნჯის მონასმების იმიტაცია შტრიხებით უნდა გააკეთონ.

კარგად დაათვალიერეთ ნახატის გადიდებული დეტალები და შეუდექით მუშაობას.

ნამუშევრის დასრულების შემდეგ, ნახატს უკან დააწერეთ – ვან გოგის „ყვავები ხორბლის ყანაში“ და შემდეგ თქვენი სახელი და გვარი.

აქტივობა:

მოსწავლეები ზეთის პასტელებით ან საღებავებით გააკეთებენ ვან გოგის სურათის „ყვავები ხორბლის ყანაში“ ასლს.

შობა

2 გაკვეთილი

მიზანი:

დავანახოთ მოსწავლეებს, რა როლს თამაშობს შემოქმედებაში ხელოვანის ნასწავლობა, მის მიერ დაგროვილი ინფორმაცია;

ვაჩვენოთ, თუ როგორ ახდენს გავლენას საუკუნეების წინ შექმნილი ნაწარმოებები დღევანდელ ხელოვნებაზე;

ვასწავლოთ ტექსტის ილუსტრირება.

შედეგი:

ს.გ. IV.3. – 1, 3.

ს.გ. IV.5. – 3, 6.

ასათვისებელი ტერმინები:

ხურო

მოგვი

ბარელიეფი

მასალა:

2 აქტივობისთვის:

1/2 სახატავი ფურცლები

საღებავები

ფერადი პასტელი

ფანქარი

ფუნჯი

წყალი

3 აქტივობისთვის:

სახატავი ან ტონირებული ფურცლები

წებო

მაკრატელი

სახაზავი

ფერადი ფანქრები (ხელნაწერი ტექსტის დასაწერად) ან დაბეჭდილი ტექსტი

სტეპლერი ან ნემსი და ძაფი

ვიზუალური მასალა:

https://www.youtube.com/watch?v=sJfbqZ1qrQU

მიხაილ ალდაშინის უსიტყვო ნახატი ფილმი „შობა“ (Рождество) (14 წუთი)

გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი წარმოთქვამს ფრაზას, რომელსაც მოსწავლეები გაკვეთილის ბოლოს განმარტავენ:

- მე-12 საუკუნეში, საფრანგეთის პატარა ქალაქ ოტიუნში რომ არ აეშენებინათ რელიეფებით მორთული ტაძარი, მე-20 საუკუნეში არ შეიქმნებოდა ფილმი, რომელსაც დღეს ვნახავთ.
- გაკვეთილის ბოლოს, ახსენით, თუ რა ვიგულისხმე ამ წინადადებით.

ფილმის ჩვენებამდე, მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს, თუ რა იციან ქრისტეს შობის შესახებ. მასწავლებელი შეაჯერებს მოსწავლეების მონაყოლს და მოკლედ მოუყვება შობის ამბავს:

ქალაქ ნაზარეთში, ცხოვრობდა ქალწული მარიამი და მისი მეუღლე, ხურო იოსები. ერთხელ მარიამს გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი რომელმაც ახარა, რომ მარიამს ადამიანთა ცოდვებისგან მხსნელი, ღმერთის შვილი, უნდა გაეჩინა.

მარიამი დაფეხმძიმდა, ცაზე კი, უჩვეულო ვარსკვლავი აკიაფდა.

აღმოსავლელმა მოგვებმა, ბრძენმა ვარსკვლავთმრიცხველებმა, იცოდნენ, რომ ებრაელთა წინასწარმეტყველებით, ცაზე ახალი ვარსკვლავის გამოჩენა ღმერთის შვილის დაბადების მაუწყებელი უნდა ყოფილიყო. სამი მოგვი, რომელიც ამ ამბავს ელოდებოდა, ვარსკვლავის გამოჩენისთანავე იქით გაეშურა.

ამ დროს, რომის მმართველმა მოინდომა გაეგო მის იმპერიაში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა. მან გასცა ბრძანება, აღრიცხვისთვის, ყველა მისულიყო იმ ქალაქში, სადაც დაიბადა და სიაში ჩაწერილიყო.

იოსები და ფეხმძიმე მარიამი ბეთლემისკენ გაეშურნენ ჩასაწერად. იქ უამრავი ხალხი მოგროვილიყო. სასტუმროები ჩამოსულებს ვეღარ იტევდა. იოსებმა და მარიამმა ღამის გასათევი ადგილი ვერ ნახეს და ქალაქის გარეუბანში, მწყემსების სადგომს შეაფარეს თავი.

სწორედ იმ ღამეს, მწყემსების სადგომში დაიბადა ქრისტე.

მოგვები უკვე იერუსალიმში ჩასულიყვნენ და ნიშანს ელოდნენ. ცაზე აკიაფებულმა ვარსკვლავმა მათ გზა ბეთლემისკენ მიუთითა და მწყემსების სადგომისკენ გაუძღვა.

მოგვებმა საქონლის ბაგაში მწოლიარე ახალშობილს თაყვანი სცეს და საჩუქრები მიართვეს.

ყველაზე ადრე, ქრისტეს დაბადება იქვე მყოფმა მწყემსებმა შეიტყვეს - მათ ანგელოზი გამოეცხადა და ქრისტესთან მისვლა და მისი თაყვანისცემა უბრძანა. როდესაც მწყემსები ბაგასტან მივიდნენ, იქ უკვე ანგელოზთა მთელი ლაშქარი დახვდათ. ყველა უფალს აქებდა და გალობდა – „ დიდება მაღალ ღმერთს, მშვიდობა ქვეყნად და კაცთა შორის სათნოება“.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მიხაილ ალდაშინის ნახატ ფილმს „შობა“.

ფილმის ჩვენების შემდეგ, მოსწალეები იმსჯელებენ, თუ რა აზრის არიან, რა ემოცია გამოიწვია მათში ფილმმა, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, რა დეტალები დაამახსოვრდათ, მოეწონათ თუ არა მუსიკა, რომელიც ფილმშია გამოყენებული და სხვა.

მასწავლებელი დასვამს შეკითხვას:

– რას გრძნობთ, როდესაც ხელოვნებით ხართ დაკავებული – ხატავთ, ძერწავთ, ან რაიმე ნამუშევარს ქმნით? რა გრძნობა გეუფლებათ, როდესაც რაიმე საქმე კარგად გამოგდით?

სავარაუდოდ, მოსწავლეები უპასუხებენ, რომ ასეთ დროს განიცდიან სიხარულს, სიამოვნებას.

– რა არის შთაგონება?

შთაგონება არის ისეთი სულიერი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი თითქოს მოწყვეტილია სამყაროს და მთელი თავისი არსებით მოცულია თავისი საქმიქნობით. შთაგონება ყველაზე ხშირად შემოქმედ ადამიანებს – პოეტებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს და მეცნიერებს ეწვევათ ხოლმე.

ასეთ მდგომარეობაში ხელოვანი ადამიანები ქმნიან შედევრებს, მეცნიერები კი აკეთებენ აღმოჩენებს.

მეცნიერებს და ხელოვანებს აქვთ უნარი დაინახონ ის, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ. მათ უნდათ რომ გაიმეორონ, დააფიქსირონ, გვაჩვენონ, გვიამბონ ის, რამაც მათზე შთაბეჭდილება მოახდინა, ააღელვა, მოეწონა, გაგვიზიარონ თავიანთი აღმოჩენა. ხელოვანს უნდა, რომ სხვებმაც განიცადონ ის, რაც მას აღელვებს.

შთაგონება არასდროს ეწვევა უინტერესო, უცოდინარ, ზარმაც და უხალისო ადამიანს. შესაბამისად, ასეთი ადამიანები ვერასდროს გააკეთებენ აღმოჩენას, ვერასდროს შექმნიან ისეთ რამეს, რაც სიხარულს მიანიჭებს მათაც და სხვებსაც.

საიდან ჩნდება შთაგონება? რა არის შთაგონების წყარო?

შთაგონების წყარო შეიძლება იყოს სრულიად უბრალო, უმნიშვნელო სხვებისთვის შეუმჩნეველი მოვლენა, რომელშიც ხელოვანი რაღაც განსაკუთრებულს ამოიკითხავს. ყველა ადამიანი ხედავს ვარსკვლავებს და მთვარეს, ვან გოგმა კი ისინი ასე დაგვანახა:

იმისთვის, რომ შთაგონება გვეწვიოს, ცნობისმოყვარეები, ინტერესიანები, დაკვირვებულები უნდა ვიყოთ, დავიგროვოთ ცოდნა, გამოცდილება, და არ ვიზარმაცოთ.

ეხლა კი ვნახოთ, ხელოვნების რომელ ნაწარმოებებს შეიძლება მოეხდინა გავლენა ნახატი ფილმის „შობა“ შემქმნელზე და რა შეიძლება გამხდარიყო ავტორის შთაგონების წყარო -

ერთხელ, ფილმის ავტორმა, მიხეილ ალდაშინმა, წიგნში ნახა საფრანგეთის ქალაქ ოტიუნის ტაძარზე გაკეთებული ბარელიეფის ფოტო. ბარელიეფზე გამოსახული იყო სამი მძინარე მოგვი, რომლებსაც ანგელოზი ნაზად, თითის შეხებით აღვიძებს და ვარსკვლავზე მიუთითებს. რეჟისორს მოეწონა, როგორ მარტივად და ნათლად იყო გადმოცემული რელიეფზე ამბავი და მოუნდა ისეთი ფილმის გაკეთება, რომელშიც ამ გამოსახულებას გაიმეორებდა. ვინაიდან ბარელიეფის სიუჟეტი ქრისტეს დაბადების ისტორიის ერთ-ერთ ეპიზოდს ასახავდა, ფილმიც ამ სიუჟეტზე უნდა გაკეთებულიყო.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაათვალიერონ ნახატი ფილმიდან ამოღებული კადრები და სხვადასხვა მხატვრის ნამუშევრებში იპოვონ დეტალები, რომლებსაც შესაძლოა, გავლენა მოეხდინა ფილმის შემქმნელებზე.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს ფრაზას, რომელიც მან გაკვეთილის დასაწყისში გამოთქვა და სთხოვს მათ განმარტონ, თუ რა იგულისხმება მასში.

სიტვა „სინთეზი“ შეერთებას ნიშნავს.

ხელოვნებაში არსებობს დარგები, რომლებსაც სინთეზური დარგები ეწოდება. ასეთებია, მაგალითად, თეატრი და კინო. რა არის გაერთიანებული ხელოვნების ამ ორ დარგში?

თეატრალური წარმოდგენის და ფილმის შექმნაში მონაწილეობენ ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები – მწერლები სპეციალურად წერენ პიესას წარმოდგენისთვის ან სცენარს ფილმისთვის, კომპოზიტორები თხზავენ მუსიკას, მუსიკოსები კი ასრულებენ მას; მხატვრები ქმნიან დეკორაციებს და მსახიობთა კოსტიუმებს; მსახიობები მღერიან, ცეკვავენ....

რეჟისორმა უნდა იცოდეს, როგორი მუსიკა სჭირდება მის ნაწარმოებს, მხატვარს უნდა აუხსნას, როგორი გარემო სჭირება, მომღერალს – როგორ უნდა იმღეროს... ამიტომ, რეჟისორი უნდა ერკვეოდეს ყველა ამ დარგში რათა მისი ნაწარმოები გამოვიდეს ისეთი, როგორიც მან ჩაიფიქრა.

მასწავლებელი მიაქცევს მოსწავლეების ყურადღებას ფილმის მუსიკალურ გაფორმებაზე – ფილმში გამოყენებული იოჰან სებასტიან ბახის და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მუსიკა ისე ოსტატურად არის შერწყმული ერთმანეთთან, რომ იკითხება როგორც ერთი მთლიანი ნაწარმოები (ბეთჰოვენის მონაკვეთებია, როდესაც დედა ღიღინით აბანავებს ჩვილს და ფინალური სცენა).

აქტივობა 1:

მოსწავლეები დააკვირდებინ ნახატი ფილმიდან ამოღებული ეპიზოდების ილუსტრაციას, სხვადასხვა მხატვრის სურათებში ამოიცნობენ ფილმის ეპიზოდების შესაბამის დეტალებს და იმსჯელებენ, თუ რა დეტალებშია მსგავსება ან სხვაობა.

მასწავლებელი ეტყვის მოსწავლეებს, რომ სწორედ წვრილმანი დეტალები ქმნიან ნაწარმოებში განწყობას, ხასიათს - მაგ. შეშინებული ბაჭია, რომელიც ანგელოზის კაბას ამოეფარება, ლომის ზურგზე შესმული კი ოდნავ უკან დაიხევს...

- რა მოხდებოდა, გათავისუფლებული ბაჭია რომ გაქცეულიყო თავისი მშობლებისკენ?

მოსწავლეები გაიხსენებენ ფილმის სხვა დეტალებს, რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. მასწავლებელი ხშირად დაუსვამს შეკითხვას – რატომ? და, რა მოხდებოდა, ასე რომ არ გადაეწყვიტა ავტორს?

(მარიამთან მიმავალი ანგელოზი გზაზე ყვავილს მოწყვეტს; ანგელოზი წაბარბაცდება მიწაზე დაშვებისას; იოსები ღელავს და არ ესმის, წიგნში რა წერია; იოსები წყლის დალევის მერე, სახელოთი იმშრალებს პირს; გაბრაზებული თევზი კუდს ურტყავს მეთევზეებს; ლეკვი, რომელიც ყეფს და ვერ ხვდება მოვლენის მნიშვნელობას და სხვა)

აქტივობა 2:

მოსწავლეები გააკეთებენ წიგნს შობის ამბავზე.

კლასი დაიყოფა ჯგუფებად.

ჯგუფები შობის ისტორიას დაყოფენ რამდენიმე ეპიზოდად და ჩამოწერენ ეპიზოდების დასახელებას.

გაინაწილებენ ეპიზოდებს და საღებავებით ან ფერადი პასტელებით დახატავენ შესაბამის ილუსტრაციებს.

ერთ მოსწავლეს დაევალება ყდის დახატვა.

აქტივობა 3:

მოსწავლეები აკინძავენ ნახატებს წიგნად. ყოველ ნახატს მიუწერენ დახატული ეპიზოდის შესაბამის ტექსტს.

ტექსტი შეიძლება დაიწეროს ხელით ცალკე ფურცლებზე, ან აიკრიბოს კომპიუტერზე და ამოიბეჭდოს, დაიჭრას და დაწებდეს ნახატების გვერდით.

წიგნის აკინძვის ყველაზე მარტივი ხერხია – ნახატები და ტექსტი დაწებდეს სახატავი ფურცლების გვერდებზე ორივე მხრიდან. ფურცლები კიდეებით შეიკრას სტეპლერის მეშვეობით; ან ნახატები და ტექსტი დაწებდეს ფურცლის განშლაზე, ფურცლები ერთმანეთში ჩაიდოს და გაიკეროს.

ჯგუფური პორტრეტი

მიზანი:

ჟანრების, მასალების, ტექნიკებისა და მხატვრული ხერხების განმასხვავებელ თავისებურებებზე მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარება;

ხელოვნების ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ნიმუშებთან, პორტრეტის ჟანრის სახეობასთან – ჯგუფურ პორტრეტთან გაცნობა;

ხელოვნების ნაწარმოებების შედარების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.2. – 1.

ს.გ.IV.4. – 1. 2, 4, 5.

ს.გ.IV.5. – 2.

ასათვისებელი ტერმინები:

ჯგუფური პორტრეტი.

მასალა:

სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

ვიზუალური მასალა:

ტასილის გამოქვაბულის მხატვრობა

ენტონის ვან დეიკი, მხატვრის ოჯახი

ფრანს ჰალსი, ოჯახური პორტრეტი

ეხნატონის ოჯახი

ოჯახური სცენები ძველ ბერძნულ ლარნაკებზე

თამარ მეფის, გიორგი III-ესა და ლაშა-გიორგის პორტრეტები ბეთანიის ეკლესიის ფრესკაზე

რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი, ფეიქართა ამქრის/გაერთიანების წევრები

თომას გეინსბორო, ბეილის ოჯახი

ლევან ჭოღოშვილი, სერიიდან „განადგურებული ქართული არისტოკრატია“

მოსწავლეების ნამუშევრები:

კლასის ჯგუფური პორტრეტი

გაკვეთილის მსვლელობა:

პორტრეტის ჟანრში რამდენიმე სახეობა არსებობს. ერთ-ერთი **ჯგუფური პორტრეტია**.

- დააკვირდით ილუსტრაციებს და დაფიქრდით, რას გვიამბობენ ისინი ამ ადამიანების შესახებ?
- განსაზღვრეთ, ხელოვნების რომელ დარგებს მიეკუთვნება ეს ნამუშევრები?
- ნამუშევრებზე ძველი დროა ასახული თუ თანამედროვე? რატომ ფიქრობთ ასე?
- სადაურები არიან? რა ნიშნებით მიხვდით?
- რას წარმოადგენენ? რის საფუძველზე გამოიტანეთ ასეთი დასკვნა?
- როგორ პოზებში არიან?
- ერთმანეთთან ურთიერთობენ, მოძრაობენ თუ გაშეშებულები პოზირებენ?
- როგორ ფიქრობთ, ბედნიერები არიან?
- წარმოდგენილი ნაწარმოებებიდან რომელი შეიძლება ჩაითვალოს ჯგუფურ პორტრეტად და რომელი – არა? რატომ?
- თუ მათგან რომელიმე არ არის პორტრეტი, რომელ ჟანრს მიაკუთვნებდით?
- დააკვირდით, განასხვავეთ და თავად ჩამოაყალიბეთ ჯგუფური პორტრეტის განსაზღვრება.

ძველი ეგვიპტელი ფარაონი ეხნატონი რელიეფზე ოჯახის წევრებთან ერთად ყოფით მომენტშია ასახული. მის პირდაპირ ულამაზესი დედოფალი ნეფერტიტი ზის. დედ-მამა შვილებს ეთამაშებიან. თითქოს პერსონაჟები ვერც კი გვამჩნევენ. მოქანდაკემ მათი ოჯახის მყუდრო ატმოსფერო გადმოგვცა.

ბერძნული ლარნაკების მხატვრობაც ოჯახის ყოველდღიური ცხოვრების მომენტებს ასახავს. სახის ნაკვთებზე არ არის გამახვილებული ყურადღება. როგორ ფიქრობთ, ეს ნამუშევრები შეიძლება პორტრეტის ჟანრს მივაკუთვნოთ თუ არა? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

ბეთანიის ტაძრის ფრესკამ შემოგვინახა თამარ მეფის, მისი მამის – გიორგი მესამესა და შვილის – ლაშა-გიორგის პორტრეტები. ეს თამარ მეფის სიცოცხლეში შესრულებული ჩვენამდე მოღწეული ოთხი პორტრეტიდან ერთ-ერთია.

ენტონის ვან დეიკი მე-17 ს-ის ნიდერლანდელი მხატვარია იგი რაინდის წოდების მფლობელი იყო და ინგლისის სამეფო კარის მხატვარი. მამაკაცის მოდელად მან საკუთარი მასწავლებლის, რუბენსის სახელოსნოში მოღვაწე ერთ-ერთი მხატვარი გამოიყენა.

ფრანს ჰალსი მე-17 ს-ის ჰოლანდიელი მხატვარი, ჯგუფური პორტრეტის დიდოსტატი იყო. ოდეს-

ღაც პოპულარულმა მხატვარმა სიცოცხლე უსახლკაროთა თავშესაფარში დაასრულა. ვან გოგმა მის ფერწერაში შავი ფერის 27 სხვადასხვა ელფერი აღმოაჩინა.

რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი მე-17 ს-ის განთქმული ჰოლანდიელი ფერმწერი იყო. სწორედ მას შეუკვეთეს ფეიქართა გაერთიანების წევრებმა ჯგუფური პორტრეტი.

თომას გეინსბორო მე-18 ს-ის ინგლისელი პორტრეტისტი და პეიზაჟისტი იყო. ამ ტილოზე ის ლონდონელი ვაჭრის, ბეილის ოჯახს წარმოგვიდგენს.

თანამედროვე მხატვარი ლევან ჭოლოშვილი ქართველ თავადაზნაურთა ოჯახების პორტრეტებს ხატავს. დააკვირდით, რა დეტალები მიგვანიშნებს მათ ქართველობაზე?

დავალება:

თქვენ თავადაც შეგიძლიათ შექმნათ საკუთარი ოჯახის, კლასის, სპორტული გუნდის ან სხვა ჯგუფური პორტრეტი. წინასწარ განსაზღვრეთ ფურცლის ორიენტაცია, პირთა რაოდენობა, მათი კომპოზიციური განლაგება, პოზები, სამოსი და საქმეს შეუდექით. დაუტოვეთ შთამომავლებსა და ისტორიას თქვენი ახლობლების სახე.

ლექსიკონი:

ჯგუფური პორტრეტი – სცადეთ, თავად ჩამოაყალიბეთ.

საპარადო პორტრეტი

მიზანი:

მხატვრული ხერხების თავისებურებებზე არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევის განვითარება;

ხელოვნების ეროვნულ და მსოფლიოს ნიმუშების გაცნობა;

პორტრეტის ჟანრის სახეობასთან – საპარადო ანუ წარდგინებით პორტრეტების გაცნობა;

საპარადო და ჯგუფურ პორტრეტთა სახეობებს შორის განსხვავების დანახვის უნარის განვითარება;

შემოქმედებითი აზროვნების, წარმოსახვისა და როლური თამაშის უნარ-ჩვევის გაღვივება.

შედეგი:

ს.გ.IV.4. – 2, 4, 5.

ს.გ.IV.5. – 2.

ასათვისებელი ტერმინები:

საპარადო ანუ წარდგინებითი პორტრეტი.

მასალა:

ფურცელი, კალამი.

ვიზუალური მასალა:

ფრანსისკო გოია, ესპანეთის მეფის კარლოს IV-ს ოჯახის პორტრეტი:

უცნობი მხატვრის მუხრანელ ბაგრატიონთა ოჯახის პორტრეტი:

პორტრეტის ისტორია იხ.: http://www.opentext.org.ge/index.php?m=39&y=2001&art=3399

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს საილუსტრაციო მასალას.

კითხვებზე პასუხისთვის მოსწავლეებმა დასკვნები უნდა გამოიტანონ პერსონაჟების პოზების, კოსტიუმების, თმის ვარცხნილობისა და სახის ნაკვთების მიხედვით. ილუსტრაციებზე დაკვირვების შედეგად, მოსწავლეებმა თავად უნდა განსაზღვრონ საპარადო ანუ წარდგინებითი პორტრეტის რაობა.

საპარადო, იგივე წარდგინებითი პორტრეტი მაღალი წარმომავლობის ადამიანებს წარმოგვიდგენს ყველაზე ღირსეული, წარმატებული სახით. ამიტომაც აცვიათ საუკეთესო, სადღესასწაულო ტანსაცმელი, დგანან გაშეშებული, სტატიურ პოზებში, მათი მზერა მიმართულია მაყურებლისკენ, თითქოს მომავალ თაობებს წარსულიდან შესცქერიან.

მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ გოიას პორტრეტზე პერსონაჟები მოცულობითად არიან გამოსახულნი, ხოლო მუხრანბატონთა პორტრეტზე – სიბრტყობრივად. გოია შუქ-ჩრდილებს იყენებს, ქართველი ოსტატის ნამუშევარზე კი, კოსტიუმები ფერის ერთ ტონში, შეღებილივით გამოიყურება. ეს მას ფრესკის სტილთან აახლოვებს (გაიხსენონ ბეთანიის ფრესკა).

საშინაო დავალებისთვის მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს ქაღალდის დაძველების, გაყვითლების მეთოდი – თუ ფურცელს წინასწარ ყავაში ან ჩაიში დაასველებენ და გაშრობის შემდეგ დაწერენ ზედ თხზულებას, ფურცელს ძველი ხელნაწერის იერი მიეცემა.

აქტივობა:

მოსწავლეები ადარებენ წარმოდგენილ ნაწარმოებებს, ადგენენ ამ პორტრეტების შესრულების დროს (ძველი/ახალი), ქვეყანას (ევროპა/საქართველო), ადგენენ საპარადო პორტრეტის განსაზღვრებას და ჩაიწერენ რვეულში.

საშინაო დავალება:

წარმოიდგინეთ, რომ ფრანსისკო გოია ან მუხრანბატონთა პორტრეტის მხატვარი ხართ. ხატვის პერიოდში დღიურს წერთ. ჩაძვერით მათ ტყავში და დაწერეთ, რა ჩანაწერს გააკეთებდნენ ისინი საკუთარი დღიურის ერთ გვერდზე?

ოჯახური მყუდროება

მიზანი:

შემოქმედებითობისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარება;
ყოფითი ჟანრის შესახებ ცოდნის გაღრმავება;

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 2, 9.
ს.გ.IV.2. – 1.
ს.გ.IV.4. – 1, 2, 3, 4, 5.
ს.გ.IV.5. – 2.

მასალა:

სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

ვიზუალური მასალა:

რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
ჟან-ბატისტ სიმეონ შარდენი
ოგიუსტ რენუარი
ანრი მატისი
პიტერ დე ჰოოხი

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ილუსტრაციებს.

1. პირველი სურათი ეკუთვნის მე-17 ს-ის ჰოლანდიელ მხატვარს რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინს. „წმინდა ოჯახი“ წარმოგვიდგენს ჩაბნელებულ ოთახს, სადაც წინა ხედზე ვხედავთ, რომ ღვთისმშობელმა მარიამმა წიგნის კითხვა შეწყვიტა და მძინარე იესოს დასცქერის. ჩვილის მშვიდ ძილს ჰაერში მოფარფატე ანგელოზებიც დარაჯობენ. უკანა ხედზე კი, ხურო იოსები საქმიანობს.
2. მეორე სურათი მე-18 ს-ის ფრანგ მხატვარს, ჟან-ბატისტ სიმეონ შარდენს ეკუთვნის. წინა ხედზე გამოსახული ბავშვი სადილის წინა ლოცვას წარმოსთქვამს. შუა ხედზე დედა სუფრას შლის. უფროს და უკვე მიუჯდა მაგიდას. უკან მოჩანს კედელი და თარო ჭურჭლით.
3. მესამე ილუსტრაციაზე წარმოდგენილია მე-19-20 სს-ის მიჯნის ფრანგი მხატვრის ოგიუსტ რენუარის სურათი „საუზმე ბერნევალში“. წინა ხედზე სკამზე მჯდომი მამა კითხულობს. შუა ხედზე დედა სუფრას შლის და შვილს ესაუბრება. უკანა ხედზე ფანჯრიდან დღის სინათლე შემოდის.
4. XX ს-ის ფრანგი მხატვრის ანრი მატისის სურათზე „ჭადრაკის პარტია“ გამოსახულია ოჯახი. წინა ხედზე დედა დგას ხელში წიგნით, შუა ხედზე ბიჭები ჭადრაკს თამაშობენ, ხოლო უკანა ხედზე ტახტზე მჯდომი ქალი ქსოვს.

5. მე-17 საუკუნის ჰოლანდიელი პიტერ დე ჰოოხი სურათში „საძინებელი ოთახი“ წარმოგვიდგენს ოჯახურ სცენას, სადაც დედა ოთახს ალაგებს და ბავშვი დგას ღია კართან. მისი სახის გამომეტყველებით ვხვდებით, რომ ის გარეთ თამაშობდა და რაღაც ახალი შთაბეჭდილების გასაზიარებლად მოირბინა დედასთან. რა დეტალებით მიხვდებით, რომ მან ახლახან შემოიხედა ოთახში? როგორ ფიქრობთ, დედას სასიხარულო ამბავი ამცნო თუ საწყენი? რით ასკვნით ამას?

მოსწავლეები პასუხობენ სახელმძღვანელოში დასმულ კითხვებს. მასწავლებელი ეკითხება, ეს ნამუშევრები ჯგუფური პორტრეტის ჟანრს განეკუთვნებიან თუ ყოფით ჟანრს? შესაძლოა, მოსწავლეები დაიბნენ და დაასახელონ ჯგუფური პორტრეტის ჟანრი.

მასწავლებელი მინიშნებით კითხვებს სვამს: რა უფრო აინტერესებს ხელოვანს – პერსონაჟების გარეგნული ნიშნებისა და ხასიათის ჩვენება თუ ოჯახური მყუდროების, ადამიანებს შორის ურთიერთობების, მათი ყოველდღიური ცხოვრების გადმოცემა?

სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ ეს ყოფითი ჟანრის ნაწარმოებებია, რადგან ზოგიერთის სახე კარგად არც კი ჩანს, სამაგიეროდ, ჩანს მათი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება, ურთიერთობა და სითბო.

მასწავლებელი ეკითხება, რაში ჩანს მათი თბილი ურთიერთობები, ერთმანეთზე ზრუნვა? (განიხილეთ სათითაოდ ყველა ნაწარმოები).

აქტივობა:

მოსწავლეები მსჯელობენ მოცემული ნაწარმოებების შესახებ, ამოიცნობენ ჟანრს, საუბრობენ შინაარსზე, არჩევენ წინა, შუა და უკანა ხედის გამოსახულებებს და ხატავენ საკუთარ ოჯახს ყოფით გარემოსა და ვითარებაში. ბოლოს, წარადგენენ საკუთარ ნამუშევარებს.

საშინაო დავალება:

მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ნებისმიერი ილუსტრაცია და დაწერონ მოთხრობა მის მიხედვით.

დიზაინი

მიზანი:

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისა და დიზაინის შესახებ ცოდნის გაღრმავება;
ხელოვნების სხვადასხვა დარგთან დაკავშირებული საქმიანობის სპეციფიკის გაცნობიერება;
გემოვნების ჩამოყალიბება.

შედეგი:

ს.გ.IV.5. – 3. 4.

ასათვისებელი ტერმინები:

ლანდშაფტისა და ვებ დიზაინი, ინტერიერი, ექსტერიერი

მასალა:

ჟურნალ გაზეთები, მაკრატელი, წებო, ჭიკარტები

ვიზუალური მასალა:

დიზაინერული და მასობრივი წარმოების საგნების ფოტოები

გაკვეთილის მსვლელობა:

ტექსტის წაკითხვისა და ნიმუშების დათვალიერების შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ, სად უნახავთ ყოველდღიურ ცხოვრებაში დიზაინერთა ნამუშევრები და რა გამოარჩევს მათ მასობრივი წარმოების საგნებისგან.

აქტივობა:

საშინაო დავალება – მოსწავლეები ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრიან, კლასში მოიტანენ დიზაინის მაგალითებს და აკეთებენ სტენდს – „დიზაინის სამყარო“.

IV თემა: ქანდაკება

კვიპროსული კერპები

მიზანი:

ხელოვნების ნიმუშის აღქმის უნარის ჩამოყალიბება;
ქანდაკების დარგის მცირე პლასტიკასთან და ბრინჯაოს ხანის ქანდაკების გაცნობა;
ნაძერწი ორნამენტის გამოყენების უნარი;
ნატიფი მოტორიკის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 10.
ს.გ.IV.2. – 2.

ასათვისებელი ტერმინები:

კერპი, ბრინჯაოს ხანა.

მასალა:

თიხა, საძერწი დაფა, პლასტმასის საძერწი დანა, კბილის საწმენდი ხის ჩხირები, წინსაფარი, სამკლავურები.

ვიზუალური მასალა:

კვიპროსული კერპები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს კუნძულ კვიპროსზე აღმოჩენილი კერპების ქანდაკებებს, და სთხოვს გამოიცნონ, მათი აზრით, რას წარმოადგენენ ეს უცნაური ფიგურები. მასწავლებელი ეკითხება, ხელოვნების რომელ დარგს განეკუთვნება ეს ფიგურები? რა არის ქანდაკება? ქანდაკება არის სამგანზომილებიანი გამოსახულება, შესრულებული ქვით, თიხით ან ლითონით.

- სახლში სთხოვეთ, ასეთი ფორმის ნამცხვარი გამოგიცხონ. მაშინ შეგეძლებათ თქვათ, რომ ცომის ქანდაკებებიც არსებობს!
- სად გინახავთ ქანდაკებები? – ქუჩაში, მოედნებზე...
- ამ ქანდაკებების ზომები საშუალოდ, 25 სანტიმეტრია. ამის გათვალისწინებით, შეიძლებოდა ისინი ქუჩაში ან მოედანზე ყოფილიყო აღმართული? რატომ?

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ, სიმეტრიულია ეს ნამუშევრები თუ არა, როგორი ხაზებია გამოყენებული – ზიგზაგები, სწორი, ირიბი, მრუდი. როგორია ორნამენტი – გეომეტრიული თუ მცენარეული? რა არის მონიშნული წერტილოვანი ჩაღრმავებებით? ხაზებითა და ჩაღრმავებებით მათ სახეზე თვალ-წარბი, ცხვირპირი, თავზე – თმა, სხეულებზე კი – ხელები, ტანსაცმელი, ქამარი და მძივები აქვთ მინიშნებული. ზოგ მათგანს საყურეებისთვის

ყურები აქვს გახვრეტილი. ზოგს კი, ხელში ბავშვი უკავია. ბავშვი ყუნწიან ფიცარზეა დაკრული. ამ ყუნწით მას ხის ტოტზე კიდებდნენ, სანამ დედა საქმიანობდა.

მასწავლებელი ურიგებს მასალებს და ბავშვები იწყებენ ძერწვას.

აქტივობა:

მოსწავლეები თიხით ძერწავენ კვიპროსული ქანდაკებების მსგავს ფიგურებს და სიმეტრიულად ამკობენ მათ გეომეტრიული ორნამენტებით.

შემაჯამებელი კითხვები:

- რას ნიშნავს კერპი?
- როგორ ორნამენტს იყენებდნენ ძველი კვიპროსელები კერპების შესამკობად?
- ეს მცენარეული ორნამენტია თუ გეომეტრიული?
- თქვენ როგორ აღნიშნეთ ხელები, მძივები, სახის ნაკვთები?
- როგორ ფიქრობთ, რა დანიშნულება ჰქონდათ ამ ფიგურებს?

იეროგლიფები

2 გაკვეთილი

I გაკვეთილი

ეგვიპტური იეროგლიფები

მიზანი:

სიმბოლოთა ამოცნობისა და ვიზუალური (არავერბალური) კომუნიკაციისთვის მათი გამოყენების გაცნობიერება;

ხელოვნების, როგორც უნივერსალური ენის გაცნობიერება;

ძველ ეგვიპტურ კულტურასთან გაცნობიერება;

შემოქმედებითობისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.5. – 2.

ასათვისებელი ტერმინები:

იეროგლიფი, პაპირუსი, გრაგნილი.

მასალა:

სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

ვიზუალური მასალა:

ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის ნიმუშები

მწერალთა ძველი ეგვიპტური ქანდაკებები

პტოლემესა და კლეოპატრას სახელები

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში გაკვეთილის შესაბამის ტექსტს. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გამოთქვან ვარაუდი, რას ნიშნავდა წიგნში დაბეჭდილი შავ-თეთრი ნახატები (1. ჩიტი, ფრენა; 2. ფეხი, სიარული; 3. ხელი, ხელით მუშაობა; 4. თვალი, მზერა).

დასასრულს, მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, რვეულში დაწერონ საკუთარი სახელი ეგვიპტური იეროგლიფებით.

მეორე აქტივობა რებუსს ჰგავს. მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ წინადადება და დაწერონ იგი ნახატებით. შემდეგ სთხოვონ გვერდით მჯდომ მეწყვილეს, გაშიფროს მათი წინადადება. ვთქვათ, „მე ვსეირნობ ტყეში“.

აქტივობა:

I: წიგნში დაბეჭდილია ეგვიპტური იეროგლიფები მათი შესატყვისი ქართული ასოებით. მოსწავლეები სახატავ რვეულში წერენ საკუთარ სახელებს ეგვიპტური იეროგლიფებით.

II: მოსწავლეები წერენ ერთ წინადადებას სიმბოლური ნახატებით და სთხოვენ წყვილს, გაშიფროს იგი.

შემაჯამებელი კითხვები:

- რას ნიშნავს იეროგლიფი?
- ვინ ამოხსნა ეგვიპტური იეროგლიფების საიდუმლო?
- როგორ გამოსახავდნენ ძველი ეგვიპტელები მწერალთა ყურადღებიან მზერას?
- როგორ შეიძლება საკუთარი ენა დაივიწყო?
- ადვილად ამოიცანით მეგობრების საიდუმლო გზავნილი?
- რა ნახატები გამოიყენეთ საკუთარი წინადადების გადმოსაცემად?
- გამოიცნო მეგობარმა თქვენი საიდუმლო გზავნილი?

II გაკვეთილი: ნარმერის ფილა

მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოებში ჩანაფიქრის ამოცნობის უნარის განვითარება;
ძველი ეგვიპტის კულტურულ მემკვიდრეობასთან და მის სახასიათო ნიშნების გაცნობა;
ქანდაკების შესახებ ცოდნის გაღრმავება;
თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.3. – 1.
ს.გ.IV.4. – 1, 2. 4.

ასათვისებელი ტერმინები:

ანფასი, პროფილი, რელიეფი, სიმბოლო

მასალა:

სახატავი ფურცელი, ფანქარი, ფილის ფოტო.

ვიზუალური მასალა:

ნარმერის ფილის ორივე მხარე
ნარმერის ფილის სქემა (იხ. დანართი)
ეგვიპტის ფარაონთა გვირგვინები

მოსწავლეების ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი ბარათების ამორჩევით დაყოფს კლასს 2 ჯგუფად (ბარათების ნახევარს აწერია ლათინურად „verso“(წაღმა), მეორე ნახევარს – „recto“(უკუღმა). მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს ამ ტერმინების მნიშვნელობას, მაგრამ არ არის საჭირო მათი დამახსოვრება. საკმარისია, ეს ტერმინები ბავშვებს „ჩავაწვეთოთ“). ჯგუფს „verso“ ეძლევა ნარმერის ფილის წაღმა მხარის ილუსტრაცია ან სქემა (სადაც სერპოპარდებია გამოსახული გადაჭდობილი ყელით), ხოლო ჯგუფს „recto“ – ფილის მეორე მხარის ილუსტრაცია ან სქემა. მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ გამოსახულებებს და ადგენენ მათ შინაარსს და შესაბამისობას გამოსახულებასა და პუნქტებად ჩამოწერილ, მოვლენათა ეტაპებს შორის.

გამარჯვებული გუნდის გამოვლენის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი, პალიტრის რა ადგილას ზელდნენ ნელსაცხებელს ქურუმები (ფანტასტიკური ცხოველების, სერპოპარდების გადაჭდობილ ყელს შორის წრიულ ჩაღრმავებაში.).

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- რა ნიშნით გამოიცანით, რომელი იყო ფარაონი?

მასწავლებელი უხსნის, რომ ეგვიპტელები ადამიანის გამოსახულების ზომით მის მნიშვნელოვანებას გადმოგვცემდნენ. რაც უფრო მაღალი ადგილი ეკავა საზოგადოებაში ადამიანს, მით უფრო დიდი ზომისას გამოსახავდნენ.

შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს დადგნენ გამოსახული ადამიანების პოზაში (ფეხები და თავი პროფილში, ტორსი ანფასში) და სიარული სცადონ. მოსწავლეები მიხვდებიან, რომ ასე სიარული ძალიან რთულია. მასწავლებელი უხსნის, რომ ეგვიპტელები ადამიანს თავს და ფეხებს გვერდულად ანუ პროფილში უხატავდნენ, ხოლო ტანს – წინხედში ანუ ანფასში. საქმე ისაა, რომ ეგვიპტელი ხელოვანები სხეულის ნაწილებს ისეთ მდგომარეობაში ხატავდნენ, რომ ისინი ადვილი ამოსაცნობი ყოფილიყო.

- ფილაზე კიდევ ერთი უცნაური ფიგურაა – ნარმერს ზურგს უკან მომცრო ზომის კაცი მიყვება და ხელში რაღაც უჭირავს. შეამჩნიეთ? გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს სანდლების დამტარებელია. არადა, აქ ფარაონიც, როგორც ყველა სხვა დანარჩენი, ფეხშიშველია გამოსახული. გამოთქვით ვარაუდი, რატომ ჩათვალა ოსტატმა ამდენად მნიშვნელოვნად სანდლების დამტარებლის ჩართვა სცენაში?

მასწავლებელი უამბობს, რომ მმართველებს, ისევე, როგორც ქვეშევრდომებს, შიშველი ფეხით ერჩივნათ სიარული, მაგრამ ფეხსაცმელი სიმდიდრისა და ფუფუნების ნიშანი იყო და ამიტომ, ფარაონს მუდამ თან ახლდა წარჩინებული პირი ხელში მეფის სანდლებით.

- ხედავთ, რამდენად განსხვავდებოდა ძველ ეგვიპტელთა წარმოდგენები და ცხოვრების წესი

დღევანდელისგან? წარმოიდგინეთ თანამედროვე ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც უკან მინისტრი მისდევს ხელში ფეხსაცმელით!

შემაჯამებელი კითხვები:

- ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება ნარმერის ფილა? (ქანდაკება)
- რით განსხვავდება რელიეფი მრგვალი ქანდაკებისგან?
- რა უცნაურობები აღმოაჩინეთ ეგვიპტელთა „ნაამბობში“, რაც დღეს უკვე წარმოუდგენელია?
- როგორ ასახავდნენ ეგვიპტელები ადამიანის მნიშვნელოვანებას?
- რაში დაგეხმარათ ასლის დახატვა?

აქტივობა:

მოსწავლეები ბარათების მეშვეობით ჯგუფებად ნაწილდებიან, ხატავენ ნარმერის ფილის ასლს (ეს დაეხმარებათ, უკეთ დააკვირდნენ და გააკეთონ აღმოჩენები). ადგენენ შესაბამისობას გამოსახულებასა და პუნქტებად ჩამოწერილ, მოვლენათა ეტაპებს შორის, ჩამოწერენ სცენებს პუნქტების მიხედვით და ისრებით მიუთითებენ საკუთარი ნახატის შესაბამის სცენაზე.

გაიცანით კუ!

მიზანი:

სამყაროს შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბება;
ბუნების მშვენიერების აღქმის, დაფასების, ბუნებაში ფორმების დანახვის უნარების განვითარება;
ძერწვით ნატიფი მოტორიკის განვითარება;
სიმეტრიისა და ორნამენტის შესახებ ცოდნის გაღრმავება და ნამუშევარში მათი გამოყენება.

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 1, 8, 10.
ს.გ.IV.2. – 2, 3, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

ზარდახშა

მასალა:

თიხა, საძერწი დაფა, პლასტმასის საძერწი დანა, გუაშის საღებავები, თხევადი წებო პვა, ფუნჯი, წყალი, პალიტრა, წინსაფარი, სამკლავურები.

ვიზუალური მასალა:

კუს ფოტოები
ამერიკული მოხატული კუს ქვედა ჯავშანი
კუს ბაკნის სქემა
კუს ბუდის დამცავი
გამაფთხილებელი საგზაო ნიშანი
ძველი ჩინური ნაკეთობა
მოსწავლის ნამუშევარი

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს ილუსტრაციებს, დაფაზე ხატავს კუს ბაკნის ორნამენტის რამდენიმე სქემას, დამხმარე კითხვებით იწვევს მსჯელობას სიმეტრიისა და ორნამენტის შესახებ. შემდეგ მასწავლებელი ურიგებს მასალას და მოსწავლეები ძერწავენ კუს ფორმის ზარდახშას.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- ჯერ უნდა გამოიძერწოს ოვალური ძირი, რომელსაც ოთხი მხრიდან დაედება ფეხები და ფეხებს შორის – თავი. თავ-ფეხისთვის საჭიროა ერთი ზომის თიხის ნაჭრები.
- ძირს გარშემო უნდა შემოევლოს ჯებირი.
- ცალკე იძერწება ოვალზე ოდნავ დიდი თავსახური, რომელსაც შეიძლება შიდა პირიდან, გარშემო შემოევლოს მოკლე ჯებირი, რომ დახურვისას, არ გადმოსრიალდეს კუს ტანიდან.
- მოსწავლეებმა პალიტრაზე უნდა შეაზავონ სასურველი ფერები.

- უკვე დაყენებულ საღებავში გაურიეთ რამდენიმე წვეთი თქევადი წებო პვა. ამის წყალობით, ნაკეთობას ფერი აღარ გადაუვა.
- მოხატონ კუცა და ბაკანიც.
- ეს ორივე ნაწილი ცალ-ცალკე უნდა გაშრეს.

აქტივობა:

მოსწავლეები ძერწავენ კუს ფორმის ზარდახშას.

შემაჯამებელი კითხვები:

- რატომ დააყენეს სამანქანო გზაზე გამაფრთხილებელი ნიშანი?
- შეგხვედრიათ სხვაგან მსგავსი ნიშანი?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ გავუფრთხილდეთ ცხოველებს?
- სად გაივლის კუს ჯავშანზე სიმეტრიის ღერძი?
- როგორი სქემები აქვს კუს ბაკნის დანაწევრებას?
- ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება ზარდახშა? (დეკორატიულ-გამოყენებითს)
- როგორი ორნამენტი შეარჩიეთ თქვენი ზარდახშისთვის?

საშინაო დავალება:

- მოიფიქრე მარტივი სიმბოლო და დახატე საგზაო გამაფრთხილებელი ნიშანი თემაზე: „გავუ-ფრთხილდეთ ბუნებას!“ ან:
- „გავუფრთხილდეთ ცხოველებს!“ ან რომელიმე კონკრეტული გარეული ცხოველის მოფრთხ-ილების შესახებ სიმბოლური ნიშანი. დაფიქრდი, რა ფერს შეარჩევ, რომ ნიშანი შორიდანვე იქცევდეს ყურადღებას? დაამაგრე ნიშანი ჯოხზე. სად აჯობებს მისი ჩარჭობა?

V თემა: არქიტექტურა

პირამიდები

2 გაკვეთილი

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს დედამიწაზე არსებული უძველესი არქიტექტურული ძეგლის ისტორია ვასწავლოთ მაკეტის დამზადება.

შედეგი:

ს.გ. IV.2. – 2, 4, 5.
ს.გ. IV.3. – 1, 3, 4, 5.
ს.გ. IV.5. – 4.

ასათვისებელი ტერმინები:

მაკეტი
წახნაგი
ტოლფერდა სამკუთხედი

მასალა:

მუყაოს მოზრდილი (დაახლოებით 40X40 სმ) ნაჭერი
თხელი მუყაოს ფურცლები
პვა წებო
ყვითელი ქვიშა
პლასტილინი
გუაშის საღებავები
სახაზავი
უბრალო ფანქარი

ვიზუალური მასალა:

გიზის პირამიდების კომპლექსის და სფინქსის გამოსახულებები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი მიაწვდის მოსწავლეებს რამდენიმე საინტერესო ცნობას, ქალაქ გიზასთან მდებარე პირამიდებისა და სფინქსის შესახებ.

მაგ. დიდი სფინქსის შესახებ მოუყვება, რომ ამ ქანდაკების ასაკი დადგენილი არ არის – ვარაუდობენ, რომ იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2500 წელს შეიქმნა. გამოდის, რომ დღეისთვის, სფინქსი 4500 წლისაა!

მართალია, საუკუეების მანძილზე სფინქსი საკმაოდ შეილახა, მასზე შემორჩენილი ლურჯი და ყვითელი საღებავის ფრაგმენტებით დაადგინეს, რომ თავდაპირველად სფინქსი შეღებილი იყო ლურჯად, მის სხეულს ვარსკვლავები ამშვენებდა, სახე კი წითელი ფერის ქონდა.

ქანდაკებას მოტეხილი აქვს სხვირი, რომლის სიგანე 1,5 მეტრი უნდა ყოფილიყო. ცხვირი თითქოს ნაპოლეონის ბრძანებით გასროლილმა ყუმბარამ დაამსხვრია, მაგრამ თურმე არსებობს ბევრად ძველი, ნაპოლეონის დაბადებამდე, მოგზაურების მიერ გაკეთებული ჩანახატები, რომლებზეც ქანდაკება უცხვიროდაა გამოსახული.

დიდი სფინქსი რამდენჯერმე ჩაიმარხა უდაბნოს ქვიშაში. პირველად, სფინქსი მინაყარი ქვიშისგან, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 14-ე საუკუნეში ფარაონმა ტუტმოს IV გააწმენდინა.

XX საუკუნის დასაწყისში სფინქსის ფეხები და სხეულის ნაწილი მთლიანად ქვიშაში იყო ჩამარხული. XX საუკუნის 20-იან წლებში, ქანდაკება კვლავ გაწმინდეს ქვიშისგან, მაგრამ ამ სამუშაოს დროს მას მოძვრა თავსაბურავი, დაუზიანდა კისერი და თავის ნაწილი.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს პირამიდების კომპლექსის ხედებს, რაც დაეხმარება მათ

მაკეტზე მუშაობისას. მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ კომპლექსის ასლის დამზადება – თავად გადაწყვიტონ, თუ რამდენ პირამიდას დაამზადებენ და როგორ განალაგებენ მათ.

მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა დახაზონ ქაღალდზე პირამიდის თარგები:

პირამიდის ფუძე კვადრატია. კვადრატი არის ოთხკუთხედი, რომლის ყველა გვერდი ტოლია.

პირამიდის გვერდებს წახნაგები ეწოდება.

ეგვიპტურ პირამიდებს ოთხი წახნაგი აქვთ.

თუ სამკუთხედს ორი გვერდი ტოლი აქვს, მესამე კი განსხვავებული ზომის, ტოლფერდა სამკუთხედი ეწოდება. სწორედ ასეთ, ტოლფერდა სამკუთხედებს წარმოადგენენ ეგვიპტური პირამიდების წახნაგები.

სახელმძღვანელოში მოცემულია პირამიდის აგების ინსტრუქცია.

მოიფიქრეთ, რამდენი და რა ზომის პირამიდა გაკეთდება ჩვენი მაკეტისთვის – მუყაოს ნაჭრის რა ფართობს დაიკავებენ ისინი, დახაზეთ შესაბამისი ზომის კვადრატები და ინსტრუქციის მიხედვით დახაზეთ, გამოჭერით და დააწებეთ სხვადასხვა ზომის პირამიდები.

აქტივობა:

მოსწავლეები გაინაწილებენ ფუნქციებს – დაგეგმავენ მუყაოს ნაჭერზე პირამიდების და სფინქსის განლაგებას

დაამზადებენ რამდენიმე, სხვადასხვა ზომის პირამიდას, შეღებავენ და დააწებებენ მათ მუყაოზე.

პირამიდებს შეიძლება მიეცეთ ფაქტურა წებოთი და დაფხვნილი ცარცით.

პლასტილინით გამოძერწავენ სფინქსის ფიგურას და დაამაგრებენ მას მუყაოზე.

შეიძლება გამოიძერწოს პალმები და ადამიანებისა და აქლემების პატარა ფიგურებიც.

როდესაც პირამიდები დაწებდება, მოსწავლეები მუყაოს ნაჭერს წაუსვავენ წებოს და დაფარავენ ზედაპირს ქვიშით.

ბერძნული ორდერი

მიზანი:

მოსწავლეების გაცნობა არქიტექტურული დიზაინის სფეროსთან (ძველ ბერძნულ ორდერულ სისტემასთან);

ნასწავლის ცხოვრებასთან დაკავშირების უნარის განვითარება;

წარმოსახვისა და შემოქმედებითობის გაღვივება;

ხელოვნების სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება;

შედეგი:

ს.გ.IV.3. – 1, 3.

ს.გ.IV.4. – 1, 4, 5.

ს.გ.IV.5. – 3

ასათვისებელი ტერმინები:

ორდერი

მასალა:

მოზრდილი ფორმატის თეთრი ქაღალდი, ფანქარი ან შავი მარკერი, მაკრატელი, ჭიკარტი

ვიზუალური მასალა:

ძველი ბერძნული ორდერის – დორიულის, იონიურისა და კორინთულის ნიმუშები

მოსწავლეების ნამუშევრების ნიმუშები.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს ბარათები – კლასში მოსწავლეთა მესამედის შესაბამისი რაოდენობის ბარათებს აწერია „დორია“, ერთ მესამედს – „იონია“, ერთ მესამედს – „კორინთო“. ან მასწავლებელი ამობეჭდავს კაპიტელების გამოსახულებებს და დაჭრის ბარათებად:

ტექსტის კითხვის პარალელურად მოსწავლეები ათვალიერებენ ილუსტრაციებს. მასწავლებელი აჩვენებს მათ დამატებით ვიზუალურ მასალას ინტერნეტით ან წიგნებით და სთხოვს, იმის მიხედვით, რაც ისწავლეს, ამოიცნონ, რომელია დორიული, იონიური და კორინთული ორდერის ნიმუშები. ნას-

წავლი მასალის ცხოვრებასთან დაკავშირების მიზნით, მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ მათ სიახლოვეს ნაგებობებს – არის თუ არა იქ გამოყენებული სვეტები და თუ არის, როგორი სვეტისთავები (კაპიტელები) აქვთ მათ. ამით მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ ძველ საბერძნეთში შექმნილი სისტემა დღემდე სიცოცხლისუნარიანია.

მოსწავლეები აირჩევენ ბარათს. ერთნაირწარწერიანი ბარათების მფლობელები გაერთიანდებიან ერთ ჯგუფში. სასურველია, მაგიდები სამ ჯგუფად შეატყუპოთ. კორინთულის მსგავსი სვეტის თავის შესამკობად შეგიძლიათ, ქაღალდი ვიწრო ზოლებად დაჭრათ და ზოლები მაკრატლის ბასრ მხარესა და თითს შორის გაატაროთ. მიიღებთ ხვეულებს, რომლებიც ცალი ბოლოთი სვეტის თავს უნდა დააკრათ.

შემოქმედებითობის განსავითარებლად, მოსწავლეებმა, ბერძნული ორდერის ნიმუშების გარდა, უნდა შექმნან საკუთარი დიზაინის კაპიტელი და წარუდგინონ კლასს.

შემაჯამებელი კითხვები:

- დღეს გინახავთ სადმე სვეტები? სად, რომელ შენობაში? რომელი ორდერისას ჰგავს ის, რაც ნახეთ?
- როგორია თქვენს მიერ მოფიქრებული სვეტისთავი? რა დანიშნულების შენობას მოუხდებოდა ის? საცხოვრებელს, ტაძარს, დაწესებულებას, სათავდაცვოს, სპორტულ ნაგებობას თუ სხვას?
- თანაკლასელების ნამუშევრებიდან, რომელი სვეტისთავი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ?

აქტივობა:

მოსწავლეები სამ ჯგუფად მუშაობენ - მოზრდილ ფორმატზე ხატავენ და ჭრიან დორიული, იონიური და კორინთული ორდერის ნიმუშებს და აკრავენ სტენდზე. ასევე, ინდივიდუალურად ან წყვილებში ქმნიან საკუთარი დიზაინის კაპიტელს და წარუდგენენ კლასს.

ციხესიმაგრე

მიზანი:

გავაცნოთ მოსწალეებს ციხესიმაგრეების ისტორია და დანიშნულება
ვასწავლოთ მარტივი მაკეტის გაკეთება

შედეგი:

ს.გ. IV.2. – 2, 4, 5.
ს.გ. IV.3. – 3, 5.
ს.გ. 4.5. – 4

ასათვისებელი ტერმინები:

გალავანი
ქონგური
მეციხოვნე
საომარი ტაქტიკა
რელიეფი
ტაქტიკა

მასალა:

მუყაოს ცილინდრები
მუყაოს ნაჭრები
ქაღალდის სკოტჩი
ფანქარი
საღებავები
დაფხვნილი ცარცი ან ქვიშა
წებო

ვიზუალური მასალა:

ვებგვერდი – ჩვენი საუნჯე, ბმული
http://saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=12&Itemid=4&lang=ru

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს, უნახავთ თუ არა ციხესიმაგრე (ნამდვილი, ფოტოზე ან ფილმში) და სთხოვს მათ, აღწერონ ის. მოსწავლეებმა შეიძლება გაიხსენონ და აღწერონ როგორც მათი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად არსებული ან მოგზაურობისას ნანახი ისტორიული ძეგლი ან ნანგრევები, ასევე ფილმში ნანახი ციხესიმაგრე.

მოკლე დისკუსიის შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ჩამოაყალიბონ, თუ რა არის ციხესიმაგრე, რა დანიშნულება აქვს ამ ნაგებობას, რა განასხვავებს მას სხვა შენობებისგან და რატომ.

- ციხესიმაგრე წარმოადგენს ქონგურებიანი გალავნით დაკავშირებულ საბრძოლო კოშკებს.

- ციხესიმაგრე თავდაცვითი ნაგებობაა, რომელსაც მეციხოვნეები იცავდნენ. ომის დროს კი, მას ადგილობრივი მოსაახლეობა აფარებდა თავს.
- საქართველოში აგებული ყველა ციხესიმაგრე ქვისაა. მათი მოხაზულობა ადგილის რელიეფს მისდევს და ისეა შეწყმული კლდესთან, მისი გაგრძელება გეგონება. ხშირად შორიდან ვერც კი გაარჩევ, ბუნებრივი კლდე გეგონება.

თანამედროვე სამხედრო ტექნიკის გამოგონებამ სრულიად შეცვალა საომარი ტაქტიკა და თანამედროვე სამყაროში ციხესიმაგრეებმა ფუნქცია დაკარგეს. საქართველოში შემორჩენილი ციხესიმაგრეები დღეს მხოლოდ ისტორიული ძეგლებია, თავის დროზე კი მათ გარეშე ვერ იარსებებდა ვერც ერთი ქვეყანა, ვერ გადარჩებოდა ვერც საქართველო.

თუ რა დიდი მნიშვნელობბა ქონდა ციხესიმაგრეებს საქართველოში, მოწმობს მოდინახეს ციხის ისტორია: გადმოცემის თანახმად, მე-18 საუკუნის 30-იან წლებში იმერეთის სამეფოს სარდალმა და მოლარეთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა, მაგრამ ქალის მამამ, დავით აბაშიძემ, ქალიშვილი არ გაატანა იმ მიზეზით, რომ პაპუნას ციხე არ ქონდა. პაპუნა წერეთელმა ციხე მალევე ააშენა და სასიმამროს შეუთვალა „მოდი, ნახეო“. პაპუნა წერეთელმა აბაშიძის ქალზე იქორწინა, მის მიერ აგებულ ციხეს კი „მოდინახე“ შერჩა სახელად.

– თქვენი აზრით, რატომ დაიწუნა დავით აბაშიძემ უციხო დიდგვაროვანი?

– რა არის გალავანი?

გალავანი არის საბრძოლო კოშკების დამაკავშირებელი სქელი, ქონგურებიანი კედელი, დიდი, მძიმე, ძნელად შესამტვრევი ჭიშკრით.

– რა დანიშნულება აქვთ ქონგურებს?

ქონგურები ციხესიმაგრის გალავანზე დაშენებული, თანაბარი მანძილით დაშორებული დაკბილული სვეტებია. ქონგურებს მოფარებული მეომრები მათ შორის მანძილს სათოფურებად იყენებდნენ.

- რა ტაქტიკას მიმართავდნენ თავდამსხმელები ციხესიმაგრის ასაღებად?

მოწინააღმდეგე მოთმინებით ელოდა მომენტს, როდესაც ციხესიმაგრეს შეფარებულ ადამიანებს სანოვაგე გამოელეოდათ და იძულებული გახდებოდნენ მტერს დანებებოდნენ.

მტრის ჯარის მიერ ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეს შეფარებულ მეომრებსა და მოსახლეობას დიდი ხნის მანძილზე უწევდა გალავნის შიგნით ცხოვრება. ამიტომ, ციხესიმაგრეებს, ხშირად საიდუმლო გვირაბებს უშენებდნენ, საიდანაც ხიზნები შეუმჩნევლად წყალს და საჭმელს ეზიდებოდნენ.

აქტივობა 1:

მოსწავლეების წყვილები ან მცირე ჯგუფები მუყაოს ნაჭრებით და ცილინდრებით დაამზადებენ ციხესიმაგრეს: - მუყაოს ცილინდრებით გააკეთებენ კოშკებს, მუყაოს ნაჭრებით კი გალავანს.

ნაკეთობას უნდა ჰქონდეს ჭიშკარი და ქონგურები. კოშკებს შეიძლება გაუკეთდეს ფანჯრები.

ქვის ფაქტურის იმიტაციისთვის, კედლები შეიძლება დაიფაროს საღებავიან წებოში შერეული დაფხვნილი ცარცით ან ქვიშით.

აქტივობა 2:

მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, მოიძიონ ინფორმაცია და მოამზადონ მოკლე მოხსენებები ახლომდებარე ან სხვა ცნობილი ციხესიმაგრეების შესახებ.

უსწორმასწორო შენობები

მიზანი:

შემოქმედებითი აზროვნების, საკუთარი ნამუშევრის წარდგენის, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიების უნარ-ჩვევების განვითარება.

არქიტექტურულ ნაგებობათა მრავალფეროვნების გაცნობიერება;

მშვენიერების განცდის უნარის და გემოვნების განვითარება;

მსოფლიოს შედევრებთან (ანტონიო გაუდის შემოქმედებასთან) გაცნობა;

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 8.

ს.გ.IV.2. – 2, 4, 5.

ს.გ.IV.5. – 3, 4.

ასათვისებელი ტერმინები:

მოზაიკა

მასალა:

ფერადი პლასტილინი, პლასტილინით საძრეწი დანა და დაფა.

ვიზუალური მასალა:

ანტონიო გაუდის ნაგებობები, მოსწავლეების ნამუშევრები.

გაკვეთილის მსვლელობა:

ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი ათვალიერებინებს მოსწავლეებს გაუდის ნაგებობებს შორი ხედიდან და დეტალებს.

ბავშვები ფერადი პლასტილინით ძერწავენ უცნაურ, უჩვეულო შენობებს და წარუდგენენ მეგობრებს.

მასწავლებელი დაავალებს, შეაგროვონ ინფორმაცია ანტონიო გაუდის შესახებ.

თუ შესაძლებელია, წაიყვანეთ მოსწავლეები ექსკურსიაზე თბილისში, რეზო გაბრიაძის თეატრთან საათის კოშკის სანახავად. იქვე გააკეთონ ჩანახატები.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა პროფესიის იყო ანტონიო გაუდი?
- რით არის გამორჩეული მისი ნაგებობები?
- რა გრძნობა გეუფლებათ, როცა მის ნაგებობებს უყურებთ?
- როგორ ხასიათზე გაყენებთ მისი ნაგებობები?
- გინახავთ სადმე მსგავსი დაბრეცილი შენობები?
- რით არის გამორჩეული თქვენი ნამუშევარი?

- ის გამოგივიდათ რაც ჩაიფიქრეთ თუ არა? რატომ?
- გაუდის რომელი შენობა მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- თქვენი თანაკლასელების ნამუშევრებიდან რომელი მოგეწონათ ყველაზე მეტად? რატომ?

აქტივობა:

მოსწავლეები ძერწავენ პლასტილინის უცნაურ, უჩვეულო სახლებს.

ჯგუფური პროექტი „ქალაქობანა“

2 ან 3 გაკვეთილი

მიზანი:

სამყაროს შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბება;

საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა;

არქიტექტურული გარემოს გაცნობიერება და გარემოს ესთეტიკური აღქმის უნარის განვითარება;

სივრცობრივი აზროვნებისა და სამგანზომილებიანი ნამუშევრების შექმნის უნარ-ჩვევის განვითარება;

კვლევა-ძიების – ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებისა და შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარება;

წინა, შუა და უკანა ხედების გაცნობიერება;

ჯგუფური მუშაობის (თანამშრომლობა, კომუნიკაცია), ნამუშევრის წარდგენის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 1, 9, 11.

ს.გ.IV.2. – 1, 2.

ს.გ.IV.3. – 1, 2, 3, 4, 5.

ს.გ.IV.4. – 1, 2, 4, 5.

ს.გ.IV.5. – 3, 4.

ასათვისებელი ტერმინები:

ქალაქური პეიზაჟი; წინა, შუა და უკანა ხედები.

მასალა:

თითო ჯგუფზე ორი თხელი მუყაო და თითო მოსწავლეზე თითო ა4 ფორმატის ქაღალდი, უბრალო ფანქრები, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, წებო, მაკრატელი.

ვიზუალური მასალა:

რომი, კამპიდოლიოს მოედანი

პარიზი, ვანდომის მოედანი

ლონდონი, ტრაფალგარის მოედანი

ბათუმის პიაცა

ქუთაისის ცენტრალური მოედანი

თელავი. ერეკლე II-ს ძეგლი

თბილისი, აბანოთუბანი

საქართველოსა და მსოფლიოს ცნობილი ქალაქების ხედები: ათენი, სტამბული, რომი, ფლორენცია, პარიზი, ლონდონი, მოსკოვი, ნიუ-იორკი, პრაღა, ბუდაპეშტი, ვენა, ტოკიო...

მოსწავლეების ნამუშევრების ნიმუშები

გაკვეთილის მსვლელობა:

ამ გაკვეთილს სამი აკადემიური საათი დასჭირდება.

1. პირველზე მოსწავლეები ეცნობიან ტექსტსა და ინსტრუქციას, ნაწილდებიან ჯგუფებში და იწყებენ კვლევას. საშინაო დავალებად მასწავლებელმა უნდა დაავალოს, მოიძიონ მათი ქალაქის ღირსშესანიშნაობების ფოტოები და მათ შესახებ ინფორმაცია. ეს მასალა უნდა გაუგზავნონ ჯგუფის წევრებსა და მასწავლებელს ელექტრონულად.
2. შემდეგ გაკვეთილზე ჯგუფები აჯერებენ მოძიებულ ინფორმაციას, ინაწილებენ მოვალეობებს და აკეთებენ სამგანზომილებიან მაკეტს ქალაქის ხედით.
3. ჯგუფები ატარებენ პრეზენტაციას.

ინსტრუქცია:

- ჯგუფებში დანაწილდით და შეარჩიეთ საქართველოს ან მსოფლიოს რომელიმე ცნობილი ქალაქი.
- მოიძიეთ ფოტოები ამ ქალაქის ხედებითა და ცნობები მისი მთავარი ღირსშესანიშნაობების შესახებ (რას წარმოადგენს ეს ნაგებობა, როდის აშენდა, ვინ არის არქიტექტორი, რომელ მოქანდაკეს ეკუთვნის ეს ქანდაკება და ა.შ.). გაუგზავნეთ მოძიებული მასალა ჯგუფის წევრებსა და მასწავლებელს ელექტრონულად.
- შემდეგ გაკვეთილზე ჯგუფებში შეაჯერეთ მოძიებული ინფორმაცია, გადახედეთ ფოტოებს, მოილაპარაკეთ, ვინ რის დახატვაზე იქნებით პასუხისმგებელი (შენობები, ქანდაკება, ადგილობრივები და ტურისტები, ცხოველები, ხეები, ბუჩქები, მანქანები). სასურველია, რომ „თქვენს“ ქალაქში ცხოვრება დუღდეს. შეგიძლიათ ამ ადგილას მომხდარი რომელიმე ისტორიული ფაქტი „გააცოცხლოთ“.
- როდესაც ხატვას დაასრულებთ, გამოჭერით გამოსახულებები.
- ორი მუყაოსგან ერთი „მიწა“ იქნება, მეორე კი – უკანა ხედი. სწორედ აქ უნდა ასახოთ ქალაქური პეიზაჟი.
- უკანა ხედზე დახატეთ ცა და არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც მთელი ხედის მთავარი მშვენება იქნება, ზომითა და მნიშვნელობით ყველაზე გამორჩეული.
- შუა პლანზე დააწებეთ მთავარ ნაგებობაზე უფრო მომცრო, წინასწარ გამოჭრილი გამოსახულებები – დავუშვათ, ხეები, სახლები, მოედნის ცენტრში მდგომი ქანდაკება ან რაიმე სხვა.
- „მიწის“ წინა კიდეში განალაგეთ წინა ხედზე მდებარე გამოსახულებები. ისინი უფრო მომცრო ზომისა უნდა იყოს, რომ შუა და უკანა ხედზე განლაგებული ფიგურები არ დაფაროს. დავუშვათ, ადამიანები, ბუჩქები, ძაღლი, კატა ან სხვა.
- როდესაც თქვენი ქალაქური პეიზაჟი მზად იქნება, გააკეთეთ ჯგუფური პრეზენტაცია. ისაუბრეთ ამ ქალაქის ისტორიზე, მთავარ ღირსშესანიშნაობებსა და პროექტში შეტანილ საკუთარ წვლილზე.

აქტივობა:

მოსწავლეები ჯგუფებში ატარებენ კვლევას ქალაქის ღირსშესანიშნაობების შესახებ, ამზადებენ 3-განზომილებიან მაკეტს ქალაქის ხედით და ატარებენ ჯგუფურ პრეზენტაციას.

ლენდ არტი

მიზანი:

არატრადიციული მასალების შემოქმედებითად გამოყენების უნარის განვითარება;
გარემოს ესთეტიკური აღქმისა და მოწესრიგების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

შედეგი:

ს.გ. IV.2. – 2, 3, 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

ლენდ არტი

მასალა:

კენჭები, ქვები, ნიჟარები, ფოთლები, ტოტები, ნაფოტები, კენკრა, გირჩები...

ვიზუალური მასალა:

რობერტ სმითსონის ნამუშევარი „სპირალური ყორე (ტალღამტეხი)“ (ა.შ.შ., იუტას შტატი)
ენდი გოლდსუორთის ნამუშევრები
ვიდეო ენდი გოლდსუორთისა და ლენდ არტის შესახებ:
https://www.youtube.com/watch?v=JTnHiOA6a0E (2.16 წთ.)
ფოტოები
ლეინ ბლეიკის ნამუშევარი
მოსწავლეების ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

სასურველია, გაკვეთილი შემოდგომაზე ჩატარდეს, როდესაც ფოთლები ცვივა და თან, სხვადასხვა ფერისაა. მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში გაკვეთილის შესაბამის ტექსტს. მასწავ-ლებელი ყურადღებას უმახვილებს იმაზე, თუ რა მასალებია გამოყენებული, რა ეფექტს ახდენს ფერი და ფაქტურა.

მოსწავლეები მსჯელობენ სახელმძღვანელოში დასმული კითხვის შესახებ - შენობაში ბუნებრივი მასალებით შექმნილი ასეთივე ნამუშევარი ლენდ არტი არ იქნება. ლენდ არტი – მიწის ხელოვნებაა.

კლასი მსჯელობს, რა ბუნებრივი მასალები შეიძლება მოიპოვონ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, გადიან ეზოში, აგროვებენ და ახარისხებენ მასალებს (ფერისა და ზომის მიხედვით) და ქმნიან ლენდ არტს სკოლის ეზოს რომელიმე ყველაზე უსახურ ადგილას. ამით ის ადგილი საინტერესო და მიმზიდველი გახდება. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეაგროვონ დაცვენილი, მიწაზე დაყრილი ტოტები, ფოთლები და არ დაამტვრიონ ხეები.

შემაჯამებელი კითხვები:

- როგორ მოგწონთ ბუნებრივი მასალებით ხელოვნების ნამუშევრების შექმნის იდეა?
- ლენდ არტის ნანახი ნამუშევრებიდან, რომელი მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- თქვენ რა მასალა გამოიყენეთ?
- კიდევ რისი გაკეთება შეიძლება ბუნებრივი მასალებით?

აქტივობა:

მოსწავლეები ღია ცის ქვეშ, ჯგუფებში, აგროვებენ ფოთლებს, კენჭებს, ნიჟარებს, ტოტებს, გირჩებს და ქმნიან ლენდ არტის ნამუშევარს.

VI თემა: ტექნიკები

აფრიკული ნიღბები

მიზანი:

შემოქმედებთი აზროვნების განვითარება;

პატივისცემის გრძნობის განვითარება განსხვავებული კულტურის მიმართ (აფრიკის ტრადიციულ კულტურის გაცნობა).

შედეგი:

ს.გ.IV.1. - 2, 3, 6, 10.

ს.გ.IV.2. – 3.

ს.გ.IV.5. – 4.

ასათვისებელი ტერმინები:

ტრადიცია, კოლექცია

მასალა:

თხელი მუყაო, უბრალო ფანქარი, გუაშის საღებავები, ყურის საწმენდი ბამბიანი ჩხირები, ფუნჯი, წყალი, მაკრატელი, ძაფი ან წვრილი თოკი.

ვიზუალური მასალა:

აფრიკის ტომების რიტუალური ცეკვების ვიდეოჩანაწერები

აფრიკული ნიღბების სლაიდშოუ

აფრიკული ნიღბები

მოსწავლეების ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, რას აკეთებენ, როცა ავად ხდებიან (მიდიან ექიმთან, სვამენ წამალს, მკურნალობენ).

– მოდი ვნახოთ, როგორ იქცეოდნენ ძველად აფრიკელები.

ტექსტის კითხვის პარალელურად მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს აფრიკული ნიღბების ილუსტრაციებს და ეკითხება, რა განწყობას ქმნის ესა თუ ის ნიღაბი, მოიხიბლებოდნენ თუ არა „ავი სულები“ ასეთი „კონცერტით“, რომელ გეომეტრიულ ფიგურებს ხედავენ ამა თუ იმ ნიღაბზე, როგორ არის მათში დაცული სიმეტრია, როგორი ფერებია გამოყენებული და ა.შ.

– დღეს ჩვენთვის სასაცილოდ ჟღერს ავი სულების მოხიბვლის ეს წესი, მაგრამ ძველად ჩვენი წინაპრებიც ასე იქცეოდნენ. როგორ ფიქრობთ, რატომ აბრალებდნენ ძველად ადამიანები ავადმყოფობას, ჭექა-ქუხილს, სეტყვას და სხვა უსიამოვნო მოვლენებს გამოგონილ ბოროტ ძალებს? – იმიტომ, რომ მათ არ იცოდნენ ის, რაც ჩვენ დღეს ვიცით. მეცნიერებამ უკვე ბევრი მოვლენა ახსნა. სამაგიეროდ,

დღეს ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ აფრიკელთა წინაპრების ეს მშვენიერი ნახელავი ნიღბები, რომლებიც მათ ასეთი მონდომებითა და გემოვნებით მოურთავთ.

სასურველია, მასწავლებელმა ეს ნიღბები მოქმედებაშიც აჩვენოს – ვიდეოჩანაწერები აფრიკული ტომების მიერ შესრულებულ რიტუალურ ცეკვებს წარმოგვიდგენენ.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, მათი აზრით, რა მასალით აჯობებს ნიღბების დამზადება და მათი მოხატვა.

აქტივობის შესასრულებლად თითო ბავშვს ეძლევა თითო თხელი მუყაო. უბრალო ფანქრით დახატავენ ზედ ნებისმიერი ფორმის სახეს და შუაში გაავლებენ სიმეტრიის ღერძს. გეომეტრიულ ნაკვთებს მონიშნავენ სიმეტრიის ღერძის მიმართ თანაბარი დაშორებით. ცარიელ ადგილებზე ხატავენ ხაზოვან ორნამენტს. შემდეგ დაფერავენ ნიღბებს გუაშით.

აქტივობა:

მოსწავლეები აკეთებენ მუყაოს ნიღბებს და აწყობენ კოსტიუმირებულ მხიარულ მსვლელობას სკოლის დერეფანში ან ეზოში ტამტამებისა და მუსიკის თანხლებით.

შემაჯამებელი კითხვები:

- როგორი ნიღბის გაკეთება გინდოდა, როცა მუშაობას შეუდექი?
- გამოგივიდა ის, რაც გინდოდა თუ მუშაობის პროცესში შენი ჩანაფიქრი შეიცვალა?
- რატომ შეცვალე გადაწყვეტილება?
- რა გამოგივიდა კარგად?
- რა გრძნობა გეუფლება, როცა ამ ნიღაბს უყურებ?
- გამოგივიდა სიმეტრიის დაცვა?
- რომელი გეომეტრიული ფიგურები გამოიყენე?
- როგორი ორნამენტით შეამკე შენი ნიღაბი?
- რატომ გამოიყენე ეს ფერები?
- რამეს ხომ არ შეცვლიდი?
- ეს ნიღაბი შენ თავად გამოიგონე თუ რომელიმე აფრიკულმა ნიღაბმა მოახდინა შენზე შთაბეჭდილება და მოგცა იდეა?
- ნანახი ილუსტრაციებიდან რომელი ნიღაბი მოგეწონა და რატომ?
- რომელი არ მოგეწონა? რატომ?

ჯადოსნური ხალიჩა

მიზანი:

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესახებ ცოდნის გაღრმავება (კერძოდ, ხალიჩის ისტორიასთან და თავისებურების გაცნობა);

ორნამენტის გამოყენებით აპლიკაციის ტექნიკით დეკორატიული ნამუშევრის შექმნის უნარი;

ნატიფი მოტორიკის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 6, 7, 8.

ს.გ.IV.2. – 3.

ს.გ.IV.5. – 3.

ასათვისებელი ტერმინები:

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება; ორნამენტი; ფეიქარი.

მასალა:

ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო, საქსოვი ძაფები, ყაისნაღი.

ვიზუალური მასალა:

მოსწავლეების ხელით გაკეთებული ჯადოსნური ხალიჩები

გაკვეთილის მსვლელობა:

– ხელოვნების რომელ დარგს შეიძლება მივაკუთვნოთ ხალიჩა – მხატვრობას, ქანდაკებას, არქიტექტურას თუ დეკორატიულ-გამოყენებითს? ხალიჩა დეკორატიულ-გამოყენებითი დარგის ნაწარმია – ის მოსართავიცაა და ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელიც.

იმ პროფესიის ადამიანს, ვინც ხალიჩების ქსოვითაა დაკავებული, მქსოველი ან ფეიქარი ჰქვია.

ფერების, ორნამენტებისა და ქსოვის წესის მიხედვით, სპეციალისტები არჩევენ მათ წარმომავლობას – სპარსულ, ავღანურ, ინდურ, კავკასიურ და სხვა ხალიჩებს.

– საინტერესოა, თქვენ როგორ ხალიჩებს შექმნით? გაიხსენეთ, როგორი გეომეტრიული ფორმები იცით? (მართკუთხედი, სამკუთხედი, წრე, რომბი, ჯვარი...). ხალიჩაზე ბუნებრივი ორნამენტის გამოყენებაც შეიძლება – ყვავილი, ფოთოლი, ღრუბელივით უსწორმასწორო, ვარსკვლავი, მზე, და სხვ.

ინსტრუქცია: I ეტაპი - ხალიჩა

- ერთ ფერად ქაღალდს „საფუძვლად“ ვიყენებთ.
- სხვა ფერის ქაღალდების განივ მხარეს გამოჭერით წვრილი და მსხვილი ზოლები – სწორი, ტალღოვანი, ზიგზაგისებური.
- გაანაწილეთ ზოლები საფუძველზე. როცა ჩათვლით, რომ საუკეთესო წყობას მიაგენით, წაუსვით წებო ზოლს და დააწებეთ მისთვის განკუთვნილ ადგილზე. მნიშვნელოვანია, რომ საფუძვლის

კიდეზე თითო ზოლი დააწებოთ, რადგან, როდესაც კიდეებს გახვრეტთ ძაფების გასაყრელად, ის ორმაგი ანუ საკმარისად სქელი იყოს, რომ არ გაიხეს.

- ნარჩენი ფერადი ქაღალდებისგან გამოჭერით სხვადასხვა გეომეტრიული ფორმები, ერთი ფერისა და ერთი ზომის 8-დან 10-მდე ერთნაირი ფორმა.
- დაალაგეთ ეს ფორმები ზედ ზოლებზე და მათ შორის ჰორიზონტალურად ისე, რომ გამოვიდეს ერთიანი ჯაჭვი. წინასწარ დაფიქრდით, რა მოხდება, თუ წითელ ზოლზე ნარინჯისფერ ფორმებს დაალაგებთ ან ლურჯზე მწვანეს? – ისინი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება და ფორმები „დაიკარგება“. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ისინი კონტრასტული, განსხვავებული ფერის ზოლზე ან მის გვერდით განალაგოთ.
- როდესაც საუკეთესო წყობას მიაღწევთ და დარწმუნდებით, რომ ფიგურები მკაფიოდ ჩანს ფონზე, წაუსვით მათ წებო და დააწებეთ შერჩეულ ადგილებზე.

II ეტაპი - ფოჩები

- მაკრატლის წვერით ჩახვრიტეთ კიდეები თანაბარი დაცილებით.
- ამოწვერეთ საქსოვი ძაფების ორი ან სამი წვერი (სასურველია, სხვადასხვა ფერის) და დაჭერით 10 სმ-იან მონაკვეთებად, იმდენ ცალად, რამდენი ნახვრეტიცაა.
- 5-6 ყაისნაღი მთელი კლასისთვის საკმარისია – ერთმანეთს გადასცემენ. დავუშვათ, მოსწავლეთა ნაწილი ნახვრეტებს გააკეთებს კიდეებში ზოლების დაწებებისთანავე და მაშინვე შეუდგება ძაფების გაყრას. ხალიჩის შიდა არეს შემდეგ შეავსებენ. ამასობაში დანარჩენები მუშაობენ ხალიჩის შიდა არეს დეკორირებაზე და დასასრულს გააკეთებენ ნახვრეტებსა და მარყუჟებს.
- გადაკეცეთ ძაფების 10 სმ-იანი მონაკვეთი შუაზე. გაუყარეთ ყაისნაღი ხალიჩის ნახვრეტში, გამოსდეთ ყაისნაღის კაუჭი ძაფების გადაკეცვის შუა ადგილს და გაქაჩეთ ყაისნაღი. კაუჭს გამოჰყვება ძაფები. ერთ მხარეს ძაფის ბოლოები მოექცევა, მეორე მხარეს – მარყუჟი. გაუყარეთ ბოლოები მარყუჟში და ფრთხილად დაქაჩეთ, რომ მარყუჟი მჭიდროდ შეიკრას ნახვრეტთან. თუ შემთხვევით ნახვრეტთან ხალიჩა გაიხა, შეგიძლიათ დაასტეპლეროთ.
- როდესაც ყველა ძაფს გაუყრით, მაკრატლით გაათანაბრეთ მათი სიგრძე.
- თუ საკმარისი რაოდენობის ყაისნაღი არ გაქვთ, ან საქსოვი ძაფები, შეგიძლიათ ხალიჩის განივი კიდეები დაჭრათ მაკრატლით ისე, რომ ფოჩები გამოვიდეს. (ნიმუში იხ. ვებგვერდზე: http://useyourcolouredpencils.blogspot.com.au/2011/12/magic-carpets.html)

ნამუშევარი გამოფინეთ სტენდზე და დაფიქრდით, სად და ვისთან ერთად ინატრებდით ამ ხალიჩებით გაფრენას...

აქტივობა:

ორნამენტის გამოყენებით მოსწავლეები ქმნიან დეკორატიულ ხალიჩას აპლიკაციის ტექნიკით.

შემაჯამებელი კითხვები:

რა იყო ამ დავალებაში ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი?

რა გამოგივიდათ კარგად?

რას შეცვლიდით?

თექა

მიზანი:

თექის შეთელვის ტექნიკის გაცნობა.

შედეგი:

ს.გ. 4.2. – 3, 4, 5

მასალა:

სახატავი ფურცლები
ფანქარი
კალკის ქაღალდი
მაკრტელი
ღრუბელი
გუაშის საღებავები
წყალი
პალიტრა

ვიზუალური მასალა:

თექის ნიმუშები

გაკვეთილის მსვლელობა:

„კარგი თოფი, კარგი ხმალი, კარგი ცხენი და ნაბადი“ – აკაკი წერეთელი

მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს შემდეგ სიტყვებს:

ნაბადი, ბოხოხი, თექა, მატყლი, ცხვარი.

მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს, იციან თუ არა, რას ნიშნავს დაფაზე ჩამოწერილი სიტყვები და თუ იციან, აღწერონ ისინი და გამოთქვან აზრი, თუ რა კავშირია დაფაზე ჩამოწერილ სიტყვებს შორის.

ცხვარი გვაძლევს მატყლს. მატყლით ითელება თექა. თექისგან მზადდება ნაბადი, ცხვრის ტყავისგან კი ბოხოხი.

ნაბადი და ბოხოხი კავკასიელი მამაკაცების სამოსია.

ბოხოხი ცხვრის ტყავისგან დამზადებული ხუჭუჭი, ბეწვიანი ქუდია. ბოხოხს ხშირად ფაფახსაც ეძახიან.

ნაბადი მოთელილი მატყლისგან დამზადებული უსახელო მოსასხამია.

„ნაბადში მწოლიარე კაცი წვიმისგან დაცულია, არც ქვეწარმავალი დაკბენს და არც კოღოები ეკარებიან.“

ნაბადი და ბოხოხი მხედრების, მწყემსების, მონადირეების და მოგზაურების აუცილებელი სამოსი იყო.

- გაიხსენეთ, სად გინახავთ ნაბადსა და ბოხოხში გამოწყობილი ადამიანები? (ეთნოგრაფიული ანსამბლების კონცერტებზე; ახალ წელს, თოვლის პაპას ჩაცმულობა).

– დააკვირდით და აღწერეთ ნიკო ფიროსმანაშვილის სურათები.

– რა არის მატყლი?

მატყლს ცხვრის, თხის, აქლემის და სხვა ისეთი ძუძუმწოვრების ბეწვს ეძახიან, რომლისგანაც ძაფი ირთვება ან თექა ითელება.

რა არის თექა და რას ნიშნავს თექის მოთელვა?

თექა არის შეთელილი, ანუ დატკეპნილი, შემჭიდროვებული მატყლის ქსოვილი, რომლითაც მზადდება ფარდაგები, ქუდები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჩანთები და სათამაშოებიც კი.

როგორ ითელება თექა?

თექის მოსათელად, ფუმფულა მატყლი ინამება საპნიანი წყლით და იტკეპნება, მანამ არ შემჭიდროვდება.

ფარდაგის დასამზადებლად, მატყლს თანაბარ ფენად ალაგებენ ნაჭერზე, მატყლის ფერად ნაკუწებს ლამაზად ანაწილებენ მთელ ფართობზე ისე, რომ რაიმე ნახატი, ან ორნამენტი გამოისახოს. შემდეგ, მატყლს საპნიანი წყლით ასველებენ, ნაჭრიანად ჯოხზე ახვევენ და წინ და უკან აგორავებენ, მანამ მატყლი არ შეითელება.

თექის ფარდაგებზე გამოსახული ორნამენტი, ხალიჩის ორნამენტისგან განსხვავებით, უფრო რბილ კონტურიანი, გადღაბნილი გამოდის.

თექის შეთელვას დიდი დრო სჭირდება, ჩვენ კი, მცირედით დავიწყოთ – თექის ბურთები დავამზადოთ.

მასწავლებელი აუხსნის მსწავლეებს ბურთების შეთელვის ტექნოლოგიას:

პატარა ნაჭრები უნდა დაიკუჭოს, შემოეხვიოს ჯერ შალის ძაფი, ზევიდან კი მატყლი და სველი, საპნიანი ხელის გულებით დამრგვალდეს მანამ მკვრივი არ გახდება.

მასწავლებელი გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ თექის ბურთი რომ არ გაბრტყელდეს ან დაიბრიცოს, დამრგვალების დროს, ბურთი ხელის გულებით ძალიან ნაზად, დაწოლის გარეშე უნდა აგორგოლავონ. თუ მატყლი მშრალია, დაამატონ ცოტა სველი საპონი. შეთელილი ბურთები, საპნის მოსაცილებლად, უნდა გაივლოს სუფთა წყალში.

თუ მასწავლებელს არ ექნება მატყლი, ბურთები შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ნატურალური შალის ძაფითაც.

გამზადებული ბურთები უნდა გაშრეს. გამშრალი ბურთებით მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეები ააცვამენ მძივებს.

ბურთების დაგორგოლავების პროცესში მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს მოსწავლეებს მოკლე ვიდეოსიუჟეტი თექის შეთელვის შესახებ:

http://www.myvideo.ge/v/2519514

https://www.youtube.com/watch?v=016Je21mMM0 (აქტიური ბმული რესურსებში)

აქტივობა 1:

მასალა:

გამოუსადეგარი ქსოვილის ნაკუწები

მატყლი და/ან უხეში შალის ძაფები

საპონი

თბილი წყალი

ცელოფანი მაგიდის დასაცავად

აქტივობა 2:

მასალა:

თექის ბურთები

ზონრები

პლასტმასის ან მეტალის მრგვალთავიანი, დიდნახვრეტიანი ნემსები

მახათი

დიდნახვრეტიანი მძივები, ღილები

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით გაუყრიან თექის ბურთებში ზონარს. ბურთებს შორის ააცვამენ მძივებს, ღილებს და დაამზადებენ ყელსაბამებს.

ანაბეჭდი კარტოფილით

მიზანი:

არატრადიციული მასალების გამოყენებისა და შემოქმედებითობის უნარების განვითარება, შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;

მასალების, ტექნიკებისა და მხატვრული ხერხების განმასხვავებელ თავისებურებების გაცნობიერება;

მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარება;

ანაბეჭდის ტექნიკის შემდგომი ათვისება.

შედეგი:

ს.გ. IV.2. – 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

ანაბეჭდი, ტრაფარეტი (მრავალჯერადი გამოყენებისთვის შექმნილი ფორმა, მზა თარგი)

მასალა:

სახატავი ფურცელი, უმი კარტოფილი (თითო მოსწავლეზე თითო), პლასტილინის დანა, გუაშის საღებავები, ფუნჯი.

ვიზუალური მასალა:

მოსწავლეების ნამუშევრები:

ტრეისი სიმპსონის ნამუშევრები

გლორია ფრეშლის ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

ამ გაკვეთილისთვის მასწავლებელს მოუწევს, წინასწარ გარეცხოს კარტოფილი, გაფცქვნას და შუაზე გაჭრას. თითო მოსწავლეს ერგება ორი ნახევარი – ორი განსხვავებული ფორმის მისაღებად. ტრაფარეტის გამოსაჭრელად ასევე გამოდგება ორცხობილას ფორმები (შუაზე გაჭრილი კარტოფილის რბილობში ჩაჭდევით ჩასვით ორცხობილას საჭრელი ფორმა და პლასტილინის დანით შემოაცალეთ გარშემო ზედმეტი რბილობი). თუ ორცხობილას საჭრელი ფორმები არ გაქვთ, მთელი ტრაფარეტი უნდა გამოიჭრას პლასტილინის დანით.

– ვის არ უყვარს კარტოფილი. შემწვარი თუ არა, მოხარშული მაინც. როდესაც ესპანელებმა მე-16 საუკუნეში ეს პროდუქტი ამერიკიდან ევროპაში ჩამოიტანეს, დეკორატიული და თანაც, შხამიანი მცენარე ეგონათ და წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ის, არათუ საჭმელად და სამკურნალოდ, არამედ სახატავადაც კი გამოდგებოდა! კარტოფილი საკმაოდ რბილია, რომ მისგან ფორმა გამოიჭრას და საკმაოდ მაგარი, რომ ეს ფორმა შეინარჩუნოს, სანამ მას ვიყენებთ. კარტოფილისგან გამოჭრილი ტრაფარეტი დაგვეხმარება რიტმული, განმეორებადი ორნამენტის ან დეკორატიული კომპოზიციის შექმნისას – ერთი და იგივე ფორმა სათითაოდ კი არ უნდა ვხატოთ, არამედ – ვბეჭდოთ!

დავალება:

პლასტილინის ბლაგვი დანით კარტოფილისგან გამოჭერით ტრაფარეტები და შექმენით დეკორატიული ნამუშევარი.

აქტივობა:

მოსწავლეები ამზადებენ კარტოფილისგან ტრაფარეტს და ხატავენ დეკორატიულ კომპოზიციას.

შემაჯამებელი კითხვები:

- კიდევ რისი გამოყენება შეიძლება ანაბეჭდის მისაღებად? – სტაფილო, ყვავილოვანი კომბოსტო, ვაშლი... იმის, რაც ადვილად იჭრება, მაგრამ ფორმას ინარჩუნებს.
- რა ფორმები გამოჭერით?
- როგორ გაანაწილეთ კომპოზიციაში ეს ფორმები?
- რა მიიღეთ? მოგწონთ თქვენი ნამუშევარი?
- კიდევ რა ფორმის გამოჭრას ისურვებდით?
- კიდევ რაში შეიძლება გამოიყენო ანაბეჭდის ტექნიკა?

საკურა

(ეს გაკვეთილი გაზაფხულზე უნდა ჩატარდეს, როცა ხეხილი ყვავის)

მიზანი:

მასალების, ტექნიკებისა და მხატვრული ხერხების თავისებურებების გაცნობიერება;

ხელოვნების ნამუშევარში არატრადიციული მასალების შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარება;

მშვენიერების განცდის უნარისა და გემოვნების განვითარება;

განსხვებული კულტურის (იაპონურ კულტურის) გაცნობა;

სამყაროს შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბება.

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 1, 8.

ს.გ.IV.2. – 1, 4.

მასალა:

თეთრი ქაღალდი, შავი მელანი ან შავი ფერის გუაშით გაზავებული წყალი, წითელი და თეთრი ფერის გუაშები, ფუნჯი, წვენის საწრუპი მილაკი.

ვიზუალური მასალა:

საკურას ყვავილობის იაპონური ნახატები

მოსწავლეების ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ გაკვეთილის შესაბამის ტექსტს სახელმძღვანელოში. მასწავლებელი აჩვენებს მათ 13-წუთიან ეპიზოდს – იაპონელი კინორეჟისორის, აკირა კუროსავას ნოველას „ატმის ბაღი“ ფილმიდან „სიზმრები“ (12:50-25:40 წთ-მდე).

თუ ფანჯრიდან შესაბამისი ხედი იშლება, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხედონ ფანჯარაში და დააკვირდნენ, რა ლამაზია აყვავებული ხეები.

მოტივაციისთვის, მასწავლებელს ასევე, შეუძლია წაუკითხოს მოსწავლეებს ქართველი პოეტების რამდენიმე ლექსი გაზაფხულზე ბმულიდან.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ მოსწავლეთა ნამუშევრებს და დაფიქრდნენ, როგორ შეიძლება ამ ეფექტის მიღება, რა ხერხითაა ისინი შესრულებული. თუ მოსწავლეები ვერ მიხვდებიან, მაშინ მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას, მასალას (საწრუპები შეგიძლიათ ორად გაჭრათ) და მოსწავლეები ასრულებენ დავალებას. მასწავლებელმა უნდა გააფრთხილოს მოსწავლეები, საწრუპს დიდი ძალით არ ჩაბერონ, თორემ შეიძლება თავბრუ დაეხვეთ. ნაზად უნდა ჩაბერონ.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- დააწვეთეთ თეთრი ქაღალდის ერთ კიდეში (სულერთია, კუთხეში თუ შუაში) ცოტაოდენი შავი

მელანი ან შავი ფერის გუაშით გაზავებული, 1-2 წვეთი წყალი.

- მიიტანეთ საწრუპავი მილის ერთი ბოლო ლაქასთან ირიბად, მეორეში კი ფრთხილად ჩაბერეთ ისე, რომ ლაქა ნაპირებიდან რამდენიმე ნაკადად გავიდეს ქაღალდის შუისკენ. ნუ ჩაბერავთ მთელი ძალით, თორემ თავბრუ დაგეხვევათ!
- თითოეული ნაკადიდან, ისევ საწრუპავში ჩაბერვით, უფრო მომცრო ნაკადები გააკეთეთ. ხის ტოტები ტეხილი და უსწორმასწორო გამოვა.
- პალიტრაზე შეაზავეთ თეთრი და წითელი საღებავები. ოღონდ დაფიქრდით, რა მოხდება, წითელგუაშიანი ფუნჯი რომ ჩააწოთ თეთრ საღებავში? თეთრი თუ დაისვარა, ის შემდეგ სხვა ფერების გასაღიავებლად აღარ გამოგადგებათ. ამიტომ, ჯერ თეთრი საღებავი გადმოიღეთ პალიტრაზე და შემდეგ – წითელი.
- ტოტებზე აქა-იქა, ფუნჯის მსუბუქი, მოკლე მონასმებით ან დაწვეთებით, დახატეთ საკურას ყვავილები, ზოგი ოდნავ მოზრდილი, ზოგი კი – მომცრო.
- ყვავილებს შუაგულში შეგიძლიათ წვრილი ფუნჯის წვერით დაუხატოთ შავი გულები – პატარა ყვავილებს წერტილის სახით, ხოლო მოზრდილებს – სამიოდე მოკლე შტრიხის სახით.
- აი, თქვენი საკურაც აყვავდა. გაუკეთეთ წვრილი შავი ჩარჩო, დაკიდეთ კედელზე და დატკბით ნამუშევრის სილამაზით!

აქტივობა:

მოსწავლეები, ინსტრუქციის თანახმად, ხატავენ საკურას აყვავებულ რტოს.

შემაჯამებელი კითხვები:

- რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ადამიანი სილამაზეს და მშვენიერებას გრძნობდეს?
- წარმოიდგინეთ, როგორი იქნება ადამიანი, რომელსაც არ აქვს მშვენიერების დანახვის უნარი.
- მოგწონთ საკურას ყვავილობით ტკბობის იაპონელთა ტრადიცია?
- რას გულისხმობდა კუროსავას ფილმის პერსონაჟი ბიჭუნა, როდესაც ამბობდა, რომ ატამს იყიდი, ატმის ყვავილობას კი ვერაო?
- მოგეწონათ საწრუპავით ხატვა?
- რა იყო ყველაზე ძნელი? ადვილი?
- რა გამოგივიდათ კარგად? ცუდად? რატომ?
- იფიქრებდით როდესმე, რომ საწრუპავი შეიძლება სახატავად გამოგეყენებინათ?

მრავალწერტილი...

მიზანი:

ხელოვნების მრავალფეროვნების გაცნობიერება;

მსოფლიოს კულტურულ ფასეულობებთან ზიარება და პატივისცემის გრძნობის განვითარება განსხვავებული კულტურის (ავსტრალიის აბორიგენული ხელოვნების) მიმართ;

არატრადიციული მასალების, ტექნიკებისა და მხატვრული ხერხების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;

ანაბეჭდის ტექნიკის შემდგომი ათვისება;

ნატიფი მოტორიკის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.2. – 1, 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

ანაბეჭდი, აბორიგენები

მასალა:

უბრალო ფანქარი, ფერადი ფურცლები, გუაშის საღებავები, ყურის საწმენდი ბამბიანი ჩხირები, წინსაფარი, სამკლაურები.

ილუსტრაციები:

ავსტრალიელი აბორიგენები

აბორიგენების ნახატები

მოსწავლეების მიერ, ავსტრალიის აბორიგენების სტილში შექმნილი ნიმუშები

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა:

მოსწავლეები ქმნიან ნამუშევარს წერტილებით, ავსტრალიის აბორიგენების სტილში.

შემაჯამებელი კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რითი იხატავენ აბორიგენები სხეულს? – თითებით.
- თქვენ რა ფერები გამოიყენეთ?
- რა მოხდებოდა, ფერადი ფურცლის ფერის საღებავი რომ გეხმარათ? – ის არ გამოჩნდებოდა. ფერები ფონისგან უნდა განსხვავდებოდეს.
- მოგწონთ ავსტრალიის აბორიგენების ნახატები თუ არა? რატომ?
- რაიმე იდეა ხომ არ მოგივიდათ, კიდევ რის დასახატად გამოგადგებათ ბამბიანი ჩხირები?

გრატაჟი

მიზანი:

ამოჩხაპნის ტექნიკის დაუფლება.

შედეგი:

ს.გ. 4.2. – 1, 4, 5

ასათვისებელი ტერმინები:

გრატაჟი
სილუეტი
შტრიხი
ფონი
ტუში

მასალა:

აკვარელის (სქელი) სახატავი ფურცელი ან მუყაო
ფერადი (ცვილის ან ზეთის) პასტელები
ტუში ან შავი გუაშის საღებავი
პატარა კონტეინერში ან პალიტრის ფოსოში ჩადებული სარეცხი საპონი
წვეტიანი ჩხირი, ასანთის ღერი, პლასტილინის დანა...
წყალი
ღრუბელი
რბილი განიერი ფუნჯი

ვიზუალური მასალა:

მაქს ერნსტის გრატაჟის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები
ბმული: https://www.youtube.com/watch?v=JPHEzAUCYBA
https://www.youtube.com/watch?v=no4NmqMcksM

გაკვეთილის მსვლელობა:

გრატაჟი ფრანგულად ამოჩხაპნას ნიშნავს.

მხატვრობაში, ეს ტექნიკა ძალიან ლამაზი, უცნაური ეფექტის შექმნის საშუალებას იძლევა.

გრატაჟის ტექნიკა მოიგონა მეოცე საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთში მღვაწე, გერმანელმა მხატვარმა მაქს ერნსტმა.

მაქს ერნსტი, ზეთის საღებავებით დაფერილ ტილოს ან მუყაოს, ზევიდან მთლიანად აშავებდა შავი ტუშით და მერე, წვეტიანი საგნით ჩხაპნიდა, ფხეკდა, აცილებდა ნახატს ზედა შავ ფენას. ნაკაწრებში გამოჩენილი საღებავის ქვედა ფენა სურათს ჯადოსნურ ელფერს ანიჭებდა.

მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა შეასრულონ ნამუშევარი გრატაჟის ტექნიკით და იკითხავს:

- როგორ ფიქრობთ, რომელი ფერები არ უნდა იხმაროთ, გრატაჟისთვის ფონის მოსამზადებლად და რატომ?

გრატაჟის ტექნიკით მუშაობისას, უნდა გახსოვდეთ, ვინაიდან ფურცელი ზევიდან შავი საღებავით იფარება, ხოლო ნაჩხაპნებში ფონის ქვედა ფენამ უნდა გამოანათოს, ფონის გაფერადებისას, არ იხმაროთ მუქი ფერის პასტელი.

აქტივობა:

მოსწავლეები დაფერავენ, ააჭრელებენ სახატავ ფურცელს ფერადი პასტელებით, სქლად წაუსვავენ მას საპონში გარეული ტუშის ან შავი გუაშის 2-3 ფენას ამოჩხაპნიან ნახატს.

სავარაუდო თემები – ზეიმი, კოსმოსი, წყალქვეშა სამყარო, თაიგული.

პალეონტოლოგია

მიზანი:

არატრადიციული მასალების შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარება;
მულიაჟის დამზადების, წარმოსახვისა და ნამუშევრის წარდგენის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.IV.2. – 1, 2, 4, 5.
ს.გ.IV.5. – 5.

ასათვისებელი ტერმინები:

პალეონტოლოგია

მასალა:

უბრალო ფანქარი, მუყაო, ასანთის ღერები, სხვადასხვაგვარი მაკარონი, ყურის საწმენდი ბამბიანი ჩხირები, წვრილად დაფხვნილი ჩაის ხმელი ფოთლები, ფუნჯი, თხევადი წებო, მაკრატელი.

ვიზუალური მასალა:

განამარხებული ცხოველების ჩონჩხები
მოსწავლეების ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ამბობს:

ამ გაკვეთილის სათაური ენის გასატეხი არ გეგონოთ, თუმცა ძნელი წარმოსათქმელი კი არის. მოისმინეთ ჩამონათვალი და გამოიცანით, რას ნიშნავს ეს უცნაური ტერმინი და რას ეძღვნება ჩვენი დღევანდელი გაკვეთილი: თავფეხიანებს, მხარფეხიანებს, ფეხსახსრიანებს, კანეკლიანებს, მტევანფარფლიანებს, სხივფარფლიანებს, უყბოებს, ორგვარადმსუნთქავებს, ერთუჯრედიანებს, მასტოდონტებს, არქეოპტერიქსებს, ტირანოზავრებს, იქთიოზავრებს, მამონტებს, დინოზავრებს და... აბა, მიხვდით?

მასწავლებელი ჩამონათვალს კითხულობს აუჩქარებლად, პაუზებით, რომ მოსწავლეებს მისცეს დრო უცნაური სიტყვების აღქმისა და მათზე რეაგირებისთვის. სავარაუდოდ, აბზაცის დასასრულს, დინოზავრის ხსენებაზე, მოსწავლეები მიხვდებიან, რომ გაკვეთილი უძველეს, გადაშენებულ ცხოველებს ეძღვნება. ეს ტერმინები, ცხადია, მოსწავლეებმა არ უნდა დაისწავლონ. ისინი მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გასაღვივებლად და სახალისო განწყობისთვისაა გამოყენებული. (შენიშვნა: ამ ასაკის მოსწავლეების უმეტესობა უკვე იცნობს ზოგიერთი გადაშენებული ცხოველის სახელწოდებას (განსაკუთრებით პოპულარულია არქეოპტერიქსი, ტირანოზავრ რექსი, მამონტი, დინოზავრი. გავრცელებულია ამ ცხოველების სათამაშოებიც). როდესაც ეს გაკვეთილი კლასში ჩატარდა (ვიზუალურ რესურსებში ნიმუშებად წარმოდგენილია ჩვენი მოსწავლეების ნამუშევრები), ამ უცნაური სახელწოდებების გაგონებაზე ყური ცქვიტეს იმ მოსწავლეებმაც, რომლებიც ძნელად ერთვებიან ხოლმე საგაკვეთილო პროცესში. კლასი გამოცოცხლდა და გახალისდა. შედარებით ნაცნობი „არქეოპტერიქსის“ გაგონებაზე ერთმა ხელი აიწია, ყოველი შემდგომი ცხოველის დასახელებისას კი უფრო და

უფრო მეტი მოსწავლე იწევდა ხელს. საბოლოოდ, ყველა მიხვდა, რომ პალეონტოლოგია გადაშენებულ ცხოველებს შეისწავლის. მასწავლებლის წაკითხულ ტექსტს მოჰყვა ის, რომ მათაც დაიწყეს საკუთარი ვარიანტების მოფიქრება – „ყურცხვირიანები“, „პირთვალიანები“ და მსგავსი სახალისო სახელები. მხიარულებამ დასამახსოვრებელი გახადა ეს გაკვეთილი და საგანს მრავალფეროვნება შესძინა).

შესავლის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, კიდევ რომელი მეცნიერება იციან, რომელიც მიწის სიღრმეში დამარხულ წარსულის ნაკვალევს ეძებს, პოულობს და შეისწავლის (არქეოლოგია – ის კაცობრიობის უძველესი კულტურის ნაშთებს შეისწავლის).

შემდეგ მოსწავლეები განაგრძობენ ტექსტის კითხვას. იმ ადგილას, სადაც ტერმინის – პალეონ-ტოლოგია – განმარტება სრულდება, მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ჩამოაყალიბონ, რას ნიშნავს ეს სიტყვა ქართულად (სწავლება ან მეცნიერება ძველი არსებების შესახებ). შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ინსტრუქციას. მასწავლებელი თითოეულს დაურიგებს სხვადასხვა ნამარხი არსებების ჩონჩხების ფოტოსურათებს და მასალებს.

წებოს ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სახამებლის ან პურის ფქვილისგან (ერთი მუჭა მთელ კლასს ეყოფა) წინა დღეს წინასწარ მოხარშული წებო. ერთი კოლოფი ან პაკეტი მაკარონი ასევე, მთელ კლასს ეყოფა, თუმცა სასურველია, მათ სხვადასხვა მასალებით იმუშაონ და შემდეგ შეადარონ, რომელი უფრო ეფექტურია – მაკარონი, ბამბიანი ჩხირები თუ ასანთის ღერები.

საშინაო დავალებად ეძლევათ:

1. ხელახლა წაიკითხონ ნამარხი ცხოველების სახეობების სახელები. სახელის მიხედვით, წარ-მოიდგინონ ეს არსებები. შეარჩიონ რომელიმე, მოიფიქრონ და საკუთარი ფანტაზიით, ტრადი-ციული ან რაიმე არატრადიციული მასალით შექმნან მისი გამოსახულება. შემდეგ გაკვეთილზე წარუდგინონ ნამუშევარი კლასს.
2. ინტერნეტის მოცემულ ბმულზე ონლაინ გააფერადონ, შეინახონ და ელექტრონულად გაუგ-ზავნონ მასწავლებელს პრეისტორიული ცხოველების გამოსახულებები:
   http://www.thecolor.com/Category/Coloring/Dinosaur.aspx

აქტივობა:

მოსწავლეები ფოტოების მიხედვით, აკეთებენ დინოზავრისა და სხვა ნამარხი არსებების ჩონჩ-ხების მულიაჟებს.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა მოხდებოდა, ცოცხალ არსებებს ჩონჩხი, ძვლები რომ არ გვქონოდა?
- რა ცხოველის ჩონჩხი გააკეთეთ?
- რა მასალა გამოიყენეთ?
- კიდევ რისი გაკეთება შეიძლება ამ მასალით?
- კიდევ რა მასალის გამოყენება შეიძლება?

რესტავრაცია

მიზანი:

ისტორიული და კულტურული ძეგლების გაფრთხილება;

მივაწოდოთ მოსწავლეებს ინფორმაცია რესტავრატორის პროფესიის შესახებ.

შედეგი:

ს.გ. 4.3. – 5.

ს.გ. 4.5. – 3.

ასათვისებელი ტერმინები:

რესტავრაცია

მასალა:

მოსწავლეების საღებავებით შესრულებული, წვრილად დაკუწული ნამუშევრები

სახატავი ფურცელი

წებო

ბამბიანი ჯოხი

ხის წვრილი ჩხირი ან ასანთის ღერი

წებოს ფუნჯი

საღებავები, ფუნჯი

წყალი

ვიზუალური მასალა:

ჯოტოს და ჩიმაბუეს ფრესკები

გაკვეთილის მსვლელობა:

ვინაიდან ამ აქტივობის ჩასატარებლად საჭიროა დაქუცმაცებული ნამუშევრის აწყობა, მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ, სპეციალურად ამ გაკვეთილისთვის, საღებავებით დაახატინებს სურათს თავისუფალ თემაზე.

ყველა მოსწავლის ნახატს დახევს პატარა ნაკუწებად, ჩაალაგებს ნაკუწებს კონვერტებში, რომლებსაც ავტორის სახელი ეწერება. მოსწავლეები უნდა იყვნენ გაფრთხილებული, თუ რა მიზნით მიადგება ზიანი მათ ნახატებს.

აქტივობის დროს, ყველა მოსწავლეს შეხვდება კონვერტი საკუთარი ნამუშევრის ნაკუწებით.

1997 წელს, იტალიაში მოხდა მიწისძვრა, რომელმაც ძლიერად დააზიანა ქალაქ ასიზის წმინდა ფრანსისკ ასიზელის (სახელობის?) ბაზილიკა. ეს ტაძარი, მე-13 საუკუნეშია აგებული, და ცნობილია ოთხი უდიდესი იტალიელი მხატვრის მიერ მოხატული ფრესკებით.

მიწისძვრის გამო, ნაწილობრივ დაინგრა ტაძრის კედლები და ჩამოიშალა ერთერთი თაღი, რომლის ჭერზეც ჩიმაბუეს ფრესკა იყო დახატული. ტაძარში, ყველაზე მეტად, განადგურდა ჯოტოს და ჩიმაბუეს ფრესკები.

საბედნიეროდ, ფრესკების დიდი ნაწილი გადარჩა.

ყველაზე მეტად დაზიანდა ბაზილიკის ჭერიდან ჩამონგრეული ჩიმაბუეს ფრესკა, რომელიც მათე მახარებელს გამოსახავდა. ფრესკა 120 ათას ნატეხად დაიშალა. რესტავრატორებმა განმინდეს და შეაგროვეს 180კვ.მ.-ზე მეტი ფართობის მოხატულობის ჩამონგრეული ნამტვრევები. შეაგროვეს, დაახარისხეს, დანომრეს ყველა ჩამოვარდნილი ნატეხი და ფრესკების აღდგენას შეუდგნენ.

გითამაშიათ ფაზლებით? გაიხსენეთ, როგორი რთულია იმ ადგილების აწყობა, სადაც სურათზე ერთი ფერის დიდი მონაკვეთია ასაწყობი. აღმოჩნდა, რომ ჩიმაბუეს ფრესკის უდიდესი მონაკვეთი მხოლოდ ორი ფერის – წითელი და ყვითელი საღებავით იყო დახატული. ძალიან რთული აღმოჩნდა ამ ფრესკის ერთგვაროვანი ნატეხებისთვის ადგილის მოძებნა.

დღეისთვის, აღდგენილია მათე მახარებლის ფრესკის ნაწილი – რესტავრატორებმა, 120 ათასი ნატეხიდან, მხოლოდ 20 ათას ნატეხს მოუძებნეს ადგილი. ფრესკის დანარჩენი ნაწილები კი სათუთად შეინახეს უფრო სრულყოფილი ტექნლოგიების მოლოდინში.

კედლიდან ჩამოშლილი ჯოტოს ფრესკა „წმინდა იერონიმე“ კი, რომელიც სულ რაღაც 40 ათას ნაწილად დაიშალა, რესტავრატორებმა 9 წლის მუშაობის შემდეგ აღადგინეს და ადგილზე დააბრუნეს.

ტაძრის დაზიანებული ფრესკების მეოცედი ნაწილის აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. საბედნიეროდ, რესტავრატორებმა ახალი ტექნოლოგიების დახმარებით შექმნეს ჩამონგრეული თაღის სამგანზომილებიანი კომპიუტერული მოდელი, რომელიც ლაზერული პროექტორით ედება გადარჩენილი და აღდგენილი ფრესკების ფრაგმენტებს. იმისთვის, რომ დაინახო, თუ როგორი იყო ფრესკა დაზიანებამდე, საკმარისია გაიკეთო სპეციალური სათვალე და ლაზერული პროექცია ფრესკის მთლიან სურათს დაგანახებს.

აქტივობა:

მოსწავლეები ააწყობენ და სახატავ ფურცელზე დააწებებენ საკუთარი ნამუშევრების ნაკუწებს. დაზიანებულ და ნაკლულ ადგილებს შეავსებენ „აღადგენენ“ შესაფერისი ფერის საღებავით.

ნახატის ნაკუწები ერთმანეთს უნდა დაეწებოს ისე, რომ მათ შორის რაც შეიძლება ნაკლები ღრიჭოები დარჩეს.

იმისთვის, რომ ნახატის ნაკუწები არ დაიჭმუჭნოს, მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს, ნაკუწები ფრთხილად, ნამიანი ბამბის ჯოხებით აიღონ. წებო ძალიან თხელი ფენით წაუსვან არა ნაკუწებს, არამედ იმ ფურცელს, რომელზეც ნაკუწები უნდა დაწებდეს.

აბსტრაქცია ჟან არპის სტილში

მიზანი:

ჟანრების, მასალების, ტექნიკებისა და მხატვრული ხერხების შესახებ ცოდნის გაღრმავება;
მასალისა და ტექნიკის შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
მსოფლიოს ხელოვნებასთან (ჟან არპის შემოქმედება) გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 2, 7, 8.
ს.გ.IV.2. – 2.

ასათვისებელი ტერმინები:

კოლაჟი, რელიეფი, კონსტრუქცია, აბსტრაქცია.

მასალა:

მუყაო, უბრალო ფანქარი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყალი, წებო, მაკრატელი.

ვიზუალური მასალა:

ჟან არპის ნამუშევრები
მოსწავლის ნამუშევარი

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

– შემოქმედების (ხატვის, ძერწვის...) მომენტში გქონიათ ისეთი გრძნობა, თითქოს მთელი გარე სამყარო ქრება, უჩინარდება და ამქვეყნად მხოლოდ თქვენ და თქვენი ნამუშევარი არსებობთ? ეს საოცარი გრძნობაა, როდესაც ყველაფერს ეთიშები და მხოლოდ შემოქმედებისთვის არსებობ. რასაკვირველია, ასეთ დროს ხელოვანებს სრულიად სხვადასხვაგვარი ნამუშევრები გამოსდით, იმისდა მიხედვით, თუ რა არის მათი ინტერესის საგანი. ვნახოთ, რა გამოსდიოდა მე-20 ს-ის ხელოვანს ჟან (ჰანს) არპს.

ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი ურიგებს მათ მუყაოს ერთ მართკუთხა ნაჭერს ფონისთვის, სხვა მუყაოს ნაჭრებს ფორმების გამოსაჭრელად და გუაშის საღებავებს.

ინსტრუქცია:

- მართკუთხა მუყაო ფონისთვის გადადეთ.
- ჟან არპი შემოქმედებისას ფორმების „შემთხვევითობით“ ხელმძღვანელობდა. უბრალო ფანქრით დახატეთ მუყაოს ნაჭრებზე შემთხვევითი ფორმები – ზოგი მოზრდილი, ზოგიც – პატარა.
- გამოჭერით ეს ფორმები და დაალაგეთ სწორკუთხა მუყაოზე. დააკვირდით მიღებულ კომპოზიციას, ამოძრავეთ ფორმები, გადააადგილეთ ისე, რომ თქვენთვის სასურველი კომპოზიცია მიიღოთ.

- თუ რაიმე ადგილი კიდევ „ითხოვს“ ფორმის დამატებას, ნარჩენ მუყაოზე დახატეთ ეს ფორმა, გამოჭერით და დადეთ მისთვის განკუთვნილ ადგილზე.
- ფონზე დალაგებული მუყაოს ნაჭრების გარშემო უბრალო ფანქრით მკრთალად მონიშნეთ მათთვის განკუთვნილი ადგილები, რომ შემდეგ ადვილად მიაგნოთ მათ.
- ახლა ფერზე დაფიქრდით. რა ფერის გსურთ, რომ ეს ფორმები იყოს? ყველა ერთი ფერისა გსურთ თუ სხვა, კონტრასტული ფერის აქცენტებიც მოუხდება? თუ ჟან არპს თეთრი ფერის ფორმები ჰქონდა გამოყენებული, აქცენტებს შავი ფერით სვამდა.
- როდესაც ფერებს მოიფიქრებთ, დაფერეთ ისინი გუაშის საღებავებით.
- მუყაოს პატარა ნაჭერს წაუსვით წებო და დააწებეთ ფორმას უკანა მხარეს.
- შემდეგ წაუსვით წებო პატარა ნაჭერს და დააწებეთ ფონზე მისთვის განკუთვნილ ადგილზე. ამგვარად, ფორმები უფრო ამოწეული იქნება ფონიდან და ჩრდილს გაიკეთებს.

აქტივობა:

მოსწავლეები მუყაოსგან აკეთებენ აბსტრაქტულ კონსტრუქციებს ჟან არპის სტილში.

წლის შემაჯამებელი გამოფენა:

სასწავლო წლის დასასრულს მოსწავლეები ამოარჩევენ საკუთარ საუკეთესო ნამუშევრებს, გაუკეთებენ მათ ჩარჩოებს, დაამზადებენ პლაკატსა და მოსაწვევებს და მოაწყობენ გამოფენას, რომელზეც მოიწვევენ თანასკოლელებსა და მშობლებს.

VII შემაჯამებელი გაკვეთილები

კამათელი

მიზანი:

ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის, კვლევის, შედარების, ნამუშევრის წარდგენის, არგუმენტირებული მსჯელობის, უნარ-ჩვევების განვითარება;

ქართული და მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა;

სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება.

შედეგი:

ს.გ.IV.3. - 1, 4.

ს.გ.IV.4. – 2, 3, 4, 5.

ს.გ.IV.5. – 1, 2, 4.

ასათვისებელი ტერმინები:

გრაფიტი

მასალა:

კუბის ფორმის კამათელი კითხვებით, წიგნები ხელოვნების შესახებ, ინტერნეტი

ვიზუალური მასალა:

ნიკო ფიროსმანის „გოგონა ბუშტით“ (1); ფიროსმანისავე „გოგონა ლურჯი კაბით“ (2); ჟოან მიროს „გოგონა ბუშტით“ (3); ბენქსის „იმედი ყოველთვის არსებობს“.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი წინასწარ ამზადებს კუბის ფორმის მოზრდილ ყუთს. მოსწავლეები ფურცელზე წერენ კითხვებს და აწებებენ ყუთის გვერდებზე. სახელმძღვანელოში ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ნაწარმოებების ინტერპრეტაციაში.

– დააკვირდით ბენქსის სურათის სათაურს. როგორ ფიქრობთ, რა კავშირი აქვს გამოსახულებას სათაურთან?

– რა მსგავსება და განსხვავებაა ნამუშევრებს შორის?

მასწავლებელი უხსნის, რომ ნიკო ფიროსმანი შავ მუშამბაზე ზეთის საღებავებით ხატავდა, ჟოან მიროც ზეთის საღებავებით, ოღონდ – ტილოზე, ხოლო ბენქსი წინასწარ თარგს ჭრიდა, კედელს ადებდა და სასხურებლით აფრქვევდა საღებავს.

კვლევის საწარმოებლად მასწავლებელი ბავშვებს ურჩევს წიგნებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სასკოლო ბიბლიოთეკაში და აგრეთვე ვებგვერდებს ინტერნეტში.

სასურველია, წლის განმავლობაში ამავე სცენარით, მასწავლებელმა რამდენჯერმე გაიმეოროს

შედარებითი ანალიზის აქტივობა. თუ მიმდინარე წელს არ მოესწრება, მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს ეს აქტივობა მომავალ სასწავლო წელს, ან მისცეს მოსწავლეებს საზაფხულო დავალებად.

სარეკომენდაციო მასალა შედარებითი ანალიზისთვის:

ალტამირას, პაბ-ლო პიკასოს და მერაბ აბრამიშვი-ლის „ხარები“	
ალტამირას, ლუკას კრანახ უფროსისა და ნიკო ფიროსმანის „ტახები“	
ტასილის, ნიკო ფიროსმანისა და მერაბ აბრამიშვი-ლის „ჟირაფები“	
შოვესა და ალბ-რეხტ დიურერის მარტორქები და ჯაკომო ბალას ძაღლი	
ანდო ჰიროშიგეს ნახატები და მათი ვან გოგისეული ინტერპრეტა-ციები	

აქტივობა:

მოსწავლეები ნაწილდებიან 6 ჯგუფად, კამათლის გვერდების რაოდენობის მიხედვით. ჯგუფები ატარებენ კვლევას და ადარებენ ერთმანეთს შემოთავაზებულ ნაწარმოებებს.

სიტყვობანა

მიზანი:

ნასწავლი ტერმინების გახსენება;
წყვილებში მუშაობის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება;
ხელოვნებისადმი მუდმივი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება.

შედეგი:

ს.გ.IV.3. – 1, 3, 4.
ს.გ.IV.4. – 3, 4.
ს.გ. IV.5. – 2, 3.

ასათვისებელი ტერმინები:

რეგლამენტი, ექსპერტი.

მასალა:

ქუდი, თასი ან ჯამი, პატარა ბარათები, წითელი და მწვანე ფანქრები, საათი წამზომით.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელმა წინა გაკვეთილზე თანაბრად უნდა დაუნაწილოს მოსწავლეებს სახელმძღვანელოს გაკვეთილები და დაავალოს, ამოწერონ რაც შეიძლება მეტი სიტყვა და ტერმინი - დარგების, ჟანრების, მასალებისა და ტექნიკების სახელწოდებები, ხელოვანთა გვარები, ცნობილი ნაწარმოებების სათაურები, ძეგლები და სხვ.

მაგალითად, მხატვრობა, გრაფიკა, ფერწერა, მოზაიკა, ანაბეჭდი, გრატაჟი, ესკიზი, ილუსტრაცია, ქანდაკება, რელიეფი, არქიტექტურა, დიზაინი, არქიტექტორი, მოქანდაკე, ფერმწერი, არქეოლოგი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი, ანიმალისტური, მარინისტული ჟანრები, ლენდ არტი, შედევრი, იეროგლიფი, ხაზი, შტრიხი, კონტური, თბილი ფერები, ცივი ფერები, გეომეტრიული ფორმა, ბუნებრივი ფორმა, შუქ-ჩრდილი, ორნამენტი, პროპორცია, დისპროპორცია, სიმეტრია, ასიმეტრია, დინამიკა, ანარეკლი, შუმერები, შუამდინარეთი, ყაჯარები, გაუდი, ფიროსმანი, კაკაბაძე, ვან გოგი, მოდილიანი, როდენი, მატისი, პიკასო, ჟან არპი, კით ჰარინგი, დიურერი, ბრეიგელი, ნარმერი, იონიური, დორიული და კორინთული ორდერები, ციხე-სიმაგრე, პირამიდა, გრიფონი, შედუ, საკურა, გუაში, აკვარელი, ფუნჯი, პალიტრა, მოლბერტი, ფანქარი, თიხა, პლასტილინი, თექა, და ა.შ. რადგანაც ბარათებს სხვადასხვა მოსწავლეები ამზადებენ ერთმანეთთან შეუთანხმებლად, ტერმინები შეიძლება გამეორდეს. ეს კარგიცაა – „გამეორება ცოდნის დედაა“.

ამ თამაშისთვის მერხების ერთ რიგად გადაადგილება მოგიწევთ. მეწყვილეები ერთმანეთის პირისპირ უნდა დასვათ, მწკრივში, რომ თასი ერთმანეთს ადვილად და სწრაფად გადასცენ.

მასწავლებელი აკონტროლებს დროს წამზომით. ერთ წყვილს ერთი წუთი ეძლევა.

დასასრულს, მეწყვილეები ითვლიან საკუთარი, გამოცნობილი ბარათების რაოდენობას და ავლენენ გამარჯვებულს ან გამარჯვებულებს.

აქტივობა:

მოსწავლეები თამაშობენ „სიტყვობანას“.

დანართი

I შემაჯამებელი დავალება. ტესტი

კლასი ———————————————— სახელი, გვარი ————————————————————————————
თარიღი ——————————

1. **გააფერადე უჯრები ფერადი ფანქრებით, ფერის ბორბლის თანმიმდევრობით. მიუწერე, რომელია მათგან ძირითადი და შედგენილი, თბილი და ცივი.**



2. **ამოხსენი „გოეთეს ფერადი მათემატიკის“ ამოცანა:**

რა ფერია (a+b)+(a+c) განტოლების ჯამი, თუ a წითელია, b ყვითელი, ხოლო c – ლურჯი?
გააფერადე განტოლება და პასუხი ფერადი ფანქრებით.

a	+	b	+	a	+	c	=	

3. **რას ნიშნავს პასტელური ფერები?**

   ა) მკვეთრ, სუფთა ფერებს.
   ბ) მკრთალ, თეთრნარევ ფერებს.
   გ) შავ-თეთრს.

4. **ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:**

   კუბისტი მხატვრები გამოსახულებას შლიან ———————————————— ფორმებად.

5. **ოპ-არტი დაკავშირებულია:**

   ა) ოპტიკასთან; ბ) ოპერასთან; გ) ოპერაციასთან.

6. **გააფერადე უჯრები უბრალო ფანქრით, ფერის გრადაციის გამოყენებით:**

7. გრადაციის გამოყენებით გააფერადე პეიზაჟი ჰაეროვანი პერსპექტივის საჩვენებლად.



8. ჩარჩოში დახატე მარტივი ნახატი, რომელშიც გადმოსცემ დინამიკას.



9. ჩარჩოში დახატე რაიმე საგნის მხოლოდ სილუეტი.



10. დახატე მარტივი ნახატი შტრიხების გამოყენებით.



სწორი პასუხები:

1. წითელი (ძირითადი, თბილი); ნარინჯისფერი (შედგენილი, თბილი); ყვითელი (ძირითადი, თბილი); მწვანე (შედგენილი, ცივი); ლურჯი (ძირითადი, ცივი); იისფერი (შედგენილი, ცივი).
2. წითელი+ყვითელი(=ნარინჯისფერი) + წითელი+ლურჯი(=იისფერი) = ყავისფერს.
3. ბ.
4. გეომეტრიულ.
5. ა.
6.
7. მოსწავლემ წინა ხედის გამოსახულებები უნდა გააფერადოს მუქი და მკვეთრი, შუა ხედისა – საშუალო, ხოლო უკანა ხედისა – მკრთალი, ღია ფერებით.
8. მოსწავლემ უნდა გადმოსცეს საგნის მოძრაობა.
9. მოსწავლემ უნდა დახატოს მხოლოდ სილუეტი დეტალების გარეშე. თუ სილუეტი გაფერადებულია, კონტურის ხაზის შიგნით გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ერთი ფერი.
10. ნახატში გამოყენებულია შტრიხები.

შედეგები: ს.გ.IV.1. – 2, 3, 4, 5, 9, 12.

კომენტარების ნიმუშები (ჰოლისტური შეფასება):

დონე	კომენტარი	რეკომენდაცია
ყოჩაღ!	• შენ ბრწყინვალედ ერკვევი ფერისა და ხაზის ყველა თვისებაში; • ბრწყინვალედ იცი განვლილი მასალა და ერკვევი ყველა ტერმინში; • შესანიშნავად იყენებ ცოდნას ნამუშევარში;	• ასე განაგრძე!
კარგია!	• შენ კარგად ერკვევი ფერისა და ხაზის უმეტეს თვისებებში; • კარგად იცი განვლილი მასალა და ერკვევი ბევრ ტერმინში; • ხშირ შემთხვევაში, კარგად იყენებ ცოდნას ნამუშევარში;	• გაიხსენე ფერის ბორბალზე ფერების თანმიმდევრობა და მათი თვისებები; • გაიხსენე, რას ნიშნავს გრადაცია და როგორ შეიძლება მისი გამოყენება სივრცის საჩვენებლად. • გადაიკითხე ... გაკვეთილი/ები. • ივარჯიშე შტრიხების ხატვაში.
უკეთ შეგეძლო.	• შენ ერკვევი ფერისა და ხაზის ზოგ თვისებაში; • ზოგ შემთხვევაში ჩანს განვლილი მასალისა და ზოგი ტერმინის ცოდნა; • ზოგ შემთხვევაში იყენებ ცოდნას ნამუშევარში;	

გაკვეთილი: ბრეიგელის თამაშები

ვენის დიაგრამა (დასაქსეროქსებელი)





თემა: ბრეიგელის თამაშები; გაკვეთილი: დამიმტკიცე! (პროექტის V გაკვეთილი)

II შემაჯამებელი დავალება

შედეგები: ს.გ.IV.3. – 1, 3, 4; ს.გ.IV.4. – 1, 2, 3, 4, 5; ს.გ.IV.5.

ჯგუფების მუშაობის შეფასების ფორმა (როგორც მასწავლებლისთვის, ასევე, თუ დააქსეროქსებთ და ჯგუფებს დაურიგებთ, გამოდგება თვითშეფასებისთვის):

ჯგუფის მუშაობის შეფასება	I ჯგუფი			II ჯგუფი		
ჯგუფი მუშაობდა მოწინააღმდეგეებთან კონფლიქტების გარეშე.						
ჯგუფი მუშაობდა ერთმანეთთან კონფლიქტების გარეშე.						
ჯგუფი აცდიდა საუბარს მოწინააღმდეგებს.						
ჯგუფის ყველა წევრი იყო ჩართული საერთო საქმეში.						
ჯგუფი საქმიანად იყენებდა დროს, იცავდა რეგლამენტს.						
მსჯელობა იყო არგუმენტებითა და მაგალითებით დასაბუთებული. საუბრისას ჯგუფის წევრები იყენებდნენ ტერმინებს.						

გაკვეთილის თემა: ოჯახური მყუდროება

III შემაჯამებელი დავალება

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 2, 9.

ს.გ.IV.2. – 1.

ს.გ.IV.4. – 1, 2, 3, 4, 5.

ს.გ.IV.5. – 2.

დავალება: დახატეთ საკუთარი ოჯახის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი, ყოფითი ჟანრის ნამუშევარი. გაამდიდრეთ ნახატი გარემოსა და ოჯახის წევრთა საქმიანობის მაჩვენებელი დეტალებით.

შეფასების კრიტერიუმები და კომენტარების ნიმუშები:

კომენტარი → კრიტერიუმი ↓		
მოსწავლეს ესმის ტერმინის “ყოფითი ჟანრი” მნიშვნელობა. მისი ნამუშევარი შეესაბამება ჟანრის მოთხოვნებს.	ყოჩაღ, შენ შექმენი ყოფითი ჟანრის ნამუშევარი, რომელიც ბევრ დეტალს შეიცავს და შენი ოჯახის ყველა წევრს გვაცნობს. კარგად ჩანს გარემო და ადამიანების საქმიანობა.	კარგი იქნებოდა, ოთახში ოჯახის წევრები ჩაგეხატა. **ან:** დარწმუნებული ხარ, რომ ეს ყოფითი ჟანრის სურათია და არა ჯგუფური პორტრეტი? **ან:** კომპოზიციაში კიდევ ბევრი დეტალის ჩართვა შეგეძლო.
მოსწავლეს შეუძლია ჩანაფიქრის ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით	შენ მშვენივრად შეარჩიე ფერები, გამოიყენე ხაზები (კონტური, შტრიხი), კომპოზიცია სავსეა – ზოგი წინაა, ზოგი შუაში, ზოგი უკან. კარგად გადმოეცი ფიგურების მოძრაობა და პოზები. ჩანს, ვინ დიდია და ვინ – პატარა.	რატომ არის შენი სურათი უფერული? კონტურების გარდა, შტრიხების გამოყენებაც შეგეძლო. სურათის არე მეტად უნდა აგეთვისებინა. რატომაა ოჯახის ყველა წევრი ერთ პოზაში/ერთი ზომის/ერთ ხაზზე?
მოსწავლეს აქვს ნამუშევრის წარდგენის უნარი	შენ ამომწურავად აგვიხსენი, რისი გადმოცემა გსურდა. შენი თხრობა იყო საინტერესო. მომეწონა, რომ კლასს მიმართავდი და არა მე.	მომეჩვენა, რომ საუბარი გერიდებოდა. სხვა დროს უფრო ხმამაღლა, თამამად გვიამბე ნამუშევრის შესახებ. მიმართე კლასს და არა მე.

გაკვეთილი: ნარმერის ფილა

დასაქსეროქსებელი სქემა:





თემა: ჯგუფური პროექტი „ქალაქობანა“ (3 გაკვეთილი)

IV შემაჯამებელი დავალება

შედეგი:

ს.გ.IV.1. – 1, 9, 11.
ს.გ.IV.2. – 1, 2.
ს.გ.IV.3. – 1, 2, 3, 4, 5.
ს.გ.IV.4. – 1, 2, 4, 5.
ს.გ.IV.5. – 3, 4.

შეფასება:

ჯგუფების მუშაობის შეფასების ფორმა (როგორც მასწავლებლისთვის, ასევე, თუ დააქსეროქსებთ და ჯგუფებს დაურიგებთ, გამოდგება თვითშეფასებისთვის):

ჯგუფის მუშაობის წარმატება					რეკომენდაციების ნიმუშები
ჯგუფი	I.	II.	III.	IV.	
თანამშრომლობა (კონ-ფლიქტების მოგვარება, ჩარ-თულობა...)					ეცადე, უთანხმოება მშვიდო-ბიანად მოაგვარო და სხვისი აზრი გაითვალისწინო; უფრო აქტიურად ჩაერთე საქმეში, რომ საკუთარი წვლილით იამაყო.
შემოქმედებითობა (ორიგი-ნალური აზროვნება, პრობ-ლემის გადაჭრის უნარი)					მომავალში ნუ მოგერიდება განსხვავებული გზის ძიება. დაფიქრდი, კიდევ რა გზით შეი-ძლება ამ პრობლემის გადაჭრა?
კვლევის უნარი (ინფორ-მაციის მოძიება), ციფრული წიგნიერება.					მომავალში ეცადე, ინფორმაცია მოიძიო წიგნშიც, ინტერნეტშიც და უფროსების გამოკითხვი-თაც. ელექტრონული გზავნი-ლის გაგზავნაში უნდა ივარჯი-შო.
წარდგენის უნარი (აუდიტორი-ასთან კონტაქტი), რეგლამენ-ტის (დროისა და რიგითობის) დაცვა.					წარდგენისას ეცადე, მიმართო კლასს და არა მასწავლებელს ან ჭერს. ისაუბრე მაშინ, როცა შენი დროა. აცადე საუბარი სხვებს.

IV შემაჯამებელი დავალება

კამათლის თარგი:



შეფასება:

შედეგი: ს.გ.IV.3. - 1, 4; ს.გ.IV.4. – 2, 3, 4, 5; ს.გ.IV.5. – 1, 2, 4.

ჯგუფი:	I	II	III	IV	V	VI
დონე:						
არგუმენტირებული მსჯელობა						
თანამშრომლობა, თავაზიანობა						
რეგლამენტის დაცვა						
აღწერის/კვლევის/ ინტერპრეტაციის/ შედარების უნარი						













აქტიური ბმულები ისტის დავალებებისთვის

გვ	გაკვეთილის დათაური	დავალება
27	ფერთა თეორია	მოსწავლეები კომპიუტერის სახატავ პროგრამაში (MS PAINT) დახატავენ წრეებს, 3 ხაზით გაყოფენ მათ 6 ნაწილად და ყოველ ნაწილში ჩაასხამენ ფერებს ფერების ბორბლის რომელიმე ნიმუშის მიხადვით.
30	კაკაბაძის იმერეთი	მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს დ. კაკაბაძის შემოქმედების ამსახველ ბმულს. მოსწავლეები გაეცნობიან კაკაბაძის შემოქმედებას და გაუზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს https://burusi.wordpress.com/art/david-kakabadze/
33	მუქი და ღია	მოსწავლეები კომპიუტერის სახატავ პროგრამაში (MS PAINT) დახატავენ წრეებს ან ოთხკუთხედებს, გააფერადებენ მათ სასურველი ფერებით და ზემოდან დაახატავენ იმავე ფორმის მომცრო რუხ დეტალებს. (იხ, შესაბამისი გაკვეთილის აქტივობა)
36	პასტელური ფერები	მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს სახალისო კომპიუტერული თამაშის ბმულს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ ფერები შეაზზავონ ისე, რომ ღია, პასტელური ფერები მიიღონ. http://www.colorwithleo.com/art_colorwheel.php
45	ჰაეროვანი პერსპექტივა	მოსწავლეები კომპიუტერის სახატავ პროგრამაში (MS PAINT) დახატავენ თავისუფალი მოხაზულობის ტეხილი ან ტალღოვანი ხაზების რამდენიმე წყებას. ხაზებს შორის სივრცეებს გააფერადებენ ნებისმიერი ერთი, სხვადასხვა სიმძლავრის ფერით – შედარებით მუქი ფერით დაიფერება ქვედა სივრცე, ყოველი მომდევნო კი თანდათან გაღიავდება.
59	ანარეკლი	მასწავლეელი მოსწავლეებს შესტავაზებს სახალისო სახატავ პროგრამას, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს დახატონ და გააფერადონ კომპიუტარში ანარეკლი მდინარის ნაპირი პეიზაჟითა და მისი ანარეკლით. წარმოდგენილი პროგრამა ნახატის ამობეჭდვის, დამახსოვრებისა და გაზიარების საშუალებას იძლევა. http://www.abcya.com/mirror_paint.htm
46	ნიკო ფიროსმანის ანიმალისტური სურათები	მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს ბმულს, რომელზეც ისინი დაათვალიერებენ ნიკო ფიროსმანის სურათებს, ამოიცნობენ სურათებში ანიმალისტურ ნახატებს და ამოიწერენ მათ სახელებს. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები დაიმახსოვრებენ ან ამობეჭდავენ ასეთ სურათებსდა შეადგენენ ნიკო ფიროსმანის ანიმალისტური სურათების კატალოგს. https://burusi.wordpress.com/art/pirosmani/
80	ციხესიმაგრე	მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს ბმულს, სადაც ისინი გაეცნობიან საქართველოს ციხესიმაგრეებს და მათ ისტორიას. ყოველი მოსწავლე ამოირჩევს ერთ ციხესიმაგრეს და მოუყვება მეგობრებს მის ისტორიას. http://saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=12&Itemid=4&lang=ru
88	აფრიკული ნიღბები	მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს სახალისო სახატავ პროგრამას, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს დახატონ და გააფერადონ კომპიუტერში მათი ფანტაზიით შექმნილი ნიღბები. http://www.abcya.com/mirror_paint.htm